

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

### საქმეზე „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Golder v. the United Kingdom*)

გადაწყვეტილების მისაღებად პლენარულ სხდომაზე სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

|        |                                                                                                       |
|--------|-------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ბ-ნები | გ. ბალადორე პალიერი, პრეზიდენტი,<br>ჰ. მოსლერი,<br>ა. ვერდროსი,<br>ე. როდენბურგი,<br>ჯ. კრემონა,      |
| ქ-ნი   | ი. ჰ. პედერსენი,                                                                                      |
| ბ-ნები | თ. ვილიალმსონი<br>რ. რისდალი,<br>ა. ბოზერი,<br>ვ. ჯ. განშოფ ვან დერ მეერში,<br>სერ ჯერალდ ფითსმორისი, |

ასევე ბ-ნი მ.-ა. ეისენი, რეგისტრატორი, და ბ-ნი ჯ. ფ. სმიტი, რეგისტრატორის მოადგილე.

იმსჯელა რა განმარტებით,

სასამართლომ გადაწყვიტა:

### პროცედურა

1. გოლდერის საქმე ევროპულ სასამართლოს გადაეცა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ (შემდგომში „მთავრობა“). საქმეს საფუძვლად უდევს გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 25-ე მუხლის თანახმად შეტანილი განაცხადი. აღნიშნული განაცხადი შეტანილი იქნა გაერთიანებული სამეფოს მოქალაქის ბ-ნი სიდნი ელმერ გოლდერის მიერ. განაცხადი პირველად 1969 წელს იქნა შეტანილი. სრულყოფილი სახით განაცხადი წარმოდგენილი იქნა 1970 წლის აპრილში და რეგისტრირებული იქნა ნომრით №4451/70. კომისიის მოხსენება, რომელიც შედგენილია კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად, 1973 წლის 5 ივლისს გადაეცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

2. მთავრობის განაცხადი, რომელიც შედგენილი იქნა კონვენციის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს რეგისტრატურაში 1973 წლის 27 სექტემბერს იქნა შეტანილი, 3 თვის ვადაში, როგორც ეს დადგენილია 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47 მუხლით. განაცხადის მიზანს წარმოადგენს საქმის სასამართლოსათვის გადაცემა განაჩენის გამოსატანად. მთავრობა არ ეთანხმება კომისიის მიერ მოხსენებაში

გამოხატულ აზრს და კომისიის მიერ კონვენციის იტერპრეტაციასთან დაკავშირებულ მიდგომას.

3. 1973 წლის 4 ოქტომბერს რეგისტრატორმა კომისიის სამდივნოდან მიიღო კომისიის მოხსენების 25 ასლი.

4. 1973 წლის 9 ოქტომბერს სასამართლოს მაშინდელმა პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით კენჭისყრით გამოავლინა პალატის შვიდი მოსამართლიდან იმ ხუთი მოსამართლის ვინაობა, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქმის განხილვაში. პალატაში *ex officio* წევრებად, შესაბამისად, კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 21 (3) (ბ) მუხლის თანახმად, შევიდნენ სერ ჰამფრი ვალდოკი, ბრიტანული ეროვნების არჩეული მოსამართლე, და ბ-ნი გ. ბალადორე პალიერი, სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი. დანარჩენი მოსამართლეები იყვნენ ბ-ნები რ. კასინი, ე. როდენბურგი, ა. ფავრე, თ. ვილიალმსონი და ვ. ჯ. განშოფ ვან დერ მეერში (კონვენციის 43-ე მუხლისა და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად). პრეზიდენტმა ასევე კენჭისყრით გამოავლინა შემცვლელი მოსამართლეები (რეგლამენტის 21 მუხლის მე-4 პუნქტი).

ბ-მა გ. ბალადორე პალიერმა დაიკავა პალატის პრეზიდენტის თანამდებობა რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

5. პალატის პრეზიდენტმა რეგისტრატორის მეშვეობით შეიტყო მთავრობის წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატების აზრი პროცედურასთან დაკავშირებით. 1973 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით პალატის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ მთავრობამ წარმოადგინოს საკუთარი მემორანდუმი 1974 წლის 31 იანვრამდე, ხოლო დელეგატებს განესაზღვროთ მემორანდუმის წარმოდგენის ვადა მთავრობის მიერ მემორანდუმის წარმოდგენიდან ორი თვის ვადაში. პალატის პრეზიდენტმა ასევე მიუთითა რეგისტრატორს, რათა ამ უკანასკნელს დელეგატებისათვის მიემართა თხოვნით, წარმოედგინათ სასამართლოსთვის უმთავრესი დოკუმენტები მოხსენებაში მოცემული ჩამონათვალიდან. ხსენებული დოკუმენტები სასამართლოს სამდივნომ 17 ოქტომბერს მიიღო.

მოგვიანებით პრეზიდენტმა გააგრძელა მემორანდუმების წარდგენის ვადები მთავრობის წარმომადგენლისათვის 1974 წლის 6 მარტამდე, ხოლო დელეგატებისათვის – ჯერ 6 ივნისამდე, შემდეგ კი 26 ივლისამდე (1974 წლის 21 იანვრის, 9 აპრილისა და 5 ივნისის ბრძანებები). სასამართლოს რეგისტრატურამ მთავრობის მემორანდუმი მიიღო 1974 წლის 6 მარტს, ხოლო კომისიისა – განმცხადებლის წარმომადგენლის მიმოხილვებთან ერთად 26 ივლისს.

6. პალატა განმარტოებით შეიკრიბა 1974 წლის 7 მაისს. სერ ჯერალდ ფითსმორისმა, რომელიც არჩეული იქნა სასამართლოს წევრად 1974 წლის იანვარში სერ ჰამფრი ვალდოკის ნაცვლად, დაიკავა თავისი ადგილი სასამართლოში, როგორც ბრიტანეთის მხრიდან არჩეულმა მოსამართლემ (კონვენციის 43-ე მუხლი და რეგლამენტის 2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად).

იმავე დღეს პალატამ „მხედველობაში მიიღო რა ის ფაქტი, რომ საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციის განმარტებაზე,“ გადაწყვიტა, საქმე განსახილველად პლენარული სასამართლოსთვის გადაეცა.

სასამართლოს ახალმა პრეზიდენტმა ბ-ნმა გ. ბაღდადორე პალიერში დაიკავა პრეზიდენტის თანამდებობა.

7. მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატებთან კონსულტაციის შემდეგ სასამართლოს პრეზიდენტმა 1974 წლის 6 აგვისტოს ბრძანებით გადაწყვიტა, რომ საქმის ზეპირი მოსმენა დანიშნულიყო 11 ოქტომბრისათვის.

8. საჯარო მოსმენა გაიმართა სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 1974 წლის 11 და 12 ოქტომბერს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

*მთავრობის სახელით:*

ბ-ნი პ. ფიფუტი, იურისკონსული (საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტრო), ადვოკატი – წარმომადგენელი და ადვოკატი,

სერ ფრენსის ველეტი, მეფის ადვოკატი, დედოფლის ადვოკატი, ლონდონის სამეფო კოლეჯის საერთაშორისო სამართლის პროფესორი, წარსულში საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩეველი,

ბ-ნი გ. სლინი, დედოფლის ადვოკატი, ჰერეფორდის სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლე – ადვოკატი,

და

სერ უილიამ დეილი, მეფის ადვოკატი, თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ყოფილი იურიდიული მრჩეველი,

ბ-ნი რ. მ. მორისი, ადმინისტრატორი, შინაგან საქმეთა სამინისტრო,

მრჩეველები;

*კომისიის სახელით:*

ბ-ნი გ. სპერდუტი, მთავარი დელეგატი,

ბ-ნები ტ. ოპსალი და კ. მანგანი, დელეგატები, და

ბ-ნი ნ. ტაპი, დედოფლის ადვოკატი, რომელიც კომისიის წინაშე წარმოადგენდა განმცხადებელს და დახმარებას უწევდა დელეგატებს რეგლამენტის 29 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადების თანახმად.

სასამართლომ მოისმინა სახელმწიფოს მხრიდან ბ-ნი ფიფუტის, სერ ფრენსის ველეტისა და ბ-ნი სლინის, ხოლო კომისიის მხრიდან ბ-ნების სპერდუტის, ოპსალისა და ტაპის არგუმენტები, აგრეთვე, სასამართლოსა და რამდენიმე მოსამართლის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები.

საქმის მოსმენაზე მთავრობამ სასამართლოს გარკვეული დოკუმენტები წარუდგინა.

## შეჯამება

9. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

10. 1965 წელს ბ-ნი სიდნი ელმერ გოლდერი, დაბადებული 1923 წელს, გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, მსჯავრდებული იქნა გაერთიანებულ სამეფოში ძარცვისათვის, რომელსაც თან ახლდა ძალის გამოყენება. მას მიესაჯა 15 წლით პატიმრობა. 1969 წელს გოლდერი სასჯელს იხდიდა პარსურსტის ციხეში უაითის კუნძულზე.

11. 1969 წლის 24 ოქტომბერს ციხის იმ ნაწილში, რომელშიც ამ დროს გოლდერი იმყოფებოდა, სერიოზული არეულობა მოხდა.

25 ოქტომბერს ციხის ოფიცერმა, ბ-ნმა ლარიდმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და დაშავდა არეულობის ჩახშობისას, ამოიცნო თავდამსხმელები და განაცხადა, რომ „ფრეზერი გაპიოდა... ფრაპი, ნუნანი და სხვა პატიმარი, რომელიც მე შესახედავად ვიცი, ვგონებ, მისი გვარი გოლდერია ... გამეტებით მირტყამდნენ.“

12. 26 ოქტომბერს გოლდერი და ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ არეულობაში მონაწილეობაში, პატიმრების ძირითადი ჯგუფისაგან განაცალკევეს. 28 და 30 ოქტომბერს გოლდერი პოლიციის ოფიცრებმა დაკითხეს. მეორე დაკითხვის დროს მას შეატყობინეს, რომ იგი ეჭვმიტანილი იყო პოლიციის ოფიცერზე თავდასხმაში და გააფრთხილეს, რომ: „ფაქტებზე დაყრდნობით განხილული იქნება მის წინააღმდეგ გამოძიების წარმართვის მიზანშეწონილობის საკითხი ციხის ოფიცერზე თავდასხმისა და სხეულის დაზიანებისათვის“.

13. 25 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს გოლდერმა პარლამენტის წევრს, ხოლო 1969 წლის 4 ნოემბერს უფროს კონსტებლს გაუგზავნა წერილები, რომლებშიც აღწერდა 24 ოქტომბერს მომხდარ არეულობასა და იმ უსიამოვნებებს, რომლებსაც სხენებული არეულობის შედეგად წააწყდა; ციხის მმართველმა შეახერხა ეს წერილები იმ მოტივით, რომ გოლდერმა არ დააყენა ეს საკითხი იმ ნებადართული არხების მეშვეობით, რომლებიც მას გააჩნდა ადრე.

14. მეორე განცხადებაში, რომელიც გაკეთდა 1969 წლის 5 ნოემბერს, ლეირდმა შემდეგნაირად დააზუსტა ადრე გაკეთებული განცხადება:

„როდესაც პატიმარი გოლდერი ვახსენე, მე ვთქვი: „ვგონებ, ეს იყო გოლდერი, რომელიც იქვე იყო ფრეზერთან, ფრეიპთან და ნუნანთან ერთად მაშინ, როდესაც ისინი თავს დამესხნენ“.

„თუკი ეს გოლდერი იყო, მე კი აშკარად მახსოვს, რომ დავინახე იგი იმ პირთა ჯგუფში, რომლებიც ყვიროდნენ და არღვევდნენ მართლწესრიგს, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ მან ჩემზე თავდასხმა განახორციელა.“

„მოგვიანებით, როდესაც ნუნანმა და ფრეიპმა შემიპყრეს, ფრეზერიც იქ იყო, მაგრამ არ მახსოვს, ვინ იყო სხვა პატიმარი, თუმცა იქ იყო რამდენიმე, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა, მაგრამ მე არ შემიძლია მისი დასახელება.“

7 ნოემბერს ციხის სხვა ოფიცერმა გააკეთა განცხადება, რომ

„...ბუნტის ღამის უმეტესი ნაწილი გავატარე ტელევიზორის ოთახში იმ პატიმრებთან ერთად, რომლებიც არ მონაწილეობდნენ არეულობაში.

გოლდერი (740007) იმყოფებოდა ოთახში ჩემთან ერთად და, რამდენადაც ვიცი, არ მიუღია ბუნტში მონაწილეობა. მისი იქ ყოფნა შესაძლებელია დაადასტუროს ოფიცერმაც ... რომელიც გარედან ახორციელებდა ჩვენს მეთვალეურობას“.

გოლდერი იმავე დღეს დააბრუნეს თავის საკანში.

15. ამ დროს ციხის ადმინისტრაცია განიხილავდა სხვადასხვა განცხადებებს და 10 ნოემბერს მოამზადა იმ ბრალდებათა სია, რომლებიც უნდა წაყენებოდათ პატიმრებს, მათ შორის, გოლდერს, ციხის დისციპლინის დარღვევისათვის. ამასთან დაკავშირებული ჩანაწერი შეტანილი იქნა გოლდერის პირად საქმეში. საბოლოოდ მას არავითარი ასეთი ბრალდება არ წაუყენეს და პირად საქმეში შეტანილ ჩანაწერზეც გაკეთდა შენიშვნა – „ბრალდება არ წაყენა“. ხსენებული ჩანაწერები ამოღებული იქნა პატიმრის პირადი საქმიდან 1971 წელს კომისიის მიერ განმცხადებლის საქმის განხილვის დროს.

16. 1970 წლის 20 მარტს გოლდერმა პეტიციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს. პეტიციაში მან მოითხოვა სხვა ციხეში გადაყვანა და, ამასთანავე, განაცხადა:

„მე მესმის, რომ ოფიცერ ლეირდის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც შეცდომით მდებს ბრალს 24 ოქტომბრის მოვლენებში მონაწილეობაში, შეტანილია ჩემს პირად საქმეში. ვეჭვობ, რომ სწორედ ამ განცხადების გამო არ განიხილა ადგილობრივმა კომპეტენტურმა კოლეგიამ ჩემი ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხი“.

„უმორჩილესად გთხოვთ, მომცეთ ნებართვა, მოვეთათბირო ჩემს ადვოკატს, რათა აღეძრა სამოქალაქო სარჩელი ცილისწამების კუთხით ამ განცხადებასთან მიმართებაში... ამავდროულად, მოგმართავთ თხოვნით, ნება დაერთოს მაგისტრატორს (შეზღუდული უფლებების მქონე მოსამართლე) ჟან-პიერ ბიშოპს, ჩაატაროს ჩემი პირადი საქმის დამოუკიდებელი შესწავლა. თუკი იგი დამარწმუნებს, რომ ზემოხსენებული განცხადება ჩემი პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი არ არის, მე თანახმა ვარ, ვადიარო, რომ ცილისწამებას არ მოუტანია ჩემთვის მატერიალური ზარალი, გარდა იმ ორი კვირისა, რომელიც გავატარე განცალკევებულ საკანში, ასე რომ სამოქალაქო სარჩელის აღძვრა აღარ იქნება საჭირო, თუკი ბოდიშს მომიხდინა ცილისწამებისათვის.“

17. ინგლისში მსჯავრდებულ პირთა კონტაქტი საპატიმრო დაწესებულების გარეთ მყოფ პირებთან რეგულირდება „ციხის შესახებ“ 1952 წლის კანონით, მასში შეტანილი ცვლილებებითა და ქვემდებარე კანონმდებლობით.

„ციხის შესახებ“ კანონის 47-ე თავის 1-ლი ქვეთავის თანახმად, „მინისტრს შეუძლია დაადგინოს წესები, რომლებიც ეხება პატიმართა შორის წესრიგის დამყარებას, მართვას ... და ასევე მოპყრობას ... დისციპლინასა და იმ პირთა კონტროლს, რომელთა პატიმრობაც აუცილებელია...“

შინაგან საქმეთა მინისტრი თავის ზემოხსენებულ უფლებამოსილებას ციხის 1964 წლის წესებზე დაყრდნობით ახორციელებდა. აღნიშნული წესები პარლამენტს განსახილველად წარედგინა და მას გააჩნია კანონის ძალა. შესაბამისი დებულებები,

რომლებიც ეხება პატიმრებსა და საპატიმროს გარეთ მყოფ პირებს შორის ურთიერთობას, განსაზღვრულია ციხის წესების 33-ე, 34-ე და 37-ე მუხლებით:

„ზოგადად წერილები და ვიზიტები

### წესი 33

- (1) მინისტრს შეუძლია, დისციპლინისა და მართლწესრიგის დასაცავად, ან ნებისმიერი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, დააწესოს შეზღუდვები, როგორც ზოგადად, ასევე ცალკეულ შემთხვევებში, პატიმარსა და სხვა პირს შორის ნებადართულ ურთიერთობაზე.
- (2) იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც დადგენილია კანონის ან ამ წესების თანახმად, პატიმარს არ უნდა ჰქონდეს ციხის გარეთ ან პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირთან ურთიერთობის უფლება მინისტრის ნებართვის გარეშე.

...

პირადი წერილები და ვიზიტები

### წესი 34

...

- (8) ამ წესის თანახმად, მინისტრის ნებართვის გარეშე პატიმარს არა აქვს უფლება, დაუკავშირდეს სხვა პირს სამართლებრივ თუ სხვა საკითხთან მიმართებაში, ან ნებისმიერ პირს, გარდა ნათესავისა თუ მეგობრისა.

...

იურიდიული მრჩევლები

### წესი 37

- (1) სამართალწარმოების დროს, იქნება ეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართალწარმოება, რომლის მონაწილეც პატიმარია, მის იურიდიულ მრჩეველს უნდა გააჩნდეს გონივრული შესაძლებლობა, რათა მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ესაუბროს პატიმარს ოფიცრის ზედამხედველობის არეში, მოსმენის გარეშე.
- (2) მინისტრის ნებართვით პატიმრის იურიდიულ მრჩეველს შეუძლია ესაუბროს პატიმარს ნებისმიერ სამართლებრივ თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით ოფიცრის ზედამხედველობისა და მოსმენის პირობით.“

18. 1970 წლის 6 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ციხის მმართველს დაავალა, ეცნობებინა გოლდერისთვის პასუხი 20 მარტით დათარიღებულ პეტიციაზე:

„მინისტრმა ზედმიწევნით განიხილა თქვენი პეტიცია, მაგრამ იგი არ არის მზად, გადაგიყვანოთ სხვა ციხეში. ამასთან, იგი ვერ ხედავს საფუძველს პეტიციაში მოყვანილ სხვა საკითხებთან დაკავშირებით რაიმე ქმედების განსახორციელებლად.“

19. გოლდერმა კომისიას წარუდგინა ორი საჩივარი, რომლებიც ეხებოდა მისი წერილების შეჩერებას (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-13 პუნქტში) და მინისტრის მიერ ადვოკატთან კონსულტაციაზე ნებართვის გაუცემლობას. 1971 წლის 30 მარტს კომისიამ დაუშვებლად ცნო პირველი საჩივარი არსებით განხილვაზე, რადგან შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება არ ყოფილა ამოწურული. ამავედროულად, არსებით განხილვაზე დაუშვა მეორე საჩივარი კონვენციის მე-6 (1) და მე-8 მუხლების არსებით განხილვასთან დაკავშირებით.

20. 1972 წლის 12 ივლისს გოლდერი ვადაზე ადრე პირობით იქნა გათავისუფლებული.

21. მოხსენებაში კომისიამ გამოთქვა საკუთარი აზრი:

- ერთხმად, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი უზრუნველყოფს სასამართლოზე ხელმისაწვდომობას;
- ერთხმად, რომ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, ინდივიდუალურად თუ კონვენციის სხვა მუხლებთან ერთად, არ მოიპოვება რაიმე სახის შეზღუდვა პატიმრის უფლებაზე, აღძრას სამართალწარმოება და ამ მიზნით იქონიოს შეუზღუდავი კავშირი ადვოკატთან, და ამიტომ ამ საქმეში გაერთიანებული სამეფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებული შეზღუდვები შეუსაბამოა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან;
- შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ წინამდებარე საქმის ფაქტებთან მიმართებაში გამოიყენება მე-8 მუხლი;
- იგივე ფაქტები, რომლებიც წარმოადგენს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, ამავე დროს არღვევს მე-8 მუხლს (რვა ხმით ერთის წინააღმდეგ, როგორც ეს სასამართლოს განუმარტა მთავარმა დელეგატმა 1974 წლის 12 ოქტომბერს).

კომისიამ ასევე გამოთქვა აზრი, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილი, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება არ ხასიათდება მოთხოვნით „გონივრულ ვადაში“. იმ მიმოხილვაში, რომლითაც საქმე წარედგინა სასამართლოს, მთავრობა არ დაეთანხმა კომისიის ამ აზრს, მაგრამ მემორანდუმში აღნიშნა, რომ მას აღარ სურდა ხსენებულ საკითხზე დავის გაგრძელება.

22. 1974 წლის 12 ოქტომბრის შუადღისას ზეპირ მოსმენაზე გაკეთდა შემდეგი საბოლოო განცხადებები:

*მთავრობის სახელით:*

„გაერთიანებული სამეფოს მთავრობა პატივისცემით მოახსენებს სასამართლოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ანიჭებს განმცხადებელს უფლებას, ხელი მიუწვედებოდეს სასამართლოზე, არამედ ანიჭებს უფლებას, რათა ნებისმიერი სამართალწარმოების დროს ისარგებლოს საქმის მოსმენით, რომელიც იქნება პატიოსანი და შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა მოთხოვნებს. მთავრობა ამტკიცებს, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ განმცხადებლისთვის ადვოკატთან კონსულტაციის გამართვაზე ნებართვის მიუცემლობა არ წარმოადგენდა მე-6 მუხლის დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მე-6 მუხლით მინიჭებული უფლებები გულისხმობს სასამართლოზე ხელმისაწვდომობას ზოგადად, მაშინ ალტერნატივის სახით გაერთიანებული სამეფოს მთავრობა წარმოადგენს, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება შეუზღუდავი არ არის პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ და, შესაბამისად, გონივრული შეზღუდვის დაწესება განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის მიმართვაზე ნებადართული იყო ციხის მართლწესრიგისა და დისციპლინის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ განმცხადებლისათვის ადვოკატთან კონსულტაციის ნებართვის მიუცემლობა ხვდებოდა სწორედ ამ ნებადართულ შეზღუდვაში და ამიტომ არ წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

გაერთიანებული სამეფოს მთავრობა დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის კორესპონდენციის კონტროლი, როდესაც იგი იმყოფებოდა ციხეში, წარმოადგენდა მისთვის თავისუფლების აღკვეთიდან გამომდინარე აუცილებელ შედეგს, და რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ქმედება არ წარმოადგენდა მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას და აღნიშნული ქმედება ნებისმიერ შემთხვევაში ხვდებოდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გამოწვევებში, რადგან დაწესებული შეზღუდვა შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან და სახელმწიფოს გააჩნდა უფლებამოსილება, შეეფასებინა და გადაეწყვიტა, რომ შეზღუდვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში უკანონობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

ხსენებულიდან გამომდინარე, ბ-ნო პრეზიდენტო, გაერთიანებული სამეფოს სახელით უმორჩილესად ვთხოვ ღრმად პატივცემულ სასამართლოს, დაადგინოს, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობას არ დაურღვევია ამ საქმეში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლები“.

*კომისიის სახელით:*

„კითხვები, რომლებზეც სასამართლოს ეთხოვა პასუხის გაცემა, შემდეგია:

- (1) იცავს თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას იმ პირებისთვის, რომლებსაც სურთ მიმართონ სამოქალაქო სამართალწარმოებას?
- (2) იმ შემთხვევაში, თუ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს ხელმისაწვდომობის ასეთ უფლებას, არსებობს თუ არა ამ უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე საქმის ფაქტებთან მიმართებაში?
- (3) შეუძლია თუ არა მსჯავრდებულ პატიმარს, რომელსაც სურვილი აქვს, მისწეროს თავის ადვოკატს სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრის მიზნით, დაეყრდნოს კორესპონდენციასთან მიმართებაში კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ დაცვას?
- (4) ამ კითხვებზე გაცემული პასუხების შესაბამისად, წარმოადგენს თუ არა წინამდებარე საქმეში არსებული ფაქტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევას?“

## სამართალი

### **I. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საგარაუდო დარღვევა**

23. კომისიის მოხსენების 73-ე, 99-ე და 110-ე პუნქტები მიუთითებს, რომ კომისია ერთხმად მიიჩნევს მე-6 მუხლის დარღვევას. მთავრობა არ ეთანხმება ხსენებულ მოსაზრებას.

24. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ



საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნენ დაშვებული მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა თუ სასამართლოს შეხედულებით ეს სრულიად აუცილებელია, ვინაიდან განსაკუთრებულ გარემოებებში საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.“

25. წინამდებარე საქმეში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ორი განსხვავებული საკითხი, რომელიც წამოიჭრება ზემოხსენებულ ტექსტთან დაკავშირებით:

- (I) შემოიფარგლება თუ არა არსობრივად მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მიმდინარე სამართალწარმოების დროს სამართლიან განხილვაზე უფლების უზრუნველყოფით, თუ იგი დამატებით უზრუნველყოფს სასამართლოზე ხელმისაწვდომობას ყველა პირისათვის, რომელსაც სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით სურს სასამართლო საქმის აღძვრა?
- (II) ამ უკანასკნელ შესაძლო შემთხვევაში მოიაზრება თუ არა წინამდებარე საქმეში გამოყენებული, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვები?

ა. „ხელმისაწვდომობის უზღუდავობა“ დაკავშირებით

26. სასამართლომ გაიხსენა, რომ 1970 წლის 20 მარტს გოლდერმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა თხოვნით, დაერთო მისთვის თავის ადვოკატთან კონსულტაციის გამართვის ნება ციხის ოფიცერ ლეირდის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრის მიზნით და რომ აღნიშნული თხოვნაზე მას 6 აპრილს უარი ეთქვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 16 და 18).

იმ ფაქტიდან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის უარმა უშუალოდ შეუშალა ხელი გოლდერს, დაკავშირებოდა თავის ადვოკატს, სულაც არ გამომდინარეობს, რომ წინამდებარე საქმეში შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ კორესპონდენციასთან დაკავშირებული საკითხი, და არა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ყველა სხვა საკითხი.

ნათელია, რომ არავინ იცის, აღძრავდა თუ არა გოლდერი სამართალწარმოებას ლეირდის წინააღმდეგ, თუ ადვოკატთან კონსულტაციის გამართვის ნებას ღართავდნენ. ამასთან, მთავრობის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია იძლევა საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ინგლისის სასამართლო არ უარყოფდა მსჯავრდებული პატიმრის თხოვნას სამართალწარმოების აღძვრაზე მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მან მოახერხა სამართალწარმოების აღძვრაზე განაცხადი შეეტანა – მაგალითად, ადვოკატის მეშვეობით – შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ნებართვის გაუცემლად 1964 წლის ციხის წესების 33-ე წესის მე-2 პუნქტისა და 34-ე წესის მე-8 პუნქტის თანახმად, რაც ყოველ შემთხვევაში არ მომხდარა წინამდებარე საქმეში.

თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: გოლდერმა გამოააშკარავა თავისი განზრახვა, რომ აპირებდა, „აღედრა სამოქალაქო სამართალწარმოება ცილისწამებისათვის“ და სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გამოთქვა სურვილი, დაკავშირებოდა თავის ადვოკატს, რაც წარმოადგენდა ჩვეულებრივ ნაბიჯს თავისთავად, გოლდერის შემთხვევაში კი, ალბათ, საჭიროს, თუ გავითვალისწინებთ მის პატიმრობას. ადვოკატთან დაკავშირების აკრძალვით შინაგან საქმეთა მინისტრმა რეალურად ხელი შეუშალა გოლდერს მის

მიერ ჩაფიქრებული საქმის წამოწებაში. გოლდერისათვის მისი უფლების – აღეძრა სამართალწარმოება სასამართლოში – ფორმალურად აკრძალვის გარეშე შინაგან საქმეთა მინისტრმა რეალურად შეუშალა მას ხელი, აღეძრა სამართალწარმოება იმ დროისთვის, 1970 წელს. რეალური ხელის შეშლა ისევე შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას, როგორც სამართლებრივი ბარიერი.

მართალია – როგორც ამას ხაზი გაუსვა მთავრობამ – გათავისუფლების შემდეგ გოლდერს საშუალება უნდა ჰქონოდა, სურვილისამებრ მიემართა სასამართლოსათვის, მაგრამ 1970 წლის მარტსა და აპრილში ეს შორეული პერსპექტივა იყო, უფლების ეფექტიანი გამოყენებისთვის ბარიერის შექმნა კი შეიძლება გაუტოლდეს ამ უფლების დარღვევას, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბარიერი დროებითი ხასიათისაა.

შესაბამისად, სასამართლომ უნდა განიხილოს, არღვევდა თუ არა დადგენილი ბარიერი კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებას, განსაკუთრებით კი მე-6 მუხლს, რომელსაც გოლდერი ეყრდნობოდა.

27. ერთი საკითხი, რომელიც არ წამოჭრილა და სასამართლო დამტკიცებულად მიიჩნევს: ის „უფლება“, რომელიც გოლდერს სურდა განეხორციელებინა – მართებულად თუ არამართებულად – ლეიზრის წინააღმდეგ ინგლისის სასამართლოებში, იყო „სამოქალაქო უფლება“ მე-6 მუხლის გაგებით.

28. ისევ და ისევ, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ადგენს სასამართლოსა თუ ტრიბუნალზე ხელმისაწვდომობის უფლებას აშკარა ფრაზებით. იგი ნათლად აცხადებს უფლებებს, რომლებიც განსხვავებულია, მაგრამ გამომდინარეობს ერთი საერთო აზრიდან და რომლებიც, ერთად აღებული, ქმნის ერთ უფლებას, რომელიც სპეციალურად არ არის განსაზღვრული ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით. სასამართლოს მოვალეობაა, ინტერპრეტაციის საშუალებით განმარტოს, სასამართლოზე ხელმისაწვდომობა ერთ ფაქტორს წარმოადგენს თუ ამ უფლების ასპექტს.

29. სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებები პირველ რიგში ითვალისწინებდა, თუ რა სახით უნდა მოხდეს კონვენციის, კერძოდ კი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, ინტერპრეტაცია. სასამართლო, ისევე როგორც მთავრობა და კომისია, მზად არის, იხელმძღვანელოს „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის 23 მაისის კონვენციის 31-33-ე მუხლებით. ხსენებული კონვენცია ჯერჯერობით არ შესულა ძალაში და მის მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ მას არ ექნება უკუქცევითი ძალა, მაგრამ კონვენციის 31-33-ე მუხლები ნათლად განსაზღვრავენ საერთაშორისო სამართლის ზოგადად მიღებულ პრინციპებს, რომლებსაც სასამართლომ არაერთხელ მიმართა. ამ თვალსაზრისით ევროპული კონვენციის განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხსენებული მუხლები, ხოლო სადაც ეს შეეფერება – „ორგანიზაციის ნებისმიერი შესაბამისი წესები“ – იგულისხმება ევროპის საბჭო – რომლის ფარგლებში ის იქნა მიღებული (ვენის კონვენციის მე-5 მუხლი).

30. ვენის კონვენციის 31-ე მუხლის „ზოგადი წესის“ თანახმად, ხელშეკრულების განმარტების პროცესი წარმოადგენს მთლიან, ერთიან სამართლებრივ მოქმედებას; ეს წესი, მჭიდროდ გაერთიანებული, ერთ საწყისზე აყენებს განსხვავებულ ელემენტებს, რომლებიც ხსენებული მუხლის ოთხ პუნქტშია ჩამოყალიბებული.

31. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ტერმინები, ერთიან კონტექსტში აღებული, გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ეს უფლება ჩამოთვლილ გარანტიებს შორის გვევლინება.

32. ყველაზე ნათელი მინიშნებები მოიპოვება ფრანგული ტექსტის პირველ წინადადებაში. *Contestations civiles*-ის (სამოქალაქო სარჩელები) სფეროში ყველას აქვს უფლება, მის მიერ ან მის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოება წარმართული იქნეს გარკვეული გზით – *équitablement* (პატიოსნად), *publiquement* (საჯაროდ), *dans un délai raisonnable* (გონივრულ ვადაში) და სხვ. – მაგრამ, ასევე და პირველ რიგში, *à ce que sa cause soit entendue* (რათა მისი საქმე განხილული იქნეს) არა ნებისმიერი ორგანოს მიერ, არამედ, *par un tribunal* (სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით (*Ringeisen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 16 ივლისი, სერია A №13, გვ. 39, პუნქტი 95). მთავრობამ აღნიშნა, რომ ფრანგულად *cause* შესაძლოა ნიშნავდეს *procès qui se plaide* (*Littré, Dictionnaire de la langue française*, ტომი I, გვ. 509, 50). თუმცა ეს არ არის ამ არსებითი სახელის ერთადერთი მნიშვნელობა. იგი ასევე გამოიყენება გახანგრძლივებაზე მინიშნების მიზნითაც – *l'ensemble des intérêts à soutenir, à faire prévaloir* (*Paul Robert, Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française*, ტომი I, გვ. 666, II-2<sup>0</sup>). ანალოგიურად, *contestation* (სარჩელი) ზოგადად არსებობს სამართალწარმოებამდე და წარმოადგენს მისგან დამოუკიდებელ კონცეფციას. რაც შეეხება ფრაზას *tribunal indépendant et impartial établi par la loi* (კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო), იგი წარმოსახავს ორგანიზების, და არა ფუნქციონირების, მხარეს, უფრო ორგანოებს, ვიდრე პროცედურას.

ინგლისური ტექსტი, თავის მხრივ, მეტყველებს „კანონით შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე“. უფრო მეტიც, ფრაზა „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას“, რომელსაც მთავრობა დაეყრდნო დავის დროს, არ მიაჩნია მხოლოდ მიმდინარე სასამართლო სამართალწარმოებაზე; კომისიის განმარტებით, შესაძლოა აღნიშნული ჩაითვალოს სინონიმად შემდეგი განსაზღვრისა: „სადაც არ უნდა განისაზღვრებოდეს მისი სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები“ (მოხსენების 52-ე პუნქტი). ხსენებული ასევე მოიაზრებს სასამართლოს ან „ტრიბუნალის“ მიერ სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული დავების განხილვის უფლებას.

მთავრობამ წარმოადგინა, რომ გამონათქვამები – „სამართლიანი და საჯარო მოსმენა“ და „გონივრული ვადა“, ასევე 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება („განაჩენი“, „სასამართლო განხილვა“) და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ნათლად გულისხმობენ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებას.

თუმცა უფლება პატიოსან, საჯარო და სწრაფ სასამართლო წარმოებაზე შესაძლოა ეხებოდეს მხოლოდ მიმდინარე სამართალწარმოებას, არ არის აუცილებელი, გამომდინარეობდეს, რომ გამორიცხულია ამგვარი სამართალწარმოების აღძვრის უფლება; კომისიის დელეგატებმა მართებულად გაუსვეს ამას ხაზი მემორანდუმის 21-ე პუნქტში. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმეებში „გონივრული ვადის“ ათვლა იწყება საქმის იმ სასამართლოს ან „ტრიბუნალის“ მიერ განხილვის დაწყებამდე, რომელსაც გააჩნიათ უფლებამოსილება, „განსაზღვრონ ... სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ (*Wemhoff*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A №7, გვ. 26-27, პუნქტი 19; *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A №8, გვ. 41, პუნქტი 18; *Ringeisen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971

წლის 16 ივლისი, სერია A №13, გვ. 45, პუნქტი 110). ასევე შესაძლებელია, რომ სამოქალაქო საქმეებში გონივრული ვადის ათვლა, ცალკეულ შემთხვევებში, დაიწყოს სასამართლოში მომჩივანის მიერ სამართალწარმოების აღძვრამდე.

33. მთავრობა ამტკიცებდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან და მე-13 მუხლთან დაკავშირების აუცილებლობას. მთავრობამ განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი აშკარად ითვალისწინებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას; მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში შესაბამისი პირობის არარსებობა, მთავრობის აზრით, ძნელად წარმოსადგენია. მთავრობამ ისიც აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი განმარტებულ იქნება ისე, თითქოს ითვალისწინებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი ზედმეტი და არასაჭირო აღმოჩნდება.

კომისიის დელეგატებმა არსებითად უპასუხეს მთავრობას, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით, სხვა დებულებების „დამხმარედ“ მოიაზრება. ეს მუხლები, მათი თქმით, არ აცხადებენ კონკრეტულ უფლებას. მათი დანიშნულებაა, „მიმართვის საფუძველზე“ უზრუნველყონ პროცედურული გარანტიები: პირველის შემთხვევაში – „თავისუფლების უფლებას“, რომელიც დადგენილია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით, ხოლო მეორეს შემთხვევაში – ყველა „უფლებას, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციაში“. ამასთან, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დანიშნულებაა, დაიცვას „თავისთავად“ „მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების უფლება“, და „მართლმსაჯულების განხორციელების უფლება“ წარმოადგენს „მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს“. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია წარმოჩინდეს ის სხვაობა, რომელიც არსებობს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტსა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტსა და მე-13 მუხლს შორის.

ეს დასკვნა არ არის უსაფუძვლო, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზა „უფლება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაზე“, რომელიც ზოგჯერ გამოიყენება მისი ლაკონურობისა და ხელსაყრელობის გამო (მაგალითისთვის იხ. *Delcourt*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1970 წლის 17 იანვარი, სერია A №11, გვ. 15, პუნქტი 250), შესაძლებელია გაგებული იქნეს, თითქოს იგი მიუთითებს მხოლოდ მართლმსაჯულების მუშაობაზე და არა მის ორგანიზებაზე.

სასამართლომ განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ ის განმარტება, რომელსაც მთავრობა არ ეთანხმებოდა, არ აერთიანებს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტსა და 13 მუხლთან, ისევე, როგორც არ ხდის ამ ორ უკანასკნელს ზედმეტს და არასაჭიროს. მე-13 მუხლით მოიაზრება „ეროვნული ორგანო“ (*instance nationale*), რომელიც შესაძლოა არ იყოს „ტრიბუნალი“ ან „სასამართლო“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გაგებით. ამასთან, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეხება კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევას, ხოლო მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, უპირველეს ყოვლისა, ეხება სამოქალაქო უფლებების არსებობასთან და ან საზღვრებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი კი დაკავებისა და პატიმრობის კანონიერებასთან დაკავშირებულ საჩივრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამი დებულება ერთი და იმავე საკითხს არ აწესრიგებს. „სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა“ ცნება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი) არ ვრცელდება „კონვენციაში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებზე“ (მე-13 მუხლი), თუმცა გარკვეულ კავშირს არ გამორიცხავს. რაც შეეხება „პირადი თავისუფლების უფლებას“ (მე-5 მუხლი), მისი „სამოქალაქო“ ხასიათი ნებისმიერ დონეზე ღიაა დისკუსიისათვის. (*Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A №8, გვერდი 43, პუნქტი 23; *Matznetter*-ის საქმეზე

გამოტანილი განაჩენი, 1969 წლის 10 ნოემბერი, სერია A №10, გვერდი 35, პუნქტი 13; *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვერდი 44, პუნქტი 86). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები ცალკეულ შემთხვევებში უფრო მკაცრია, ვიდრე მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც „დროს“ ეხება.

34. როგორც ეს ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტითაა დადგენილი, ხელშეკრულების პრეამბულა წარმოადგენს შინაარსის განუყოფელ ნაწილს. უფრო მეტიც, პრეამბულა ზოგადად ძალიან გვეხმარება სამართლებრივი აქტის „დანიშნულებისა“ და „მიზნის“ განსაზღვრაში.

წინამდებარე საქმესთან მიმართებაში ევროპული კონვენციის პრეამბულის ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს შემდეგი: „ევროპული ქვეყნების მთავრობებმა, რომელნიც არიან თანამოაზრენი და აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, გადადგან პირველი ნაბიჯები 1948 წლის 10 დეკემბრის საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილ ცალკეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის“.

მთავრობის აზრით, პრეამბულაში ნახსენები დებულებები წარმოადგენს „შერჩევით პროცესს“, რომელიც მიიღეს კონვენციის პროექტის შემქმნელებმა და რომლის თანახმადაც კონვენციის მიზანს ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვა კი არ წარმოადგენს, არამედ „საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული მხოლოდ ცალკეული უფლებების“ დაცვა. სწორედ აღნიშნულს ემსახურება კონვენციის 1-ლი და მე-19 მუხლები.

კომისია, თავის მხრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „კანონის უზენაესობას“, რომელიც, მისი აზრით, განმარტავს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.

კონვენციის „შერჩევითი“ ხასიათი არ შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს. ასევე შესაძლოა მიღებული იქნეს მთავრობის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ პრეამბულაში კანონის უზენაესობა დანიშნულებისა და მიზნის სახით კი არ არის მითითებული, არამედ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა საერთო სულიერ მემკვიდრეობად არის მოხსენიებული. თუმცა სასამართლო, კომისის მსგავსად, თვლის, რომ შეცდომა იქნებოდა, ამ მინიშნებაში „მეტ-ნაკლებად რიტორიკული მინიშნება“ დაგვენახა, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის ინტერპრეტაციას. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ხელმომწერმა მთავრობებმა გადაწყვიტეს, „გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილ, ცალკეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის“, იყო მათი ღრმა რწმენა კანონის უზენაესობაში. ბუნებრივად არის და კეთილსინდისიერების პრინციპის (ვენის კონვენციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) შესაბამისიც, რომ ხსენებული განმარტება მხედველობაში იქნეს მიღებული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებათა განმარტებისას მათი შინაარსის შესაბამისად და კონვენციის დანიშნულებისა და მიზნის გათვალისწინებით.

მით უმეტეს, რომ ევროპის საბჭოს – იმ ორგანიზაციის, რომლის წევრსაც წარმოადგენს კონვენციის ხელშემკვრელი თითოეული სახელმწიფო (კონვენციის 66-ე მუხლი) – წესდება ორ ადგილას მიუთითებს კანონის უზენაესობაზე: პირველად პრეამბულაში, სადაც ხელმომწერი სახელმწიფოები ადასტურებენ ამ პრინციპისადმი თავიანთ ერთგულებას, ხოლო მეორედ მე-3 მუხლში, რომლის თანახმადაც „ევროპის საბჭოს თითოეულმა წევრმა უნდა ცნოს კანონის უზენაესობა...“

სამოქალაქო საქმეებში კი ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე კანონის უზენაესობის არსებობას, თუკი არ იქნება სასამართლოს ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.

35. ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 (გ) პუნქტის თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნეს „საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ იმ ნორმათა შინაარსი, რომლებიც მხარეებს შორის მოქმედებს“. ამ ნორმებს შორის არის სამართლის ზოგადი პრინციპები, განსაკუთრებით კი „ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები“ (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის 1-ლი (გ) პუნქტი). ამასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის იურიდიულმა კომიტეტმა 1950 წლის აგვისტოში დაადგინა, რომ თავისი მოვალეობების შესრულებისას „კომისიამ და სასამართლომ აუცილებლად უნდა გამოიყენონ აღნიშნული პრინციპები“ და ამიტომ „არასაჭიროდ“ ჩაითვალა სპეციალური დებულების ჩამატება კონვენციაში (საკონსულტაციო ასამბლეის დოკუმენტები, 1950 წლის სესიის სამუშაო ჩანაწერები, ტომი III, №93, გვ. 982, პუნქტი 5).

პრინციპი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი უნდა იყოს სამოქალაქო სარჩელის წარდგენა მოსამართლისთვის, უთანაბრდება სამართლის საყოველთაოდ „აღიარებულ“ ძირითად პრინციპს; აღნიშნული შეესაბამება ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპს, რომელიც კრძალავს მართლმსაჯულების უარყოფას. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა იქნეს განმარტებული.

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ისე რომ იყოს აღქმული, თითქოს ეხებოდეს მხოლოდ იმ პროცესის წარმართვას, რომელიც უკვე აღძრული იქნა სასამართლოში, ხელშემკერედი სახელმწიფო შეძლებდა (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დაურღვევლად) დაეხურა თავისი სასამართლოები ან გადაეცა სამოქალაქო საქმეთა ცალკეული კატეგორიების განხილვის მათი უფლებამოსილება მთავრობაზე დაქვემდებარებული ორგანოებისთვის. ასეთ მოსაზრებებს, რომლებიც განუყოფელია ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების საფრთხისაგან, მოჰყვება სერიოზული შედეგები, რომლებიც შეუსაბამოა ზემოხსენებულ პრინციპებთან და, შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია მათი გვერდის ავლა (*Lawless*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1961 წლის 1 ივლისი, სერია A №3, გვერდი 52, და *Delcourt*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1970 წლის 17 იანვარი, სერია A №11, გვერდები 14-15).

სასამართლოს აზრით, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს დეტალურად აღწერა ის პროცედურული გარანტიები, რომლებიც მინიჭებული აქვთ მხარეებს სასამართლო პროცესის დროს, პირველ რიგში კი არ დაეცვა ის გარანტია, რომელიც თავისთავად იძლევა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გარანტიას. სასამართლო პროცესის პატიოსნების, საჯაროობისა და სისწრაფის მახასიათებლებს არ გააჩნიათ არანაირი ფასი, თუ არ არსებობს თვით სასამართლო პროცესი.

36. ყველა ზემოხსენებული მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული უფლების შემადგენელ ნაწილს. ეს არ არის გავრცობილი განმარტება, რომელსაც ხელშემკერედი სახელმწიფოებისთვის ძალაში შეჰყავს ახალი ვალდებულებები: იგი ემყარება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადების დებულებებს, აღქმულს თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია კანონის ძალის მქონე ხელშეკრულების – კონვენციის დანიშნულებასა და მიზანთან (იხ. *Wemhoff*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A №7, გვერდი 23, პუნქტი 8) და სამართლის ზოგად პრინციპებთან.

ამრიგად, სასამართლო, „ინტერპრეტაციის დამხმარე საშუალებებისადმი“ მიმართვის გარეშე, როგორც ეს განსაზღვრულია ვენის კონვენციის 32-ე მუხლით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს ნებისმიერი პირის უფლებას, წარუდგინოს სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული საჩივარი სასამართლოს ან ტრიბუნალს. ასე რომ, ეს მუხლი მოიცავს „უფლებას სასამართლოზე“, ხოლო სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება (რაც გულისხმობს უფლებას, აღძრა სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოება სასამართლოში) მხოლოდ ერთ ასპექტს წარმოადგენს. ამას ემატება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი გარანტიები, რომლებიც ეხება სასამართლოს ორგანიზებასა და შემადგენლობას, სასამართლო პროცესების წარმართვას. ჯამში, ყველაფერი ეს ქმნის უფლებას საქმის პატიოსან განხილვაზე. წინამდებარე საქმეში სასამართლოს არ ესაჭიროება იმის დადგენა, მოითხოვს თუ არა და რა ზომით მოითხოვს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არსებითი გადაწყვეტილების მიღებას სადავო საკითხის არსზე (ინგლისურად *determination*, ხოლო ფრანგულად *décidera*).

#### ბ. „ნაბულისხმევი შეზღუდვები“

37. გამომდინარე იქედან, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე დაწესებულმა ბარიერმა, რომელიც ნახსენები იყო წინამდებარე საქმის 26-ე პუნქტში, ზეგავლენა მოახდინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებაზე, განსახილველი რჩება, გამართლებული იყო თუ არა უფლების განხორციელებაზე დაწესებული კანონიერი შეზღუდვა.

38. ითვალისწინებს რა კომისიისა და მთავრობის მოსაზრებებს, სასამართლო თვლის, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური არ არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის უფლება, რომელსაც კონვენცია განსაზღვრავს (მე-13, მე-14 მე-17 და 25-ე მუხლები) ვიწრო გაგების გარეშე, არსებობს იმის შესაძლებლობა (გარდა ნებისმიერი უფლების არსის შემზღუდველი საზღვრებისა), რომ შეზღუდვა ნებადართული იყოს.

1952 წლის 20 მარტის პირველი ოქმის მე-2 მუხლის 1-ლი წინადადება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აცხადებს, რომ „არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე“, წარმოქმნის ანალოგიურ პრობლემას. 1968 წლის 23 ივლისს, საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილ განაჩენში, რომელიც ეხებოდა ბელგიაში სხვადასხვა ენების გამოყენებასთან დაკავშირებულ კანონებს, სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

„განათლების უფლება, ... თავისი ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროებს რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან, რეგულირებას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროში და ადგილში საზოგადოებისა და კერძო პირების ინტერესების შესაბამისად. რა თქმა უნდა, ასეთმა რეგულირებამ არასოდეს არ უნდა შელახოს განათლების უფლების არსი, ისევე, როგორც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა უფლებას“ (სერია A №6, გვ. 32, პუნქტი 5).

ეს მოსაზრებები უფრო მეტად ეხება იმ უფლებას, რომელიც, განათლების უფლებისგან განსხვავებით, არ არის გამოხატული გამოკვეთილი დებულებებით.

39. მთავრობამ და კომისიამ წარმოადგინეს რეგულირების, განსაკუთრებით კი შეზღუდვების მაგალითები, რომლებიც მოიპოვება მათ ეროვნულ კანონმდებლობაში სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ასეთ მაგალითს წარმოადგენს რეგულირება, რომელიც ეხება მცირეწლოვან და სულიერად ავადმყოფ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო იშვიათად ხდება და სულ სხვა სახისაა, შეზღუდვა, რომელთან დაკავშირებითაც გოლდერი ჩიოდა, წარმოადგენს ასეთი შეზღუდვის განსხვავებულ მაგალითს.

სასამართლოს ფუნქციაში არ შედის ზოგადი თეორიის შემუშავება იმ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებიც ნებადართულია მსჯავრდებულ პირებთან მიმართებაში, ისევე როგორც *in abstracto* განმარტება იმისა, შეესაბამება თუ არა კონვენციას ციხის 1964 წლის წესების 33-ე წესის მე-2 პუნქტი, 34-ე წესის მე-8 პუნქტი და 37-ე წესის მე-2 პუნქტი. ამ საქმის (რომელიც წარმოიშვა კერძო პირის მიერ შეტანილი პეტიციის საფუძველზე) განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმ საკითხზე, დაარღვია თუ არა ხსენებული წესების გამოყენებამ კონვენცია გოლდერის საზიანოდ წინამდებარე საქმეში (De Becker-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1962 წლის 27 მარტი, სერია A №4, გვერდი 26).

40. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა შემდეგი:

მიმართა რა შინაგან საქმეთა მინისტრს პეტიციით, ნება დაერთო, კონსულტაცია გაემართა ადვოკატთან ლეირდის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის სარჩელის აღძვრის მიზნით, გოლდერი ცდილობდა, გაემართლებინა საკუთარი თავი მის წინააღმდეგ ციხის ოფიცრის მიერ 1969 წლის 25 ოქტომბერს წაყენებულ ბრალდებაში, რომელმაც მისთვის არასასურველი შედეგები გამოიწვია, ზოგიერთი ეს შედეგი კი 1970 წლის 20 მარტისთვისაც არსებობდა (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-12, მე-15 და მე-16 პუნქტები). ამას გარდა, შესაბამისი სამართალწარმოება შეხებაში იქნებოდა იმ ინციდენტთან, რომელიც დაკავშირებული იყო ციხის ცხოვრებასთან და ადგილი ჰქონდა განმცხადებლის პატიმრობის დროს. და ბოლოს, ის სამართალწარმოება მიმართული იქნებოდა ციხის ადმინისტრაციის იმ თანამშრომლის წინააღმდეგ, რომელიც ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს და სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დროს ბრალი დასდო განმცხადებელს.

ასეთ გარემოებებში გამართლებული იქნებოდა გოლდერის სურვილი, კონსულტაცია ეწარმოებინა თავის ადვოკატთან სამართალწარმოების აღძვრის მიზნით. შინაგან საქმეთა მინისტრს არ ჰქონდა უფლება, შეეფასებინა გოლდერის მიერ ჩაფიქრებული ღონისძიება, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს უნდა გაეკეთებინა.

## II. მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევა

41. კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით (მოხსენების პუნქტი 123), „იგივე ფაქტები, რომლებიც წარმოადგენს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, ამავედროულად მე-8 მუხლის დარღვევასაც წარმოადგენს“. მთავრობა არ ეთანხმება ხსენებულ მოსაზრებას.

42. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.



2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რომელიც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უწყსრიგობის თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

43. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1970 წლის 20 მარტის პეტიციის უარყოფამ მისივე და უშუალო ზეგავლენა იქონია გოლდერსა და მის ადვოკატს შორის რაიმე სახის კავშირის (კავშირის ისეთი ჩვეულებრივი ფორმისაც კი, როგორიცაა კორესპონდენცია) შესაძლებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არ ჰქონია ისეთი გზავნილის შექმერებას ან ცენზურას, როგორიცაა, მაგალითად, გოლდერის მიერ ადვოკატისთვის მიწერილი წერილი ან პირიქით, ადვოკატის მიერ გოლდერისთვის მიწერილი წერილი, რომლებიც წარმოადგენს კორესპონდენციას მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით, არ იქნებოდა მართებული, დაგვესკვნა, როგორც ეს მთავრობამ გააკეთა, რომ ხსენებული ტექსტი არ გამოიყენება. კორესპონდენციის წარმოებაში ადამიანისთვის დაბრკოლების შექმნა წარმოადგენს „კორესპონდენციის პატივისცემის უფლების“ განხორციელებაში „ჩარევის“ გავრცელებულ ფორმას (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი). წარმოუდგენელია, რომ იგი არ ხვდებოდეს მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში, მაშინ, როდესაც ამ მუხლის მოქმედების ფარგლებში ჩვეულებრივი ზედამხედველობა ხვდება. ყველა შემთხვევაში, მიუხედავად შინაგან საქმეთა მინისტრის უარისა, თუ გოლდერი შეეცდებოდა, მიეწერა ადვოკატისთვის, თუნდაც ნებართვის თხოვნის გარეშე, კორესპონდენცია შექმერებული იქნებოდა და შემდეგ განმცხადებელს ექნებოდა საშუალება, დაყრდნობოდა მე-8 მუხლს. პარადოქსულ და არაობიექტურ დასკვნამდე მივალთ, თუკი ჩავთვლით, რომ ციხის 1964 წლის წესების დებულებათა შესრულების გამო მან ვეღარ ისარგებლა მე-8 მუხლით გარანტირებული დაცვით. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია თვლის თავს, განსაზღვროს, წარმოადგენდა თუ არა განმცხადებლის თხოვნის უარყოფა მე-8 მუხლის დარღვევას.

44. მთავრობის მტკიცებით, კორესპონდენციის პატივისცემის უფლება, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების გარდა, ექვემდებარება ისეთი ხასიათის შეზღუდვებს, რომლებიც, *inter alia*, გამომდინარეობს მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის დებულებებიდან: პატიმრობის განაჩენს, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი მსჯავრდების საფუძველზე, მოჰყვება ისეთი შედეგები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონვენციის მუხლებზე, მათ შორის მე-8 მუხლზეც.

როგორც ამას ხაზი გაუსვა კომისიამ, ხსენებული მტკიცება არ არის დაკავშირებული საკითხისადმი იმ მიდგომასთან, რომელიც სასამართლომ გამოამჟღავნა მე-8 მუხლის საფუძველზე წამოჭრილ საკითხთან „მაწანწალათა“ საქმეებში (*De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №8, გვერდები 45-46, პუნქტი 93). დამატებით და განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობის მტკიცება ეწინააღმდეგება მე-8 მუხლის ზედმიწევნით განსაზღვრულ ტექსტს. შეზღუდული ფორმულირება, რომელიც გამოყენებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში („დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ... გარდა ისეთი ჩარევისა, როგორიცაა...“), არ იძლევა ნაგულისხმევი შეზღუდვების კონცეფციის არსებობის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით, კორესპონდენციის პატივისცემის უფლების კანონიერი სტატუსი, რომელიც საკმაოდ ზუსტად არის განსაზღვრული მე-8 მუხლით, წარმოადგენს სასამართლოზე უფლების აშკარა კონტრასტს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 38).

45. მთავრობის მტკიცებით, სადავო ჩარევა აკმაყოფილებდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით ნათლად განსაზღვრულ პირობებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩარევა განხორციელდა „კანონთან შესაბამისობაში“, ანუ ციხის 1964 წლის წესების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტთან და 34-ე მუხლის მე-8 პუნქტთან შესაბამისობაში (იხ. განაჩენის პუნქტი 17).

სასამართლო უშვებს, რომ მსჯავრდებული პატიმრის მიერ კორესპონდენციის უფლების განხორციელებაში ჩარევის „აუცილებლობა“ შეფასებული უნდა იქნეს პატიმრობის ჩვეულებრივი და მიზანშეწონილი მოთხოვნების გათვალისწინებით. მაგალითად, „უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის“ გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩარევა პატიმართან მიმართებაში უფრო ფართოდ განხორციელდეს, ვიდრე თავისუფლებაში მყოფ პირთან. ამ შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში, მე-5 მუხლის გაგებით კანონიერი თავისუფლების აღკვეთა არ იჭრება მე-8 მუხლის განხორციელებაში.

1971 წლის 18 ივნისის ზემოხსენებულ განაჩენში სასამართლომ დაასკვნა, რომ „იმ საქმეებშიც კი, რომლებშიც პირები დაკავებული არიან მაწანწალობისათვის“ (მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტი) და სასამართლო მსჯავრდების შედეგად არ შეეფარდათ პატიმრობა, ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოებს შეიძლება გააჩნდეთ „საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ „აუცილებელი“ იყოს შეზღუდვების დაწესება უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის“. თუმცა იმ ცალკეულ საქმეებში საკითხი არ შეხება განმცხადებლებისათვის კორესპონდენციის წარმოების აკრძალვას, საკითხი ეხებოდა მხოლოდ ზედამხედველობას, რომელიც არ ყოფილა გამოყენებული რიგ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც საქმე ეხებოდა მაწანწალებსა და მათ მიერ არჩეულ ადვოკატს შორის კავშირს (სერია A №12, გვერდი 26, პუნქტი 39 და გვერდი 45, პუნქტი 93).

გოლდერის მიერ გასაჩივრებული ჩარევის „აუცილებელი“ ხასიათის სადემონსტრაციოდ მთავრობამ მიაჩნა უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთის მიზანსა და გარკვეულწილად საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაითვალისწინებდით შეფასების უფლებამოსილებას, რომელიც მინიჭებული აქვთ ხელშემკერდელ სახელმწიფოებს, სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლებოდა, ამ მოსაზრებებს, როგორც ისინი აღიქმება „დემოკრატიულ“ საზოგადოებაში, დაევალებულიყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, აეკრძალა გოლდერისათვის ადვოკატთან კორესპონდენციის წარმოება ლეიზრის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის საქმის აღძვრის მიზნით. სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გოლდერი ცდილობდა, თავი გაემართლებინა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაში, რომელიც მას დასდო ციხის ოფიცერმა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების პროცესში და დაკავშირებული იყო ციხეში მომხდარ ინციდენტთან. ამ გარემოებებში გოლდერის სურვილი, მიეწერა თავისი ადვოკატისათვის, შეიძლება გამართლებულად ჩათვლილიყო. შინაგან საქმეთა მინისტრის კომპეტენციაში არ შედიოდა (ისევე, როგორც დღეს სასამართლო არ აკეთებს ამას) ჩაფიქრებული საქმის პერსპექტივის შეფასება; განმცხადებლისათვის რჩევა მის უფლებებთან დაკავშირებით უნდა მიეცა ადვოკატს. შემდეგ კი სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომელიც შეიძლებოდა აღძრულიყო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ იგი არ წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რადგან განმცხადებლის მიმოწერა თავის ადვოკატთან იქნებოდა მოსამზადებელი ეტაპი იმისათვის, რომ აღედგინა სამოქალაქო სამართლებრივი სამართალწარმოება და განეხორციელებინა უფლება, რომელიც განსაზღვრულია კონვენციის მე-6 მუხლში.

სასამართლო მიდის იმ გადაწყვეტილებამდე, რომ აღგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას.

### III. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენება

46. კონვენციის 50-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, როგორც ეს ამ საქმეში მოხდა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რომელიმე უფლებამოსილი ორგანოს მიერ „გამოტანილი ... გადაწყვეტილება“ „მთლიანად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება კონვენციიდან წარმოშობილ ვალდებულებებს და თუ (სახელმწიფოს) შიდასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურების შესაძლებლობას“, სასამართლო „საჭიროების შემთხვევაში ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას“.

სასამართლოს რეგლამენტის თანახმად, როდესაც სასამართლო „ადგენს კონვენციის დარღვევას, მან იმავე განაჩენში უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუკი ეს საკითხი, მას შემდეგ, რაც ხელმეორედ იქნება წამოჭრილი 47-ე მუხლის საფუძველზე, მზადაა გადაწყვეტილების გამოტანისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი საკითხი არ არის მომზადებული გადაწყვეტილების გამოსატანად“, სასამართლო გადადებს საკითხის განხილვას მთლიანად ან ნაწილობრივ და დაადგენს შემდგომ პროცედურას“ (რეგლამენტის 50 მუხლის მე-3 პუნქტის 1-ლი წინადადება, რეგლამენტის 48 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად).

1974 წლის 11 ოქტომბრის მოსმენაზე სასამართლომ 47-ე მუხლის შესაბამისად მოიწვია მხარეები, რათა წარმოედგინათ მიმოხილვები წინამდებარე საქმეში 50-ე მუხლის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. მიმოხილვები მეორე დღეს იქნა წარმოდგენილი.

ამას გარდა, სასამართლოს პრეზიდენტის შეკითხვაზე, რომელიც დასმული იქნა კომისიის საბოლოო მოსაზრებების წარმოდგენისთანავე, მთავარმა დელეგატმა დაადასტურა, რომ კომისია არ წარმოადგენდა და არც შემდგომში აპირებდა განმცხადებლის მხრიდან სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხის დასმას.

შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ ზემოხსენებული საკითხი, რომელიც სათანადოდ იქნა წამოყენებული სასამართლოს მიერ, მზად არის გადაწყვეტილების გამოსატანად და მისი განხილვა უნდა გაიმართოს საკითხის გადაუდებლად. სასამართლოს აზრით, საქმის პირობებიდან გამომდინარე საჭირო არ არის განმცხადებლისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მინჭება რაიმე სხვა სახით, გარდა კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევის დადგენისა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს:

1. ცხრა ხმით სამის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
2. ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას;
3. ერთხმად, რომ სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნები თავისთავად წარმოადგენს ადეკვატურ სამართლიან დაკმაყოფილებას 50-ე მუხლის თანახმად.

შესრულებულია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 1975 წლის 21 თებერვალს. ფრანგული ტექსტი ავთენტურია.

ხელმოწერილია: გიორგიო ბალადორე პალიერი,  
პრეზიდენტი

ხელმოწერილია: მარკ-ანდრე ეისენი,  
რეგისტრატორი

მოსამართლეებმა: ვედროსმა, ზეკიამ და სერ ჯერალდ ფითსმორისმა, კონვენციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად და სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე განაჩენს თან დაურთეს თავიანთი განსხვავებული აზრები.

ინიციალები: გ. ბ. პ.

ინიციალები: მ.-ა. ე.

### მოსამართლე ვერდროსის განსხვავებული აზრი

მე ხმა მივეცი განაჩენს იმ ნაწილში, რომელიც ეხება მე-8 მუხლის დარღვევასა და 50-ე მუხლის გამოყენებას, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ შევძელი, დავთანხმებოდი უმრავლესობას მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განმარტებაში შემდეგ მიზეზთა გამო:

კონვენცია ნათლად ახდენს გამიჯვნას იმ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის, რომლებსაც თავად იცავს (მუხლი 1), და მათ შორის, რომლებსაც ხელშემკერელი სახელმწიფოების შიდა სამართალში უდევს საფუძველი (მუხლი 60). კონვენციის პრეამბულის ბოლო ნაწილის თანახმად, სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, გადაეღათ პირველი ნაბიჯები „საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილ ცალკეულ უფლებათა“ კოლექტიური განხორციელებისათვის (*certaines des droits énoncés dans la Déclaration Universelle*) და, 1-ლი მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილ უფლებათა კატეგორია მოიცავს მხოლოდ კონვენციის „I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვები „დადგენილია“ და „განსაზღვრულია“ წარმოადგენს სინონიმებს, რადგანაც „განსაზღვრა“ ნიშნავს ნათლად, მკაფიოდ გადმოცემას. ჩემი აზრით, 1-ლი მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის შესაძლოა იყოს მხოლოდ კონვენციაში ნათელი დებულებებით ჩამოთვლილი უფლებები და თავისუფლებები, ან ისინი, რომლებიც ზემოხსენებულ უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება. მაგრამ არც ერთ ხსენებულ შემთხვევაში არ შეიძლება ვიპოვოთ გასაჩივრებული „ხელმისაწვდომობის უფლება სასამართლოზე“.

მართალია, რომ სასამართლოს უმრავლესობა შორს წავიდა, რათა აღმოეჩინა ეს უფლება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შემადგენელ კომპონენტებსა და კონვენციის სხვა დებულებებში.

თუმცა, ჩემი აზრით, ასეთი ინტერპრეტაცია წინააღმდეგობაში მოდის იმ ფაქტთან, რომ კონვენციის დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ აქტით უზრუნველყოფილ უფლებებსა და თავისუფლებებთან, ამავე დროს წარმოადგენს სასამართლოს იურისდიქციის საზღვრებს. ეს არის განსაკუთრებული იურისდიქცია რადგან იგი ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაწყვიტოს ხელშემკერელი სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოშობილი დავები. სხენებული იურისდიქციის ფარგლების დამდგენი ნორმები, შესაბამისად, განმარტებული უნდა იქნეს ზუსტად. ამიტომ მე არ ვთვლი, რომ აზრთა მიმდინარეობის საფუძველზე გაკეთებული ინტერპრეტაციის საშუალებით შესაძლებელია განვავრცოთ დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების საზღვრები. ამ დასკვნას სავალდებულოს ხდის კანონის გამჭვირვალობის საჭიროება: სახელმწიფოები, რომლებმაც ცნეს კომისიისა და სასამართლოს იურისდიქცია კონვენციით „განსაზღვრულ“ (*définis*) „ცალკეულ“ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებაში დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ დადგენილი საზღვრები მკაცრად იქნება დაცული.

ზემოხსენებული დასკვნა არ შეიძლება გაბათილებული იქნეს იმ არგუმენტით, რომლის ძალითაც უფლება საქმის პატიოსან განხილვაზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, რომელიც დაცულია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, მოიაზრებს უფლებას სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე. როგორც ჩანს, კონვენციამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ასეთი უფლება, გარკვეული გამოწვევების გარდა, ისე კარგად იქნა შესისხლხორცებული ცივილიზებული ევროპული სახელმწიფოების შიდა სამართალში, რომ არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენს მისი დამატებითი უზრუნველყოფა იმ პროცედურებით, რომლებიც კონვენციამ დაადგინა. შეუძლებელია რაიმე სხვა მიზეზის არსებობა, რათა აიხსნას, თუ რატომ შეიკავეს კონვენციის ავტორებმა თავი, ფორმალურად მაინც ჩაეწერათ ეს უფლებაში. ამიტომ, ჩემი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კონვენციით დადგენილი სამართლებრივი ორგანოები და კონვენციით გარანტირებული უფლებები. კონვენცია მოიაზრებს როგორც სასამართლოებისა და საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ორგანოების არსებობას, ისევე, პრინციპში, ითვალისწინებს უფლებას სამოქალაქო საქმეებში სასამართლოზე ხელმისაწვდომობაზე, რადგან ასეთი უფლების გარეშე არც ერთ სამოქალაქო სასამართლოს არ შეუძლია თავისი საქმიანობის განხორციელება.

ჩემი მოსაზრების უარყოფა არ შეიძლება იმ მტკიცებითაც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელმისაწვდომობის უფლებას საფუძველი მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობაში ექნებოდა, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები შეძლებდნენ, ამ უფლების გაუქმებით ძალა წაერთმიათ კონვენციის ყველა იმ დებულებისათვის, რომელიც სამოქალაქო საქმეებში სასამართლო დაცვასთან არის დაკავშირებული. ამიტომ თუ ეს სახელმწიფოები რეალურად გადაწყვეტდნენ ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი დასაყრდენის განადგურებას, ამით ისინი ჩაიდენდნენ მათივე სურვილის (შეექმნათ სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა „ადამიანის უფლებათა საერთო გაგებასა და მათ დაცვაზე, რაზეც ისინი დამოკიდებულნი არიან“) წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას (პრეამბულის მე-4 აბზაცი).

## მოსამართლე ზეკიას განსხვავებული აზრი

მე პატივისცემით ვუერთდები განაჩენის შესავალ ნაწილს, რომელიც ეხება პროცედურასა და ფაქტებს, ისევე, როგორც დასკვნით ნაწილს, რომელიც ეხება კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენებას წინამდებარე საქმესთან მიმართებაში. მე ასევე ვეთანხმები იმ დასკვნას, რომლის თანახმადაც ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, თუმცა მცირეოდენ განსხვავებული მოტივით.

მე ვერ დავეთანხმე ჩემს ცნობილ კოლეგებს მათ მიერ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ინტერპრეტაციაში და მათ მიერ გაკეთებულ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება წაკითხული უნდა იქნეს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში და უნდა ჩაითვალოს, რომ ამ მუხლში იგულისხმება ეს უფლება. მათ მიერ გაკეთებული განმარტების შედეგს წარმოადგენს ის, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ვინაიდან მისცა პატიმარ გოლდერს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენების ნება.

შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ განვმარტო ჩემი განსხვავებული აზრი განაჩენის ამ ნაწილთან დაკავშირებით.

ეჭვს არ ბადებს, რომ პასუხი კითხვაზე, მოიცავს თუ არა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი უფლებას სასამართლოზე ხელმისაწვდომობაზე, დამოკიდებულია ხსენებული მუხლის განმარტებაზე. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოვალეობების შესრულებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ორივე მხარის წარმომადგენლებმა.

როგორც ჩანს, არსებობს ვირტუალური კონსენსუსი იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ სახელშეკრულებო სამართლის ვენის კონვენციის 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლები, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ უკუქცევითი ძალა, შეიცავენ ხელშეკრულებათა განმარტების სახელმძღვანელო პრინციპებს. ამიტომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებათა განმარტებისას დასაშვებია ხსენებული წესების გამოყენება.

ვენის კონვენციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულება განმარტებული უნდა იქნეს კეთილსინდისიერად, ხელშეკრულების ტერმინების ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად მათივე კონტექსტში და კონვენციის დანიშნულებისა და მიზნის გათვალისწინებით.“ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით არ ისმის არანაირი კითხვა, ამიტომ განხილვას ექვემდებარება: (ა) ტექსტი, (ბ) კონტექსტი, (გ) დანიშნულება და მიზანი. ბოლო ორი ელემენტი შესაძლოა დაემთხვეს ერთმანეთს.

### ა. ტექსტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნენ დაშვებულნი მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს

არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა თუ სასამართლოს შეხედულებით ეს სრულიად აუცილებელია, ვინაიდან განსაკუთრებულ გარემოებებში საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.“

ზემოხსენებული მუხლი, აღქმული მარტივი და ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ეხება ადამიანისთვის წაყენებულ სისხლისსამართლებრივ ბრალდებებსა და ადამიანის სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს, როდესაც ეს უფლებები და ვალდებულებები წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს. სწორედ ის ფაქტი, რომ სიტყვები, რომლებიც თან მოსდევს მუხლის დასაწყისს: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას“, ეხება მხოლოდ სამართალწარმოების ხასიათს, ე.ი. კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენას და განაჩენის საჯაროდ გამოცხადებას. ამას ემატება კიდევ ერთი ფაქტი: გამონაკლისები და/ან შეზღუდვები, რომლებიც დეტალურად არის მოცემული ამავე პუნქტში, აქაც მხოლოდ სასამართლო სამართალწარმოების საჯაროობას ეხება და სხვას არაფერს, ისინი ხაზგასმით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ეხება მხოლოდ იმ სამართალწარმოებას, რომელიც უკვე აღძრულია სასამართლოში, და არა იმ უფლებას, რომელიც გულისხმობს სასამართლოზე ხელმისაწვდომობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მიმართულია მხოლოდ სამართლიანი და პატიოსანი განხილვის თავისებურებებისკენ.

მითითება იქნა გაკეთებული მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფრანგულ ვერსიაზე, განსაკუთრებით კი ხსენებული მუხლის სიტყვებზე *contestations sur ses droits*. წარმოდგენილი იქნა მოსაზრება, რომ ზემოხსენებული სიტყვები ატარებს უფრო ფართო მნიშვნელობას, ვიდრე შესატყვისი ინგლისური ტექსტი. ფრანგულ ტექსტში სიტყვები მოიცავს, როგორც ეს მტკიცდება, საჩივრებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ სასამართლო ეტაპამდე.

ინგლისური და ფრანგული ტექსტები ორივე ავთენტურია. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ტექსტში გამოყენებული სიტყვები შეესაბამება მხოლოდ მათ ვიწრო განმარტებას, შედეგად მივიღებთ იმას, რომ ორივე ტექსტი ერთმანეთს შეესატყვისება ვიწრო განმარტების შემთხვევაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოვიყენებთ ვენის კონვენციის 33-ე მუხლს, რათა დავადგინოთ, რომელ ტექსტს გააჩნია უპირატესი ძალა, სახელმძღვანელოდ უნდა გამოვიყენოთ ამავე კონვენციის 31-ე და 32-ე მუხლები. განვახორციელე რა ზემოხსენებული, მე ვერ აღმოვაჩინე საკამარისი მიზეზი იმისათვის, რომ შემეცვალა ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება. მით უმეტეს, რომ ტექსტის ფორმულირება უეჭველად „მისი ინტერპრეტაციის უპირველესი წყაროა“.

## ბ. კონტექსტი

ახლა განვიხილავ მე-6 მუხლის კონტექსტს. როგორც ადრე განვაცხადე, ამ ასპექტის განხილვა ემთხვევა იმ მოსაზრებებს, რომლებიც ეხება ხელშეკრულების დანიშნულებასა და მიზანს. თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ინტერპრეტაცია წარმოადგენს ერთჯერად გაერთიანებულ ქმედებას, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტს, როგორც ერთ მთლიანს.

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შედის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის I ნაწილში, რომელიც მოიცავს მუხლებს 2-დან 18-ის ჩათვლით. აღნიშნული მუხლები განსაზღვრავს უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც

მინიჭებული აქვთ ადამიანებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში. 1-ლი მუხლი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების ყველასათვის უზრუნველყოფას“. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები დაკავშირებულია კონვენციაში განსაზღვრულ უფლებებთან და თავისუფლებებთან. თითქმის შეუძლებლად მესახება, ვინმემ ამტკიცოს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

I-ლი თავის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ეხება სამართალწარმოებას, რომელიც უნდა განხორციელდეს სასამართლოში, რათა გადაწყდეს პატიმრობის კანონიერება თუ უკანონობა და უკანონო პატიმრობის შედეგად დაზარალებულს მიანიჭოს ქმედითი უფლება კომპენსაციაზე.

მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები ეხება ისეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია აზრთან, გამოხატვასთან, რელიგიასთან, მშვიდობიან შეკრებასა და გაერთიანებასთან და სხვ. ამ მუხლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ყოველი მუხლი დეტალურად აღწერს უფლებაზე თანდართულ აკრძალვასა და შეზღუდვას.

მე-13 მუხლის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა ჩადენილია პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.“

ხსენებული მუხლი მიანიშნებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებაზე იმ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოთვლილია კონვენციაში. ჩემი აზრით, სასამართლოები შედის „ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოებში“, რომლებიც მოხსენებულია მე-13 მუხლში.

მე-17 მუხლის თანახმად, *inter alia*, დაუშვებელია უფლებათა და თავისუფლებათა იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს კონვენციით არის დადგენილი.

აღნიშნულ შემთხვევაში ეს მუხლი გამოიყენება იმ ასპექტში, რომ თუ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება აღქმული უნდა იქნეს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, ხელმისაწვდომობის ასეთი უფლება უნდა იყოს აბსოლუტური, რადგან ამ უფლებასთან დაკავშირებით არ არის ნახსენები არავითარი აკრძალვა ან შეზღუდვა. არავის შეუძლია სერიოზულად ამტკიცოს, რომ კონვენცია ითვალისწინებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის აბსოლუტურ და შეუზღუდავ უფლებას.

ყველასათვის ცნობილია და შემდგომი მტკიცების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება, როგორც წესი, არსებობს ყველა ცივილიზებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი უფლება და მისი განხორციელება ხშირად რეგულირდება კონსტიტუციით, კანონმდებლობით და კანონქვემდებარე აქტებით, როგორიც არის, მაგალითად, ბრძანებები და სასამართლო რეგლამენტი.



კონვენციის მე-60 მუხლი არ ეხება ადამიანის იმ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით. გვევლინება რა როგორც ადამიანის უფლება, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ერთ-ერთს იმ უფლებათაგან, რომლებიც მითითებულია მე-60 მუხლში. ეს გარკვეულწილად ავსებს ხარვეზს იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებაშიც კონვენციით ხელმისაწვდომობის არანაირი კონკრეტული დებულება არ არის გათვალისწინებული.

სასამართლოების კომპეტენცია, ისევე, როგორც იმ პირთა უფლება, რომლებიც უფლებამოსილი არიან, სასამართლოში აღძრან სამართალწარმოება, რეგულირდება კანონითა და დადგენილებებით, როგორც ეს ზემოთ იყო მითითებული. სამართალწარმოება აღიძვრება პირველი ინსტანციის ან ზემდგომი სასამართლოს სამდივნოში სარჩელის, პეტიციისა თუ განაცხადის შეტანის საფუძველზე. ამასთან, გადახდილი უნდა იქნეს დადგენილი გადასახადი (თუკი მოსარჩელეს სამართლებრივი დახმარება არა აქვს მინიჭებული), რის შემდეგაც გამოიცემა გამოცხადების უწყება ან სხვა შეტყობინებები. ადამიანებს შესაძლოა უპირობოდ ან გარკვეული პირობების თანახმად აღეკვეთოთ სამართალწარმოების აღძვრის შესაძლებლობა მათი ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობის, სასამართლო პროცესის არასერიოზული თუ არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვის გამოყენების გამო. არ არის გამორიცხული ხარჯების უზრუნველყოფისთვის ვალდებულების დაკისრება და ა.შ.

სამართალწარმოების აღძვრის შემდეგ საქმის მოსმენამდე არსებობს მრავალი საპროცედურო საფეხური. პალატაში, და არა ღია სასამართლოში, სასამართლო განმკარგულებელს ან მოსამართლეს უფლება აქვს, ცალკეული კატეგორიის საქმეებში გამარტივებული წესით საბოლოოდ განიხილოს ის პრეტენზია, რომელიც მოცემულია სარჩელში, პეტიციასა და განაცხადში. ამის მაგალითია, როდესაც პრეტენზია მოცემულია სარჩელის აღმძვრელ განაცხადში, ან როგორც ეს მოცემულია მხარის წერილობით არგუმენტაციაში, და სარჩელის მიზეზი არ არის გამჟღავნებული, ან იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე ან მოპასუხე, მისი პასუხი თუ დაცვის მხარის მოსაზრება არ წარმოადგენს სამართლებრივად გამართლებულ დაცვას.

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილის მიზანია, ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ იმ შემთხვევაში, კონვენციის მიზანი რომ ყოფილიყო სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ქცევა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განუყოფელ ნაწილად, ის ადამიანები, ვისაც კონვენციის ტექსტის შექმნა ეკისრა, ადამიანის უფლებისა და თავისუფლების განსაზღვრის შემდეგ უეჭველად გააგრძელებდნენ უცვლელ პრაქტიკას და დაადგენდნენ ასეთი უფლებისა თუ თავისუფლების შესატყვის აკრძალვებსა და შეზღუდვებს.

რა თქმა უნდა, კონვენციის მიზანი ხელშემკვრელი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში ხელმისაწვდომობაზე უფლების (კონვენციაში განსაზღვრული სხვა უფლებებისაგან დამოუკიდებლად) ყველას მიერ ეროვნული კანონმდებლობით შეუზღუდავად აღიარება რომ ყოფილიყო, მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ასეთი უფლება ნათლად ყოფილიყო ჩამოყალიბებული კონვენციაში. კონვენციის უფლებათა და თავისუფლებათა, ისევე, როგორც მათ შეზღუდვათა განსაზღვრისას გამოყენებული სიფრთხილე და გულმოდგინება პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ხელმისაწვდომობის უფლება არც აშკარადაა მოცემული და არც იგულისხმება და მოიაზრება.

დაისმის შემდეგი სახის კითხვა: თუ არ არსებობს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება, რა აზრი აქვს მაშინ იმ უამრავ დებულებას, რომლებიც ეხება სასამართლოში სამართალწარმოების წარმართვას?

მართლაც, თუ კონვენციაში არ იარსებებდა არც ერთი დებულება, რომელიც ეხება სასამართლოზე ხელმისაწვდომობას – თუმცა ეს ასე არ არის – მე ვადიარებდი, რომ საჭიროა ვიგულისხმოთ და მოვიზოროთ, რომ ასეთი უფლება ჩართულია კონვენციაში, თუმცა არა აუცილებლად კონკრეტულად ამ მუხლში. ვივარაუდებდი, რომ ხელშემკერდმა სახელმწიფოებმა ყოველგვარი ეჭვის გარეშე ცნეს ასეთი უფლების არსებობა.

გ. დანიშნულება და მიზანი

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობის დაკნინება, როდესაც მას ჩვეულებრივი მნიშვნელობით ვკითხულობთ და არ ვგულისხმობთ მასში სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი და საჯარო მოსმენა განაჩენის საჯაროდ გამოცხადებასთან ერთად – მიუხედავად იმისა, რომ ვინმეს ეს შესაძლოა პროცედურულ საკითხებად მიაჩნდეს – ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მართლმსაჯულების განხორციელებაში და ამიტომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იმსახურებს და გააჩნია კიდევაც ადამიანის უფლებათა ქარტილაში *raison d'être*, მასში ხელმისაწვდომობის უფლების მოაზრების გარეშე. მისი მოქმედების სფერო მაინც ძალიან ფართო იქნება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პრეამბულის ბოლო პუნქტი აცხადებს: „გადაწყვიტეს რა, როგორც ევროპული ქვეყნების მთავრობებმა, რომელნიც არიან თანამოაზრენი და აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილ, გარკვეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის“. ვფიქრობ, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა გაუმართლებლად არ ამახვილებდა ჩვენს ყურადღებას სიტყვებზე „გადადგან პირველი ნაბიჯები“ და სიტყვებზე „გარკვეულ უფლებათა განხორციელებისათვის“, რომლებიც გვხვდება ამ პუნქტში.

რაც შეეხება მინიშნებებს კონვენციის *travaux préparatoires*-ზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, დაფუძნების შესახებ ევროპულ კონვენციაზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო ქარტიასა და სხვა საერთაშორისო აქტებზე, მე მომხრე ვარ, გავაკეთო მხოლოდ მოკლე მიმოხილვა. დეკლარაციის *travaux préparatoires* ნათლად ითვალისწინებდა სიტყვებს „უფლება ხელმისაწვდომობაზე“, მაგრამ ხსენებული სიტყვები ამოღებული იქნა.

საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლი მოიცავს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას ადამიანის იმ ძირითად ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც მინიჭებულია კონსტიტუციითა და კანონით.

საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლი მეტ-ნაკლებად შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს. ამასთან, დეკლარაცია არ მიაჩნებს ხელმისაწვდომობის უფლებას. როგორც ჩანს, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეესატყვისება საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლსა და საერთაშორისო ქარტიის მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტს.

დაფუძნების შესახებ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი აშკარად აცხადებს „კომპეტენტურ სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.“ იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ქარტიის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე.

ზემოხსენებული მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ, როდესაც დააპირეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ჩართვა ხელშეკრულებაში, ეს ნათელი და გარკვევით ჩამოყალიბებული ფრაზებით გაკეთდა.

მე უკვე შევეცადე, შევხედოდი ინტერპრეტაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს. როდესაც ყველა ელემენტი ერთად არის აღებული და ერთობლიობაშია განხილული, ჩემი აზრით, ერთიანი ეფექტი უფრო მეტად განაპირობებს წარმოდგენილი მოსაზრების სისწორეს.

მე-8 მუხლთან დაკავშირებით:

შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელმაც არ დართო ნება პატიმარ გოლდერს, დაკავშირებოდა თავის ადვოკატს ციხის ოფიცერ ლეირდის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის საქმის აღძვრის მიზნით, ჩამოართვა მას უფლება, მიეღო დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსულტაცია.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ გოლდერს უარი ეთქვა მისი კორესპონდენციის პატივისცემის უფლებაზე და ამ შემთხვევაში ეს უარი წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას.

ცილისწამებისათვის აღძრულ საქმეში ბ-ნ ლეირდს შეეძლო ესარგებლა პრივილეგიით და ემტკიცებინა, რომ მისი მხრიდან მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია ბოროტ განზრახვას. არ იყო გამორიცხული, რომ შინაგან საქმეთა მინისტრსა და ციხეების მმართველს დასაბუთებულად ერწმუნათ, რომ გოლდერს არ ჰქონდა არავითარი შანსი, ბოლომდე მიეყვანა ცილისწამების საქმე, მაგრამ, პრინციპში, ვემხრობი იმ შეხედულებას, რომ პატიმარს უნდა ჰქონდეს ნებართვა, დაუკავშირდეს და აწარმოოს კონსულტაცია დამცველთან ან ადვოკატთან და მიიღოს დამოუკიდებელი სამართლებრივი რჩევები იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც არსებობს უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოსაზრებები პატიმართან დაკავშირებით.

## მოსამართლე სერ ჯერალდ ფითსმორისის განსხვავებული აზრი

შესავალი

1. ამ მოსაზრების I ნაწილში მოცემულ მიზეზთა გამო მაინც შევეუერთდი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევასთან. ამ საკითხთან მიმართებაში უნდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე საქმეში გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.

2. მეორეს მხრივ, არ შემიძლია დავეთანხმო სასამართლოს იმ მთავარ საკითხში, რომელიც დაკავშირებული იყო მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებასა და მის

განმარტებასთან, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის სავარაუდო უფლებასთან – აზრი, რომელიც აქ გამოითქვა, მდგომარეობს არა იმაში, უნდა უზრუნველყოფდეს თუ არა კონვენცია ასეთ უფლებას, არამედ იმაში, უზრუნველყოფილია თუ არა ის ამჟამად. ეს ზეგავლენას ახდენს იმ საკითხზე, თუ რა არის კანონიერი საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტებისას, როდესაც დაცულია ჯეროვანი განმარტებითი პროცესის ფარგლები, და ბოროტად არ ირღვევა ის არე, რომელიც შესაძლოა ესაზღვრებოდეს სასამართლო კანონმდებლობას. ამ საკითხს შევეხები ქვემოთ, II თავში.

3. ვერ ვხედავ იმ ფაქტების წარმოდგენის საჭიროებას, როლებსაც ადგილი ჰქონდა ამ საქმეში, რადგან ვეთანხმები მათ წარმოდგენას განაჩენში მოცემული სახით.

#### I თავი. კონვენციის მე-8 მუხლი

4. განსახილველი საკითხი, რომელიც წამოიჭრა კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმაში, დაარღვია თუ არა გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გოლდერისთვის დამცველთან კონსულტაციაზე უარის თქმით (შემდგომში სასჯელის სახით პარხრუსტის ციხეში პატიმრობით) კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება. კონვენციის მე-8 მუხლის დებულებების თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რომელიც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უწყსრიგობის თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

ამ დებულებასთან დაკავშირებით ორი ძირითადი კითხვა – ან ეჭვი – წარმოიშვა: მთლიანად გამოიყენება იგი წინამდებარე საქმის გარემოებებთან მიმართებაში თუ არა? და მეორე, თუკი იგი პრინციპში გამოიყენება, აწესებს თუ არა იგი რაიმე შეზღუდვას ან გამონაკლისს იმ წესზე, რომელსაც მოიცავს?

#### ა. გამოყენების საკითხი

5. გამოყენების საკითხთან დაკავშირებით ეჭვები ჩნდება ტერმინი „კორესპონდენციის“ მნიშვნელობის გარშემო, აგრეთვე, იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს „ჩარევას“ „კორესპონდენციის პატივისცემის უფლების განხორციელებაში“. ტერმინი „კორესპონდენცია“ ამ კონტექსტში თავისი ჩვეულებრივი და ლექსიკონით<sup>1</sup> მინიჭებული მნიშვნელობით აღნიშნავს უფრო მცირე რაიმეს, ვიდრე „დაკავშირება“ – ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს არის დაკავშირების ერთ-ერთი შესაძლო ფორმა. იგი ფაქტობრივად წარმოადგენს წერილობით კორესპონდენციას, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს დეპეშებს ან ტელექსურ შეტყობინებებს, მაგრამ არა ადამიანების უშუალო

<sup>1</sup> ოქსფორდის ლექსიკონის თანახმად, „კავშირი“ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კონტაქტის ან ზმნის „იქონიო კავშირი ან კონტაქტი“ „ნაცვლად“, მაგრამ ამ გამოთქმებს აცხადებს მოძველებულად, გარდა იმ კონტექსტისა, რომელშიც ეს უკანასკნელი გამოიყენება როგორც წერილები ან წერილობითი გზავნილები.

დაკავშირებას სიტყვიერად, ტელეფონით<sup>2</sup> ან ნიშნებით თუ სიგნალებით. აქედან გამომდინარე, არ ვიქნებოდი სწორი, თუ გავაიგივებდი ცნება „კორესპონდენციას“ ცნება „დაკავშირებასთან“. თუმცა რადგან აქ საქმე არ ეხება გოლდერის მიერ დამცველთან ტელეფონით დაკავშირების საკითხს, ეს მოსაზრება აღარ წამოიჭრება. რაც შეეხება წერილს, გოლდერს არასოდეს მიუწერია წერილი ადვოკატისათვის. არ არსებობდა წერილი, შესაბამისად, არ არსებობდა მისი შეჩერების ფაქტიც. ამრიგად, ადგილი არ ჰქონია კორესპონდენციაში ჩარევას, რადგან განმცხადებელსა და იმ დამცველს შორის, რომლისგანაც მას უნდა მიეღო სამართლებრივი რჩევა, არ წარმოებულა არავითარი კორესპონდენცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პარლამენტის წევრისთვის მიწერის მცდელობის დროს<sup>3</sup>. მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ გოლდერმა ნებართვა აიღო დამცველთან კონსულტაციის წარმოებაზე „იმ მიზნით, რომ აღედგრა სარჩელი ცილისწამებისათვის – რაც, ჩემი აზრით, უნდა განხორციელებულიყო (ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად მაინც) მისთვის წერილის მიწერაში“<sup>4</sup> – მას განუმარტეს, რომ არ ექნებოდა ამის უფლება – რაც სინამდვილეში ნიშნავდა, რომ ნებისმიერი წერილი შეჩერებული იქნებოდა – და განმცხადებელმა ამიტომ არ დაწერა ეს წერილი. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით არ ყოფილა ფაქტობრივი ჩარევა მის კორესპონდენციაში, მაგრამ, ჩემი აზრით, ადგილი ჰქონდა იმას, რაც ინგლისური ტერმინოლოგიით ნიშნავს „ნაგულისხმევ“ შეჩერებას ან ჩარევას. ვთვლი, რომ ეს უკანასკნელი დააწესებს შეუსაბამო და ფორმალურ შეზღუდვას კორესპონდენციაში ჩარევის ცნებაზე, რომელსაც შეეხება არ ექნება კორესპონდენციის იმ შემთხვევასთან, რომელსაც ადგილი არ ჰქონდა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ძალაუფლების განხორციელების უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელმა დაადგინა, რომ ეს დაუშვებელი იყო. ვფიქრობ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნებართვა გაცემული იქნებოდა, გოლდერი პრაქტიკულად ვერ ისარგებლებდა ამ უფლებით.

6. მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ხსენებული უარი დიდი ხნის განმავლობაში არ მოუსპობდა გოლდერს საშუალებას, აღედგრა თავისი სარჩელი, თუკი ამას აპირებდა – რადგან მას ექნებოდა ამისათვის საკმარისი დრო ციხიდან გათავისუფლების შემდეგ – რასაც არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია მე-8 მუხლთან დაკავშირებული საკითხისათვის. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის სავარაუდო უფლებასთან მიმართებაში და მეც მას სწორედ ამ კონტექსტში შევეხები.

7. მე-5 პუნქტში განხილული მოსაზრების ანალოგიური მოსაზრება წამოიჭრება იმასთან დაკავშირებით, თუ რას წარმოადგენს „უფლება“, რომელიც მითითებულია ფრაზაში „დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში“ და გვხვდება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის დასაწყისში, – ხოლო

<sup>2</sup> თავის ნაშრომში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების შესახებ“ ბ-ნი ჯ.ე.ს. ფაუკეტი ყურადღებას ამახვილებს გერმანული სასამართლოების პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც: „საუბარი, უშუალო თუ ტელეფონის საშუალებით, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ნაწილს (იხ. გვ. 194), პირადი ცხოვრების პატივისცემა კი სხვა კატეგორიაა, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით“.

<sup>3</sup> იხ. სასამართლოს განაჩენის მე-13 და მე-19 პუნქტები. გოლდერის პრეტენზია ამ თავთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ ცნობილი იქნა არსებით განხილვაზე დაუშვებლად, რადგან გაერთიანებულ სამეფოში მას ჰქონდა გასაჩივრების უფლება, რაც მან არ გამოიყენა. ასე რომ, განმცხადებელმა არ ამოწურა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები.

<sup>4</sup> გონიერული იქნებოდა, წარმოგვედგინა, რომ გოლდერის მცდელობა, ციხიდან ტელეფონით დაკავშირებოდა დამცველს (რის შესახებაც არავითარი მტკიცებულება არ არსებობს), წარუმატებელი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ მის კორესპონდენციაში არავითარ ჩარევას არ ექნებოდა ადგილი – მაგრამ იხ. მე-2 სქოლიოში პირადი ცხოვრების თეორია.

თვით უფლება განსაზღვრულია მე-8 მუხლის 1-ლ პუნქტში და წარმოადგენს ადამიანის უფლებას, „პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას“. ადგილი იქნებოდა, დაგვებოლოებინა არგუმენტი იმის აღნიშვნით, რომ კორესპონდენციის პატივისცემა არ არსებობს, თუ თვით კორესპონდენციის წარმოება არ არის ნებადართული. მაგრამ საკითხი არც თუ ისე ადვილად დგას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კორესპონდენციის პატივისცემა არსებობს მანამ, სანამ ადგილი არა აქვს ჩარევას კორესპონდენციაში, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, მაგრამ გამოყენებული სიტყვები არც გამოხატავს და არც გულისხმობს კორესპონდენციის არსებობის რაიმე გარანტიას; მაგალითად, კორესპონდენციის სრული აკრძალვა არ შეიძლება ჩაითვალოს უფლებაში ჩარევად. გარკვეული ელფერი შესაძლოა შესძინოს არგუმენტს კონტექსტმა, რომელშიც სიტყვა „კორესპონდენცია“ გვევლინება, კერძოდ კი „პირადი და ოჯახური ცხოვრება“, „საცხოვრებელი... და კორესპონდენცია“, რომელიც მიგვანიშნებს საცხოვრებელ ადგილზე და, შედეგად, ჩარევის იმ სავარაუდო ფორმაზე, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, თუკი ვინმეს პირადი ქაღალდები მის სახლში ან სასტუმროში ან პირადად იქნება გაჩხრეკილი და მნიშვნელოვანი წერილების კონფისკაციას და ამოღებას ექნება ადგილი. მაგრამ დაკავშირებულია კი ცნება საკითხის ამ ტიპთან? ეს ძალიან ვიწრო განმრტებას ჰგავს. უფლება, რომელშიც არ უნდა განხორციელდეს ჩარევა საჯარო ხელისუფლების მხრიდან, არის კორესპონდენციაზე „პატივისცემის უფლება“, და, ჩემი აზრით, ლოგიკური დასკვნის საფუძველზე, კორესპონდენციის პატივისცემას ადგილი მაშინ არა აქვს, როდესაც კორესპონდენციის კონფისკაციის თავიდან ასაცილებლად და შესაჩერებლად, რასაც სხვა შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, საჯარო ხელისუფლება წინასწარ კრძალავს მას.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლო განაჩენი ძალიან მნიშვნელოვან მოსაზრებას ამჟღავნებს, როდესაც მიაჩნია, რომ დაუშვებელი იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ მე-8 მუხლი გამოყენებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი გოლდერი წერილის საშუალებით მიმართავდა თავის ადვოკატს და წერილი შეჩერებული იქნებოდა, მაგრამ არ გამოიყენება, რადგან მას შეატყობინეს, რომ წერილი შეჩერებული იქნებოდა, თუკი ის მას დაწერდა, და ამიტომ მან წერილი არ დაწერა.

## ბ. შეზღუდვები და გამონაკლისები

8. არ შემიძლია, დავეთანხმო სასამართლოს განაჩენს იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც მე-8 მუხლის სტრუქტურა გამოირიცხავს მე-8 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში განსაზღვრული წესის მოქმედებაზე გამოუთქმელი, მაგრამ განუყოფელი შეზღუდვის მოქმედების შესაძლებლობასაც კი. ვინაიდან კორესპონდენციის „პატივისცემა“ – რასაც მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს – არ უნდა იქნეს გათანაბრებული კორესპონდენციის სრული თავისუფლების ცნებასთან,<sup>6</sup> მეორე პუნქტში ჩამოთვლილ გამონაკლისთა გარეშე კი გამოვიდოდა, რომ 1-ლი პუნქტი სამართლიანად შეიძლება ნიშნავდეს რაიმეს უფრო მცირეს, ვიდრე კორესპონდენციის სრული თავისუფლებაა ყველა შემთხვევასა და გარემოებაში. ჩემი აზრით, მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი აღქმული უნდა იქნეს ისე, რომ მოთხოვნილი

<sup>5</sup> ეს შესაძლებელია მთლად პატიოსნად არ გამოიყურებოდეს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, რომლის ქმედება მთლიანად შეესაბამებოდა ციხის წესებს, მაგრამ როდესაც გოლდერმა აიღო ნებართვა, ეწარმოებინა კონსულტაცია თავის დამცველთან, მას უარი ეთქვა. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ იმ შემთხვევაში თუკი იგი შეეცდებოდა, კონსულტაცია ეწარმოებინა იმ ერთადერთი პრაქტიკული საშუალებით – თავდაპირველად მაინც – კერძოდ წერილის საშუალებით, ეს უკანასკნელი შეჩერებული იქნებოდა (იხ. მე-4 სქოლიო).

<sup>6</sup> კმაყოფილი ვარ, რომ ჩემს მოსაზრებას მხარს უჭერს, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პრეზიდენტი, რომელიც ამბობს (იხ. მე-2 შენიშვნა, გვ. 196), რომ კორესპონდენციის „პატივისცემა“ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტში, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისგან განსხვავებით, არ მოიცავს შეუზღუდავ თავისუფლებას საქმეში.“

პატივისცემის ხარისხი რაღაც დონეზე უნდა შეესაბამებოდეს ზოგადად სიტუაციას და შესაბამისი პირის დანიშნულებას. აქედან გამომდინარე – და თუ არ გავცდებით წინამდებარე საქმის საზღვრებს – მართლზომიერად დაპატიმრებული პირის კორესპონდენციის კონტროლი არ არის შეუსაბამო მასთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ კონტროლს, ეფექტიანი რომ იყოს, უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, უკანასკნელი საშუალების სახით, შეაჩეროს კორესპონდენციის ან მისი ცალკეული ნაწილის წარმოება. ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობით ეს უნდა იყოს „განუყოფელი“ კორესპონდენციის კონტროლის ცნებაში, რომელიც სხვაგვარად ძალადაკარგული იქნებოდა გამონათქვამის სრული მნიშვნელობით. ბუნებრივია, რომ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რჩება, გამართლებული იყო თუ არა ცალკეულ გარემოებებში და ცალკეულ საქმეში განხორციელებული კონტროლის ხარისხი – ანუ მკაცრად შეესაბამებოდა თუ არა ცნებას „პატივისცემა“, ამის გონივრული მნიშვნელობით – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოიცავდა აკრძალვის ან შეჩერების ნაგულისხმევ საფრთხეს.

9. უეჭველია, რომ ვინაიდან კონვენციის შემქმნელებმა გააანალიზეს, რომ მე-8 მუხლში განსაზღვრული წესი ძალზე შეზღუდულად უნდა იქნეს აღქმული, რათა მისი გამოყენება საერთოდ შესაძლებელი იყოს, მათ დაუქვემდებარეს ის კონკრეტულ გამონაკლისებს; და თუმცა ეს ჩემი აზრით – იმ მიზეზთა გამო, რომლებიც სულ ახლახანს ჩამოვყალიბე – არ ამოწურავს უფლებაზე ყველა შესაძლო შეზღუდვას, ისინი საკმაოდ ფართო და ზოგადია იმისათვის, რომ მოიცვას ანალოგიურად წამოჭრილი საქმეები. ამ გამონაკლისთა ჩამოყალიბება არ არის საკმარისი ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამო: ნახსენებია ექვსი პუნქტი თუ კატეგორი, მაგრამ ისინი განთავსებულია სამიდან ორ ჯგუფში – და გაუგებარია, არის თუ არა აუცილებელი, რომ გამონაკლისის სადავო შემთხვევა მოხდეს ორივე ჯგუფის სამი პუნქტიდან ერთ-ერთში, თუ საკმარისია, ხვდებოდეს სამიდან ერთ-ერთ პუნქტში პირველ ან მეორე ჯგუფში. მე-8 მუხლის ინგლისურ ტექსტში არსებული ხსენებული გაურკვევლობის ახსნა (იხ. მე-4 პუნქტი ზემოთ)<sup>7</sup>, საბედნიეროდ, მე არ მჭირდება, რადგან ჩემთვის საკმარისია, რომ განხილული იქნა რა ცალკეული ტიპის საფუძველზე, პატიმრის კორესპონდენციის კონტროლი შესაძლოა მოხდეს როგორც „საზოგადოების უსაფრთხოების“, ასევე „უწყესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების“ პუნქტში და ამრიგად მოხდეს მისი კლასიფიცირება გამონაკლის კატეგორიად ამ დებულების შესაძლო ზემოხსენებული განმარტების ორივე კატეგორიიდან.

10. თუმცა არსებობს ბუნდოანების თუ გაურკვევლობის სხვა ელემენტიც. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია ჩარევა [კორესპონდენციასთან მიმართებაში], გარდა ისეთი ჩარევისა, რომელიც ... აუცილებელია [მაგ.] უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“. ამის ბუნებრივი მნიშვნელობა ასეთი იქნებოდა: იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში ჩარევა გამართლებული ყოფილიყო, ჩარევა „აუცილებელი“ უნდა ყოფილიყო იმ საქმეში „დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“ და სხვ. ამის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კონტროლი შესაძლოა პრინციპში საჭირო იყოს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და სხვ. (მაგალითად, პატიმრებს სხვაგვარად შეუძლიათ მოაწიონ გაქცევა ან დაგეგმონ სხვა დანაშაულები), ცალკეული ჩარევა (ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი შეჩერება) მაინც საჭიროებს გამართლებას აუცილებლობიდან გამომდინარე „...თავიდან ასაცილებლად“. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ერთი შეხედვით დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ აუცილებლობა დაკავშირებული უნდა იყოს ცალკეულ

<sup>7</sup> საკითხი წამოიჭრება იმის გამო, რომ არ არის ნათელი ის კატეგორიები, რომლებიც იწყება სიტყვებით „აღკვეთისათვის“ და სხვ. იმართება და პირდაპირ ეხება თუ არა წინამდებარე სიტყვებს „აუცილებელია“, ან მხოლოდ სიტყვებს „ინტერესებში“ ხომ არ ეხება.

შემთხვევასთან, მთავრობამ განსხვავებული აზრიც წარმოადგინა (რომელიც ერთი შეხედვით არც მთლად უსაფუძვლო და საკმაოდ ლოგიკურია), სახელდობრ ის, რომ თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოყენებული შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებულად ჩაითვალოს, როგორც მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ გამონაკლის კატეგორიათაგან ერთ-ერთი, ცალკეულ შემთხვევაში შეზღუდვის გამოყენების უფლებამოსილება უნდა რჩებოდეს ციხის ადმინისტრაციას ან მას შეფასების გარკვეული თავისუფლება მაინც უნდა ჰქონდეს, იმ მოცულობით, სანამ მოქმედებს პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად – და, რა თქმა უნდა, წინამდებარე საქმეში არ ყოფილა არანაირი სხვა მინიშნება. თუკი საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, სასამართლომ არ უნდა აუაროს გვერდი ციხის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ქმედებას და განაჩენში გააკრიტიკოს ის, თუ რა სახით იქნა გამოყენებული მოქმედების თავისუფლება. იმავე საკამათო საკითხის მეორე და უფრო მომცრო ვერსია იქნებოდა, გვეთქვა, რომ იგი უფრო მეტად ცდილობს გაამართლოს გასაჩივრებული ქმედება გამოყენებული შეზღუდვის ხასიათზე მინიშნებით, ვიდრე ის, რაც ამ შეზღუდვის განხორციელებისას იქნა გაკეთებული. ამიტომ გამომდინარე იქიდან, რომ შეზღუდვა პრინციპში მიეკუთვნება მოცემულ გამონაკლისთა კატეგორიათა კლასს და დაწესებულ იქნა კეთილსინდისიერად, გამოძიება აქ უნდა შეჩერდეს.

11. ვწუხვარ, რომ არ შემიძლია მივიღო ეს არგუმენტი, მიუხედავად მისი დამაჯერებლობისა. ჩემი აზრით, საკითხი ეხება სიტყვა „ჩარევას“ ფრაზაში „დაუშვებელია ჩარევა, გარდა ისეთი ჩარევისა, ... აუცილებელია ... თავიდან ასაცილებლად და სხვ.“ ვფიქრობ, უკეთესი მოსაზრება არის ის, რომ ეს თავისთავად გულისხმობს ქმედებას, რომელიც ხორციელდება შეზღუდვის განხორციელებისას, ვიდრე შეზღუდვა ან კონტროლის ტიპი, რომლიდანაც ის გამომდინარეობს. ეს არის ქმედება – ამ შემთხვევაში ნებართვაზე უარის თქმა – რომელიც წარმოადგენს უფრო ჩარევას, ვიდრე ძალაუფლების განხორციელებას იმ წესის შესაბამისად, რომელიც თეორიულად გამოყენებული შეიძლება არც კი იქნეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმარისი არ არის იმის წარმოჩინება, რომ პატიმრების კორესპონდენციის ზოგადი კონტროლი – მისი შეჩერების შემთხვევაშიც კი - „აუცილებელია ... საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის“ ან „უწყისრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“. ამით რომ მთავრდებოდეს ყველაფერი, შესაძლებელი იქნებოდა ერთხელ და სამუდამოდ იმის აღნიშვნა, რომ პრინციპში ასეთი აუცილებლობა არსებობს – და დამოკიდებულია ხარისხის საკითხებსა და გამოყენებაზე. მაგრამ დამატებით წარმოჩინებული უნდა იქნეს, რომ ჩარევის ცალკეული ქმედება ამ საფუძვლებზე „აუცილებელი“ იყო.

12. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში გამოძიებული უნდა იქნეს ის კონკრეტული უარი, რომელიც გოლდერს ეთქვა დამცველთან კონსულტაციის ნებართვაზე (ზემოხსენებული მიზეზების გამო, მის კორესპონდენციაში, ან, მით უმეტეს, თუ გამოვიყენებთ მე-8 მუხლის მოუხერხებელ ფორმულირებას – მისი კორესპონდენციის „პატივისცემის უფლებაში“ ნაგულისხმევი ჩარევის სახით). ამის შემდეგ ისმის კითხვა, „აუცილებელი“ იყო თუ არა უარის თქმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულის თავიდან აცილების მიზეზით და სხვ. თუკი ამ გზით ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ერთი პასუხი არსებობდეს: არ არსებობდა – და ვამბობ რა ამას, ვაცხადებ, რომ არ გამომჩენია გაერთიანებული სამეფოს არგუმენტი იმასთან დკავშირებით, რომ თუ გოლდერს ნებას დართავდნენ, შეხვედროდა დამცველს, რაც (კომპეტენტურმა ორგანოებმა) უსაფუძვლო პრეტენზიად შეაფასეს, ანალოგიურ საშუალებებზე არ შეიძლებოდა უარი თქმოდათ სხვა პატიმრებს, რადგან ნებისმიერი წესის გამოყენებისას ადგილი უნდა ჰქონდეს წესების გამოყენების



შესაბამისობას და ნათლად განსზღვრული და აღიარებული სამუშაო პრინციპების მკაცრ დაცვას. ეს, უდავოდ, ასეა, მაგრამ არ გვათავისუფლებს იმის წარმოჩენის საჭიროებისგან, რომ უარის თქმა ნებისმიერი ადამიანისათვის – კერძოდ, ამ კონკრეტული მიზეზებით უარის თქმის პრაქტიკა – გამართლებულია როგორც „აუცილებელი ... საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის“ ან „დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით“ და სხვ. ხსენებულს მიეყვარა იმ საკითხამდე, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია: ვინ უნდა გადაწყვიტოს (როგორც მე გავიმეორე გაერთიანებული სამეფოს არგუმენტი), „სრულიად უსაფუძვლოა“ თუ არა გოლდერის პრეტენზიისმაგვარი სარჩელები (ანუ ის, რომელიც ეხებოდა ადვოკატთან კონსულტაციას)? ასეთი შემთხვევა უფრო სასამართლო განხილვის საგანს ხომ არ წარმოადგენს, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლებისა?

13. ფაქტობრივად გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა არ გამოიყენა სიტყვების ეს ფორმა გოლდერისათვის გასაგზავნად პასუხში ან მართლაც გამოხატა რაიმე აზრი პრეტენზიის არსებით თუ სხვაგვარ საკითხთან დაკავშირებით: მოცემული ტექსტი იყო ძალიან ბუნდოვანი და ძლიერ ზოგადი ხასიათის.<sup>8</sup> თუმცა გაერთიანებული სამეფოს არგუმენტის სახით მოჰყავდა ის, რომ უარს საფუძვლად ედო კომპეტენტური ორგანოების რწმენა, რომ გოლდერის პრეტენზიას არ გააჩნდა არავითარი დასაყრდენი მოქმედ კანონმდებლობაში და წარმატებას ვერ მიაღწევდა ციხის ოფიცრის (რომელმაც პრეტენზია გამოთქვა მის მიმართ, მაგრამ მოგვიანებით უარი თქვა ამ პრეტენზიაზე) წინააღმდეგ ცილისწამებისათვის აღძრული სამართალწარმოების შედეგად. ამიტომ მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ გოლდერის თხოვნაზე უარის თქმა *de facto* ემყარებოდა ამ საფუძვლებს და, შესაბამისად, შეფასებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების ან დანაშაულის თავიდან აცილების და სხვ. მიზეზით უარის თქმის სავარაუდო აუცილებლობა.

14. გოლდერის საქმეში შეუძლებელია გავიგოთ, თუ რა სახით შეიძლება ამგვარი უარი გამართლებული იყოს, როგორც აუცილებელი მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ერთ-ერთი მიზეზით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხსენებული სრულ შესაბამისობაში იყო ციხეში არსებულ პრაქტიკასთან, რადგან შემდგომში იგი იქნებოდა ხარვეზებიანი პრაქტიკა. ამ შემთხვევას გაერთიანებული სამეფოს თვალთახედვიდანაც რომ შეეხედოთ, იმის მტკიცება, რომ პრაქტიკა გამართლებულია, ვინაიდან პატიმრები თავისი არსით არიან მოდავეები და მზად არიან, თუ ხელს არ შეუშლიან, წამოიწიონ გაუაზრებელი და უსაფუძვლო სამართალწარმოებები, რჩება მოსაზრება, რომ რაც არ უნდა არახელსაყრელი იყოს ეს ციხის ადმინისტრაციისათვის, მაინც რთულია, დავინახოთ თუ რა დონის აუცილებელობა შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის ან დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. მაგრამ, თუნდაც თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელი იყოს, გოლდერის საქმეში ეს დამაჯერებლად არ დამტკიცებულა.

15. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტია, რომ არ ჩანს, თითქოს გოლდერისათვის ნათქვამი უარის ნამდვილი მიზეზი „აუცილებლობა“ იყო, მიზეზს ალბათ უფრო

<sup>8</sup> გოლდერმა გააკეთა ორი მოთხოვნა: პირველი მოთხოვნა შეეხებოდა სხვა ციხეში გადაყვანას და ან ნებართვის მიღებას, ეწარმოებინა კონსულტაცია თავის დამცველთან სამართალწარმოების აღძვრის შესახებ, ან, ალტერნატიულად, რჩევის მიღებას ცალკეული მაგისტრებისაგან, რომელთა შეხედულებასაც იგი ენდობოდა. პასუხად გოლდერს ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სრულად განიხილა მისი თხოვნა, „მაგრამ ვერ გასცემს ნებართვას განმცხადებლის სხვა ციხეში გადაყვანის თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საფუძვლების არარსებობის გამო შინაგან საქმეთა მინისტრი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს რაიმე სხვა ზომა თხოვნაში დასახელებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით“.

პრეტენზიის ხასიათი წარმოადგენდა. სწორედ აქ შეიძლება აღმოვაჩინოთ ის საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს უარს. პრაქტიკა, როდესაც დამცველთან კონტაქტზე შესაძლო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით პატიმარს უარს ეუბნებიან, ვინაიდან აღმასრულებელმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ მოთხოვნას არა აქვს საკმარისი სამართლებრივი საფუძველი, არ შეიძლება გამართლებული იქნეს არა მარტო „აუცილებლობით“ და ა.შ. (არც აქვს ამის პრეტენზია) – მისი გამართლება საერთოდ არ შეიძლება, რადგან ეს მოიცავს მართლმსაჯულების ფუნქციის უზურპაციას. ეს არ ნიშნავს ეჭვის გამოთქმას კომპეტენტური ორგანოების პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებაში იმ მოსაზრების ჩამოყალიბებაში, რომელიც მათ გააჩნდათ გოლდერის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რაც არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი ის არის, რომ იგი მოტივირებული იყო იმით, რაც რეალობაში იყო მართლმსაჯულების დადგენა – რაც გამომდინარეობდა არა მართლმსაჯულების განმახორციელებელი, არამედ აღმასრულებელი ორგანოსაგან. რა თქმა უნდა, ნათელია, რომ მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, მართლმსაჯულების ღონისძიებათა განხორციელების საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში, არგუმენტების მოსმენის შემდეგ განახორციელოს ის ღონისძიებები, რაც ციხის აღმინისტრაციამ, მოქმედებდა რა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო და ყოველგვარი არგუმენტაციის მოსმენის გარეშე – თუნდაც გოლდერისაგან ან მისი წარმომადგენლისაგან – განახორციელა წინამდებარე საქმეში. ყველა ნორმალური სამართლებრივი სისტემა – მათ შორის, ყველაზე ნათლად ინგლისის სისტემა – მოიცავს პროცედურებს, როდესაც სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე საქმე შესაძლებელია (თუ გამოვიყენებთ ინგლისურ ტერმინოლოგიას *struck out*) „ამოღებული იქნეს“ როგორც უსაფუძვლო ან ბოროტი განზრახვით შეტანილი ან ისეთი, რომელიც არ შეიცავს არავითარ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (საფუძვლები, რომლებიც უხეშად შეიძლება შევადაროთ „სარჩელის წარდგენის ბოროტად გამოყენებას“ ან „შეკარად დაუსაბუთებელ“ სარჩელებს, ადამიანის უფლებათა ტერმინოლოგიით)<sup>9</sup>. ეს შესაძლებელია გაკეთდეს და ხშირად ხდება დიდი ხნით ადრე სასამართლო მოსმენამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაცემული იქნებოდა სასამართლოზე განსახილველად, საქმე მიაღწევდა განმხილველ მოსამართლემდე; მაგრამ ეს მაინც კეთდება სასამართლო ხელისუფლების ან სასამართლო უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. ეს შეიძლება იყოს მცირე ან უფრო მცირე უფლებამოსილების მქონე ორგანო, მაგრამ სასამართლო უფლებამოსილების ხასიათი როგორც ორგანოსათვის, ასევე სამართალწარმოებისათვის ძალაში რჩება.

16. ძნელია, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული აუცილებლობის საკითხიდან გამომდინარე დავინახოთ, თუ რატომ უნდა ჩამოერთვათ პატიმრებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ეს სტატუსი გააჩნიათ, მათ სარჩელებთან დაკავშირებული (იქნება ეს კარგი თუ ცუდი) წინასწარი პრეტენზიის სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს პრეტენზიები შეეხება მოპასუხის ქმედებებს და არა მესამე მხარეს. მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, სხვა ელემენტიც წარმოჩინდება. შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო უცხო მხარე გოლდერის პოტენციური საჩივრის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო პროცესის შესაძლო მხარე – საქმის აღძვრის შემთხვევაში სწორედ მის დაქვემდებარებაში მყოფი ციხის ოფიცრის ქმედება იქნებოდა სარჩელის საგანი. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არავითარი მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრზე ზეგავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ საქმე ფორმალურად მას შეეხებოდა. ეს უბრალოდ გულისხმობს პრინციპს: *nemo in re sua iudex esse potest*. რა თქმა უნდა,

<sup>9</sup> ეს შედის იმ საფუძვლებში, რომლებიც მოცემულია ევროპული კონვენციის 27-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ უნდა უარყოს სარჩელის განხილვა.

ლოგიკურადაც და სამართალშიც ხსენებული არ შეიძლება ხდებოდეს თავისთავად, რათა დააკმაყოფილოს ის აუცილებლობა, რომელიც არსებობდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი გამონაკლისის საფუძველზე. თუკი ასეთი აუცილებლობა რეალურად არსებობდა, მაშინ ჩარევაც არ იქნებოდა მიხნეული მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ. თუმცა *nemo in re sua* ელემენტის მიზნია, კომპეტენტურ ორგანოებს დააკისროს პასუხისმგებლობა, გაამართლონ ჩარევა აუცილებლობის ნათელი და დამაჯერებელი არგუმენტაციით – რომელიც ამ საქმეში, ცხადია, არ იყო წარმოდგენილი.

17. მიმჩნია, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ჩადენილი უნებლიედ, ამასთან, მიხდა დავამატო, რომ ვითვალისწინებთ რა მე-8 მუხლის რთულ სტრუქტურას, რომლის დემონსტრირებაც იმედი მაქვს, ცოტათი მაინც მოვახერხე (ამ თვალსაზრისით იგი ერთადერთი არ არის კონვენციაში), გასაკვირი არ არის, რომ მთავრობებისათვის მთლად ნათელი არ არის, თუ რას წარმოადგენს მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები. ეს ეხება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განმარტებასაც, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ.

## II თავი. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი

### ა. გამოყენების ასპექტი

18. წინამდებარე საქმეში მთავარ საკითხს, რომელიც წამოიჭრა და საკამათო გახდა, წარმოადგენს შემდეგი: ანიჭებს თუ არა კონვენცია კერძო პირებს და გაერთიანებებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას კონვენციის ხელშემკვერელი მხარეების ქვეყნებში. სასამართლოს განაჩენში მიღწეულია შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის ერთადერთი დებულება, რომელიც ამ საკითხს ეხება – მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი – არც პირდაპირ და არც რაიმე ტერმინების საშუალებით არ გამოხატავს ასეთ უფლებას. თუმცა ეს უფლება მოიაზრება კონვენციაში ნაწილობრივ იმ მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც სცდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, როგორც ასეთის, საზღვრებს, და ნაწილობრივ იმ შეზღუდვების საფუძველზე, რომლებიც მისივე დებულებებით იგულისხმება. მაგრამ ვიდრე ამ საკითხში ღრმად შევიტრებოდე, წამოიჭრება პირველი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც დამოკიდებულია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებისა და სასამართლოზე ხელმისაწვდომობის შესაბამისობის მთლიანი პრობლემა. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის განხილვა მომავალში უფრო შესაბამისი იქნება – იხ. 26-ე-31-ე პუნქტები.

19. ნათელია, უსარგებლო იქნებოდა, განგვეხილა საკითხი, ანიჭებდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლი ინგლისის სასამართლოებზე ხელმისაწვდომობის უფლებას, სანამ გოლდერს უარს ეტყოდნენ ასეთი უფლების განხორციელებაზე – ჩემი აზრით, იგი არ შეზღუდულა უფლების განხორციელებაში. ზემოხსენებული ხერხით მას შეეზღუდა დამცველთან კონსულტაციის საშუალება ინგლისის სასამართლოსათვის მიმართვის მიზნით, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას და არც შეიძლება წარმოადგენდეს, ვინაიდან შინაგან საქმეთა მინისტრს და ციხის ადმინისტრაციას *de jure* არ ჰქონდეთ აკრძალვის უფლება. თუმცა შესაძლებელია დადგენილი იქნეს, როგორც ამას სასამართლო აკეთებს, რომ ადგილი ჰქონდა „ნაგულისხმევ“ უარს, თუკი, *de facto*, უარმა გოლდერის თხოვნაზე, ნება დაერთოთ მისთვის, ეწარმოებინა კონსულტაცია თავის ადვოკატთან, საბოლოოდ მოუსპო მას სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა სასურველი სამართალწარმოების აღძვრის მიზნით. მაგრამ ეს არ არის მთავარი: გოლდერს კვლავაც ექნებოდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა ეს სასჯელის სრულად

მოხდის შემდეგ, რაც მას არ გაუკეთებია, როდესაც სულ მოკლე ხანში პირობით გაათავისუფლეს.

20. რა თქმა უნდა, ვაფასებ იმ დროის მნიშვნელობას, რომელიც შესაძლოა საზიანო იყოს გარკვეულ შემთხვევებში – მაგრამ ეს არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სამართლებრივ ბარიერად. ის ფაქტი, რომ ხელმისაწვდომობას შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა ნაკლებად ხელსაყრელ გარემოებებში, არ ნიშნავს მის უარყოფას. ხელმისაწვდომობა, თუკი იგი ნებადართულია და შესაძლებელია, არ გულისხმობს ზუსტად მოსარჩელის სასურველ დროს ან დროის მონაკვეთებს. წინამდებარე საქმეში ყველაზე მეტად გამოიკვეთა დროებითი ხასიათის ფაქტობრივი ბარიერი, მაგრამ არა უარი უფლებაზე, რადგან ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამართალში. აქ იგულისხმება „სიშორის“ ელემენტი, რომელსაც ინგლისური სამართლებრივი სისტემა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. კონცეპტუალურად გარკვეულმა ხანმა უნდა განვლოს, სანამ შესაძლებელი გახდება იმის თქმა, რომ დამცველთან დაკავშირებაზე უარის თქმა „ახლა“ ნიშნავს სასამართლოზე ხელმისაწვდომობაზე უარის თქმას როგორც „ახლა“, ისე „მომავალში“. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს უშუალო მიზეზად ან განმსაზღვრელ ფაქტორად. გოლდერისთვის არ შეუძლიათ ხელი, აღედგინა სამართალწარმოება, მას მხოლოდ გადაუდეს აღნიშნულის განხორციელება და საბოლოოდ მან თავად ვერ განახორციელა ეს. ამ სახის ბრალდება არ შეიძლება დაფუძნებული იქნეს რიგ შემთხვევითობებზე. ან კომპეტენტური ორგანოების ქმედებამ ერთხელ და სამუდამოდ შეუშალა ხელი გოლდერს, მიემართა სასამართლოსათვის, ან არ შეუშალა. ჩემი აზრით, ხელი არ შეუშლია.

21. ისევე, როგორც სასამართლოს განაჩენი (როგორც ეს მოგვიანებით იქნება წარმოჩენილი) ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ კონცეფციებს, მაგალითად, სასამართლოზე ხელმისაწვდომობას და საქმის პატიოსან განხილვას ხელმისაწვდომობის მინიჭების შემდეგ, იგი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან უფრო განსხვავებულ ცნებებსაც, როგორებიცაა უარის თქმა სასამართლოზე და უარის თქმა დამცველის ხელმისაწვდომობაზე, რაც შეიძლება (შეიძლება – არა) გამომდინარეობდეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობისაკენ სწრაფვიდან. იმის თქმა, რომ რაიმეს გაკეთება არ შეიძლება ახლა, არ ნიშნავს იმას, რომ ამის გაკეთება საერთოდ არ შეიძლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის, რაზეც უარია ნათქვამი „ახლა“, არც კი წარმოადგენს იმას, რაც (შესაძლოა) სასურველი იყოს „მომავალში“. ის გზა, რომლითაც ეს ორი განსხვავებული შემთხვევა გაერთიანებული, თითქოს ისინი სინონიმები იყოს, მაგალითად, განაჩენის მე-4 თავის ბოლოს ნაწილის 26-ე პუნქტში, წარმოადგენს ელიპტიკური მსჯელობის (რომელიც სახეს უცვლის ნორმალურ ცნებებს) გაუმართლებელ ნაწილს.

22. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევდით, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი მოიცავს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ურუნველყოფის ვალდებულებას, წინამდებარე საქმე, ჩემი აზრით, არ ხვდება იმ პუნქტში, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების საწინააღმდეგო უარს ხელმისაწვდომობაზე. ეს არ შედის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სფეროში, არამედ წარმოადგენს მე-8 მუხლის საწინააღმდეგო ჩარევას კორესპონდენციის უფლებაში და მთლიანი არგუმენტი, რომელიც შეეხება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, არასწორად არის აღქმული; ხელმისაწვდომობისათვის, რომელიც არ არის უარყოფილი, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი არ გამოიყენება. ამიტომაც ლოგიკურად, ჩემი აზრით, საქმის ეს ნაწილი (იქიდან გამომდინარე, რომ ეს მის ფაქტიურ *ratio decidendi*-ს ეხება) ამ ადგილას უნდა დამთავრდეს: მაგრამ ვინაიდან საკითხი, გულისხმობს თუ არა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას, მოიცავს ხელშეკრულების

განმარტების საკითხს, რომელიც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა არა მარტო თავისთავად, არამედ პრინციპის, ფილოსოფიისა და დამოკიდებულების უფრო ფართო შესაძლებლობების თვალსაზრისითაც, თავს მოვალედ ვთვლი, გამოვხატო ჩემი შეხედულებები მასთან დაკავშირებით.

## ბ. განმარტებითი ასპექტი

23. სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა, სერ ჰამფრი ვალდოკმა, გამოდიოდა რა როგორც დამცველი საქმეში ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში<sup>10</sup>, აღნიშნა ის სიძნელეები, რომლებიც წარმოიშობა განმარტებითი პროცესის დროს, როდესაც ის, რაც ყოფს ორ მხარეს, იმდენად ტერმინების მნიშვნელობასთან დაკავშირებული უთანხმოება კი არ არის, არამედ საკითხისადმი მიდგომა და მენტალიტეტი. მხარეები სხვადასხვა კოორდინატების მიხედვით იმუშავენ, ივლიან პარალელური გზებით, რომლებიც არ გადაიკვეთება – ევკლიდეს სამყაროში ან ლობაჩევსკის გეომეტრიის გარეთ, ან ისევ და ისევ, როგორც ეს სერ ჰამფრიმ აღნიშნა, ისინი ლაპარაკობენ სხვადასხვა ტალღის სიხშირეებზე – იმ შედეგით, რომ ისინი კი ვერ უგებენ ერთმანეთს, არამედ უბრალოდ არ ესმით. ორივე მხარეს, მათი მინიშნებების ფარგლებში, შეუძლია წარმოადგინოს შეთანხმებული და ძალაში მყოფი არგუმენტები, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მინიშნებების ხსენებული არეალი სხვადასხვაა, არც არგუმენტს შეუძლია, როგორც ასეთს, გააბათილოს მეორე არგუმენტი. არ შეიძლება მიღწეული იქნეს რაიმე შეთანხმება, სანამ არ განისაზღვრება სწორი ან შედარებით დასაშვები მინიშნების ზღვარი, მაგრამ ვინაიდან დასაშვებობის საკითხები დამოკიდებულია მიდგომაზე, შეგონებაზე, დამოკიდებულებასა თუ პოლიტიკაზე, და არა სწორ სამართლებრივ თუ ლოგიკურ არგუმენტზე, ასევე ძალიან მცირეა შესაძლებლობა მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევისა.

24. ჩემი აზრით, ეს იმ სახის მოსაზრებებია, რომლებიც წარმოადგენს შეუთანხმებლობის მიზეზს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით – ერთის მხრივ, უმთავრესად კომისია, მეორეს მხრივ კი გაერთიანებული სამეფოს მთავრობა. საკითხისადმი მათი მიდგომები სპექტრის საწინააღმდეგო მხარეებს წარმოადგენს. დამაჯერებელია კომისიის შეხედულებები და მტკიცებები, მაგალითად, კომისიის მოხსენებაში მინისტრთა კომიტეტისათვის<sup>11</sup> გადაცემის შესახებ – თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებსაც ისინი ემყარება და მიდგომას, რომელიც საფუძვლად უდევს. თუმცა ასევე დამაჯერებელია სასამართლოში გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ თავის მემორანდუმში<sup>12</sup> და ზეპირ არგუმენტაციაში<sup>13</sup> სხვა მიდგომის საფუძველზე და საკმაოდ განსხვავებული პირობებით წარმოდგენილი შეხედულებები და მტკიცებები. დასკვნა, რომელიც მოცემულია სასამართლოს განაჩენში, გაერთიანებული სამეფოს არგუმენტაციის მხედველობაში მიღების შემდეგ, იმავე შინაარსისაა, რაც კომისიის დასკვნა. ჩემი მოსაზრება განსხვავებული იქნება, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ვფიქრობ, საჭიროა საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა, ნაწილობრივ კი მჯერა, რომ სასამართლომ იხელმძღვანელა განმარტების იმ მეთოდებზე დაყრდნობით, რომლებიც, ჩემი აზრით, არ ეფუძნება ლოგიკურ პრინციპს,

<sup>10</sup> ამას ასევე ადგილი ჰქონდა *Barcelona Traction Company*-ის საქმის (1964) პირველ (იურისდიქციულ) ფაზაში, ან *North Sea Continental Shelf*-ის საქმეში, მაგრამ სამწუხაროდ დაგეარგე მინიშნებები.

<sup>11</sup> 1973 წლის 1 ივნისი: კონვენციის 31-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

<sup>12</sup> დოკუმენტი CDH (74) 6, 1974 წლის 26 მარტი\*.

<sup>13</sup> დოკუმენტები CDH/Misc (74) 63 და 64, 1974 წლის 12 ოქტომბერი\*.

\* *რეგისტრატურის შენიშვნა*: ეს დოკუმენტები წარმოდგენილია სერია ბ-ს მე-16 ტომში.

გარდა ამისა, სასამართლომ არასაკმარისი მნიშვნელობა მიანიჭა საქმის ცალკეულ დეტალებს, რომელთა შეთანხმება ძალიან ძნელია მის მიერ მიღებულ დასკვნასთან.

## 1. მიდგომის საკითხი

25. წინამდებარე საქმეში მიდგომის ან დამოკიდებულების საკითხის მნიშვნელობა იმ ფაქტშია წარმოდგენილი, რომ, როგორც უკვე ვახსენეთ და როგორც ეს ზოგადად იქნა მიღებული, არც მთლიანად კონვენციაში და არც ცალკე მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში არ მოიპოვება დებულება, რომელიც ნათლად აყალიბებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ზოგად დამოუკიდებელ უფლებას.<sup>14</sup> ფაქტობრივად, თუკი ასეთი უფლების პრინციპი გათვალისწინებულია ან აღიარებულია კონვენციის რომელიმე მუხლით, ეს შეიძლება მხოლოდ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადებიდან დავასკვნათ, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ნებისმიერი ან სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე“.

ნათელია, რომ უფლება (ერთადერთი პირდაპირი უფლება), რომელიც მოიაზრება ამ დებულებით, არის (1) „სამართლიანი და საჯარო მოსმენა“, (2) „გონივრულ ვადაში“ და (3) იმ სასამართლოს მიერ, რომელიც არის „დამოუკიდებელი“, „მიუკერძოებელი“ და „შექმნილია კანონის საფუძველზე“. ბუნებრივია, რომ ამ რამდენიმე საკითხის აღმოცენება, კერძოდ არა შეუსაბამოდ გადადებული პატიოსანი და საჯარო მოსმენა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, და სხვა, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ რამდენიმე სამართალწარმოება, სამოქალაქო თუ სისხლისსამართლებრივი ხასიათის, უკვე სინამდვილეში აღიძრა და ამ ეტაპზე ნორმალურად ვითარდება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხსენებული არ ამბობს არანაირი ტერმინებით, განხორციელებული უნდა იქნეს რაიმე სახის სამართალწარმოება თუ არა. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მოიაზრებს სამართალწარმოების ფაქტიურ არსებობას, იმ გაგებით (მაგრამ არა უმეტეს), რომ თუკი არ იქნებოდა არავითარი სამართალწარმოება, პატიოსანი სასამართლო განხილვის საკითხს და სხვა საკითხებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან ისინი არ შეიძლებოდა წამოჭრილიყო. ამიტომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიძლება გამოიყენებოდეს, თუკი სამართალწარმოება არსებობს. საფუძველშივე შემუშავებულია, რომ ადგილი აქვს სასამართლო დავას, როგორც ამას ჩემი კოლეგა მოსამართლე ზეკია აღნიშნავს, რომელიც სასამართლო წარმოებაშია. მაგრამ ეს არის ის საზღვარი, რაც მუხლის ფორმულირებაშია ნათქვამი. იგი არ ამბობს, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს სამართალწარმოებას, როდესაც ამას ვინმე მოისურვებს. საკითხს სხვა კუთხიდან რომ შევხედოთ, მე-6 მუხლი მარტივად მოიაზრებს ფაქტის არსებობას, კერძოდ იმას, რომ ადგილი აქვს სამართალწარმოებას და შემდეგ, ამ ფაქტის საფუძველზე, გადმოგვცემს უფლებას, რომელიც უნდა განხორციელდეს სამართალწარმოებისას – სახელდობრ, პატიოსანი სასამართლო განხილვის უფლებას და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ტექსტის ფორმულირება არ გადმოგვცემს არავითარ დამოუკიდებელ უფლებას ხელმისაწვდომობაზე პატიოსანი სასამართლო განხილვის

<sup>14</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვეთანხმები განაჩენს (პუნქტი 33) იმ თვალსაზრისით, რომ დებულებები, როგორებიცაა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტსა და მე-13 მუხლში მოცემული დებულებები, გულისხმობს მხოლოდ პროცედურულ უფლებებს საშუალებებისადმი, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დამოუკიდებელი უფლების დარღვევას, ეს მოსაზრება, თუმცა სწორია *in se*, არ ამოწურავს არგუმენტის იმ მოსაზრებას, რომელიც ემყარებოდა ხსენებულ მუხლებს და წარმოდგენილი იყო გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ. ხსენებულ საკითხს მოგვინებით დავებრუნდები.

პროცედურული გარანტიებისგან და ა.შ. დამოუკიდებლად და დამატებით, რომლებიც აშკარად მის ძირითად ობიექტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, კითხვა შემდეგნაირად ისმის: ხელმისაწვდომობის უფლება ასე უნდა მოიაზრებოდეს?

გადახვევა: კონვენციის 1-ლი მუხლი

26. თუმცა სანამ იმ საკითხის განხილვაზე გადავიდოდე, გულისხმობს თუ არა კონვენცია ხელმისაწვდომობის უფლებას მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, პატარა გადახვევა და განმარტება მინდა გავაკეთო სხვა ფაქტორთან დაკავშირებით, რომელიც გვერდს უვლის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მთლიან საკითხს. ეს ეხება იმ მნიშვნელობას, რომელსაც კონვენცია ანიჭებს 1-ლ მუხლს და რომლის თანახმადაც:

„მაღალი ხელშემაკრელი მხარეები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციაში ... განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

ყველაზე დიდი მნიშვნელობის სიტყვა წინამდებარე კონტექსტში არის „განსაზღვრული“. შესაბამისად, ამ დებულების მთავარი მიზანი არის (ვინაიდან ეს არის კონვენციაში „განსაზღვრული“ უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვაც ევალებათ ხელშემაკრულ სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში) ის, რომ გამორიცხოს ამ ვალდებულებიდან ყველაფერი, რაც ამგვარად არ არის განსაზღვრული. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტექნიკურ მხარეზე დაყრდნობის თავიდან ასაცილებლად ვინმე თავს იკავებს „განსაზღვრის განსაზღვრისაგან“, როგორც ეს შედარებულია თქმასთან, მოხსენებასთან, აღნიშვნასთან ან დაკონკრეტებასთან,<sup>15</sup> წამოიჭრება შემდეგი საკითხი: შესაძლებელია თუ არა ითქვას, რომ უფლება ან თავისუფლება, რომელიც არ არის მოხსენიებული, აღნიშნული ან დაკონკრეტებული, არამედ უბრალოდ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ნაგულისხმევია, კონვენციაში „განსაზღვრულია“ ამ ტერმინის რაიმე გონივრული მნიშვნელობით. ჩემი აზრით, არა; და ამ საკითხთან დაკავშირებით მე აბსოლუტურად ვეთანხმები იმ მოსაზრებებს, რომლებიც გამოხატა ჩემმა კოლეგამ მოსამართლე ვერდროსმა.

27. ეს დასკვნა არ არის მიმართული მხოლოდ ტექნიკურ მხარეზე. პირველ ადილზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმე დაეთანხმება ნახსენებ მოსაზრებას<sup>16</sup>, „სიტყვა „განსაზღვრულია“ ამ დებულებაში არ არის ძალიან შესაბამისი“ და კონვენციაშიც „არც ერთი უფლება და თავისუფლება არ არის განსაზღვრული მკაცრად“, ისინი მხოლოდ მოხსენიებულია, მინიშნებულია ან გამოკვეთილია, მოკლედ არის მითითებული. ეს ასე არ არის ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებაში, რომელიც, როგორც ასეთი, საერთოდ არ არის მოხსენიებული კონვენციაში. მეორე რიგში, საქმეში არსებული სამართალწარმოებისა და მხარეთა არგუმენტების დიდი ნაწილი – ისინი, რომლებიც ეხება ხელმისაწვდომობის უფლებით მოცულ ან სხვა სახის შეზღუდვებს, თუკი ჩავთვლით, რომ ისინი მოიაზრება მე-6 მუხლის 1-ლ ნაწილში – იქნა წამოწეული, ზუსტად იმ კითხვით, თუ როგორ უნდა გაგვეგო ეს უფლება, რას ეხებოდა იგი – მოკლედ რომ ვთქვათ, როგორ უნდა ყოფილიყო იგი

<sup>15</sup> ნათელია, რომ რაც განსაზღვრულია, *ipso facto* უნდა იყოს ნახსენები, აღნიშნული, გამოკვეთილი ან ყველაზე მცირე დასახელებული მაინც. ხსენებულის საწინააღმდეგო არ დაიშვება. განსაზღვრა მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე აღნიშვნა, და, რა თქმა უნდა, უფრო მეტს, ვიდრე ის, რაც საერთოდ არაა გამოკვეთილი, არამედ მხოლოდ ნაგულისხმევია.

<sup>16</sup> J.E.S. Fawcett, *ib. შენიშვნა 2*, გვ. 33.

განსაზღვრული – საბოლოოდ კი დაადგენდა განსაზღვრის საჭიროებას, თუნდაც მხოლოდ შეზღუდვით ან საზღვრების შევიწროებით – და განსაზღვრებები გამოხატული უნდა იქნეს – ისინი არ შეიძლება დამყარებული იქნეს იმაზე, თუ რა შეიძლება ვიგულისხმოთ.

28. ამიტომ, როგორც ჩანს, საჭირო დასკვნას წარმოადგენს ის, რომ ეს შეუძლებელია – ან დაუშვებელი იქნებოდა – კონვენციის 1-ლი მუხლით დაწესებულ ვალდებულებად (ეს ის ვალდებულებაა, რომელიც მართავს კონვენციის მთლიან გამოყენებას) ჩაგვეთვალოს ის უფლება ან თავისუფლება, რომელსაც კონვენცია კი არ ასახელებს, არამედ შეიძლება გულისხმობდეს, და რომლებიც არ შეიძლება სასარგებლოდ კი იქნეს ნაგულისხმევი, თუკი ამ დროს არ მიეცევა უფრო ზუსტ განსაზღვრას ან იმ პირობებს, რომლებსაც იგი ექვემდებარება განხორციელებული მოქმედებებისა და რომლებიც შეზღუდვის საშუალებით განსაზღვრავს მას.<sup>17</sup>

29. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ცნება ბუნდოვანია, თუკი მას არ განსაზღვრავთ. განსაზღვრის ან, სულ მცირე, შეზღუდვის საჭიროება მართლაც ნათლად აღიარებული სასამართლოს განაჩენის 38-ე პუნქტში და კვლავ მოაზრების საშუალებით, 44-ე პუნქტის ბოლოში. მაგალითად, ნიშნავს თუ არა ხელმისაწვდომობის უფლება უბრალოდ იმ უფლებას, რომელსაც ქვეყნის სახელმწიფოს შიდა სამართალი არეგულირებს ან შეუძლია ნებისმიერ დროს დაარეგულიროს? თუკი ეს ასეა, გააკეთებს თუ არა კონვენცია ასეთი უფლების გათვალისწინებისას უფრო მეტს, ვიდრე ეს უკვე გაკეთებული იქნებოდა, თუკი კონვენცია არ იარსებებდა? მეორე მხრივ, თუ კონვენცია გაითვალისწინებდა ხელმისაწვდომობის უფლებას, უნდა აწესებდეს იგი ვალდებულებას, მიანიჭოს ხელმისაწვდომობა იმ დონეზე, რა დონეზეც ხელშემკერელი სახელმწიფოები ან რამდენიმე მათგანის აპირებს, და თუ შიდა სამართალი არ ითვალისწინებს ამას, მაშინ რა დონეზე უნდა მიანიჭოს? ეს აბსოლუტური უფლება უნდა იყოს თუ რომელსაც გარკვეული პირობები აქვს, და თუ ეს ასეა, როგორ? უფრო კონკრეტულად, ნიშნავს კი ხელმისაწვდომობის უფლება უფლებას, წარმოადგინო პრეტენზია და ეს პრეტენზია არსებით განხილვაზე იქნეს განხილული, მიუხედავად წინასწარი საკითხებისა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს პრეტენზიის დაშვებადობის ხასიათზე თუ მხარეების სტატუსსა და შესაძლებლობებზე და ა.შ. – და თუ არა, მაშინ, ვინაიდან სხვადასხვა სახელმწიფოების სამართალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ თვალსაზრისით, არ იქნებოდა კი ადამიანის უფლებათა თვალთახედვიდან დასაშვები აბსოლუტური ხასიათიდან გადახვევის ხარისხის ზოგადი განსაზღვრა, არ იქნებოდა კი ზედმეტი ადამიანის უფლებათა კონვენციისთვის? ის ფაქტი, რომ ევროპული კონვენცია არ მოიცავს ასეთ განსაზღვრას, შესაძლებელია ნიშნავდეს, რომ თუ

<sup>17</sup> სამართალწარმოებისას საერთო საფუძველი ის იყო, რომ ხელმისაწვდომობის უფლება არ შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს: სასამართლოებს უნდა გააჩნდეთ შეუზღუდავი იურისდიქცია (მაგ. დიპლომატიური თუ საპარლამენტო იმუნიტეტი); ან ის, რომ უფლება უნდა იყოს მთლიანად გაუკონტროლებელი (მაგ. სულიერად ავადმყოფების, მცირეწლოვანთა საქმეები და სხვა), ან კიდევ ის, რომ კანონიერ დაკავებას და ციხეში მოთავსებას არა აქვს რაიმე ზეგავლენა ხელმისაწვდომობის უფლებაზე. მაგრამ იქ იყო უფრო მეტი არგუმენტი, ვიდრე ეს საკმარისი იყო ზუსტ ხასიათთან ან შეზღუდვის დონესთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ ნათელი გამხდარიყო, რომ ხელმისაწვდომობის ნაგულისხმევი უფლება დაკონკრეტების ან განსაზღვრის გარეშე შესაძლოა სიცოცხლისუნარიანი იყოს, იმ გაგებით, რომ მისი ხასიათი და მოქმედების სფერო დაექვემდებარება განგრობად პოლემიკას. აქვე ჩემი კოლეგა, მოსამართლე ზეკია გამოთქვამს შესანიშნავ მოსაზრებას, როდესაც ყურადღებას უთმობს კონვენციის მე-17 მუხლის ზეგავლენას, რომელიც უკრძალავს ხელშემკერელ სახელმწიფოებს, ჩაებან ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც უშვებს „უფლებათა და თავისუფლებათა იმაზე მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დადგენილია კონვენციით“ – მნიშვნელოვანი ის არის, რომ თუკი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მოიაზრებოდა ხელმისაწვდომობის უფლება, მაშინ იგი აბსოლუტური უნდა ყოფილიყო, რადგან ის მუხლი არავითარ შეზღუდვას არ გულისხმობს.



ხელმისაწვდომობის უფლება უნდა იგულისხმებოდეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, უფლება საჭირო იქნებოდა განსაზღვრული ყოფილიყო განცალკევებით, *ad hoc* სასამართლოს მიერ თითოეული ინდივიდუალური საქმის მიზნებისათვის. ეს კი დაუშვებელი იქნებოდა, რადგან მთავრობებს წინასწარ არასოდეს ეცოდინებოდათ, რა პოზიციაზე უნდა დამდგარიყვნენ.

30. ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები შეიძლება რიტორიკულიც კი იყოს თავიანთი ფორმით, მაგრამ არსობრივად არ არის რიტორიკული. ისინი გვეხმარება, დავინახოთ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ან თავისუფლების სახით განსაზღვრის საჭიროება, გვეხმარება, აგრეთვე, დავინახოთ, რომ კონვენცია არ მოიცავს არც ერთს, ეს კონკრეტული უფლება თუ თავისუფლება არ არის იმ უფლებებსა თუ თავისუფლებებს შორის, რომლების დაცვასაც კონვენციის 1-ლი მუხლი ავალდებულებს ხელშემკრელ სახელმწიფოებს მათი იურისდიქციის ფარგლებში. საკითხს სხვანაირად რომ შევხედოთ, მხარეებისგან არ შეიძლება მოველოდეთ იმის განხორციელებას, რაც იქნებოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულება, როდესაც იგი არ არის საკმარისად განსაზღვრული იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს მხარეებს, ზუსტად იცოდნენ, თუ რას მოიცავს იგი – სინამდვილეში იგი საერთოდ არ არის განსაზღვრული, რადგან (გამომდინარე იქიდან, რომ იგი არსებობს) იგი ეფუძნება ვარაუდს, რომელიც არასოდეს დაკონკრეტებულა და განმარტებულა. მოკლე და ძლივს გასაგები<sup>18</sup> მინიშნებები, რომლებიც მოცემულია სასამართლოს განაჩენის 28-ე და 38-ე პუნქტებში კონვენციის 1-ლი მუხლის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ადეკვატურ შემცველად იმ განხილული მსჯელობისა, რომელსაც განაჩენი საერთოდ არ წარმოადგენს.

31. შესაბამისად, არსებობს სხვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, როგორც ეს განხილული იყო ამ მოსაზრების 19-22 პუნქტებში, ტერმინი შეიძლება, ჩემი აზრით, ლოგიკურად იყოს დაკავშირებული მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზანთან – ვინაიდან გამომდინარე იქიდან, რომ ეს დებულება არ განსაზღვრავს, თუ რა უფლებას თუ თავისუფლებას გულისხმობს იგი, ეს უფლება თუ თავისუფლება არ შევა 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროში და მის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებში. ზუსტად ეს არის მოსამართლე ვერდროსის შეხედულებაც. იმ ფაქტს, რომ ეს გადაწყვეტილება შეიძლება სამართლიანად მოიაზრებდეს დასკვნას, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სინამდვილეში არ მოიაზრებს ასეთ უფლებას ან თავისუფლებას, არამედ ეხება მხოლოდ სასამართლო დავების მოდალურობას, ბუნებრივად მიეკავართ ისევ იმ განხილვამდე, რომელიც შევწყვიტეთ 25-ე პუნქტის ბოლოს ზემოთ, სადაც საკმაოდ ნათლად წარმოჩინდა განხორციელებული ანალიზიდან, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მოიაზრებს რა სამართალწარმოების არსებობას, არავითარი ტერმინით არ გამოხატავს მისი აღძვრის რაიმე პოზიტიურ უფლებას. დასმული კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მაინც გულისხმობს ან მოაზრებს თუ არა ხელმისაწვდომობის უფლებას. წამოიჭრა კიდევ ერთი კითხვა: რა იქნებოდა სწორი და სამართლიანი გვეგულისხმა ხსენებული პროცესის შედეგად?

## მიდგომის საკითხთან დაბრუნება

### i. სასამართლოს მიდგომა

<sup>18</sup> მაგალითად, რა იგულისხმება განსაზღვრასთან დაკავშირებული მინიშნებებით „ტერმინის უფრო ვიწრო გაგებით“? უფრო ვიწრო ვიდრე რა? – და რა უნდა იყოს „უფრო ფართო“ მნიშვნელობა? ასეთმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მხოლოდ წარმოშვას „უფრო აშკარა გაუგებრობა“: *Milton, Paradise Lost*, წიგნი I, 1, 995, – (ნამდვილად დაკარგული!).

32. გასაგები, გონივრული და სამართლიანი მოსაზრებაა ის, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა არის, ან უნდა იყოს, ადამიანის მნიშვნელოვანი უფლება. თანაბრად გამართლებული მოსაზრება იქნება, თუ ვიტყვით, რომ უფლების მნიშვნელობა მოითხოვს (განსაკუთრებით კონვენციაში, რომელიც ემყარება სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას და არა სუვერენულ საკანონმდებლო ძალაუფლებას), რომ მას ნათელი გამოხატულება უნდა მიეცეს და გახდეს დასკვნების გამოსატანი ობიექტი, რასაც მნიშვნელოვან მოსაზრებამდე მივყავართ. მნიშვნელოვანი განსხვავებაა სუვერენული ძალაუფლების განხორციელებისას მიღებულ „კანონმდებელთა სამართალს“ და კონვენციაზე დაფუძნებულ სამართალს შორის, რომელიც თავად არის შეთანხმების პროცესის შედეგი და შეზღუდულია მიღწეული შეთანხმებით ან ნაგულისხმევი შეთანხმებით. უფრო მეტი განმარტებითი თავშეკავებაა საჭირო ამ უკანასკნელ საქმეში, რომელშიც, შესაბამისად, კონვენცია არ უნდა იყოს იმგვარად ინტერპრეტირებული, რომ მოიაზრებდეს იმაზე მეტს, ვიდრე მოიცავს, ან საჭიროებისამებრ მოიაზრებდეს, რასაც გი მოიცავს. მთლიანი ბალანსი იხრება (კანონმდებელთა სამართლის შემთხვევაში) ინტერპრეტაციის ნეგატიური ორიენტაციის პრინციპიდან, რომელიც გამოიყურება გონივრულად და წინააღმდეგობაში არ მოდის რომელიმე განსაზღვრულ საწინააღმდეგო მინიშნებასთან და იმ განმარტებასთან, რომელიც საჭიროებს კონვენციაში პოზიტიურ საფუძველს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ იმას, რაზეც შეთანხმდნენ მხარეები – პოზიტიური საფუძველი, როგორც კონვენციის ტერმინებით, ასევე ის, თუ რა უნდა იქნეს აუცილებლად ნაგულისხმევი ამ ტერმინებით, – და სიტყვა „აუცილებლად“ არის გადამწყვეტი.

33. ეს სიტყვა მნიშვნელოვანია, რადგან ამ საქმისადმი კომისიის მიდგომა, თუმცა უფრო ფრთხილი, ვიდრე სასამართლოსი, ჩემი აზრით, დამოკიდებული იყო შემდეგზე – რომ გაუგებარია ან, სულ მცირე, დაუშვებელია, რომ ადამიანის უფლებათა კონვენცია არ ითვალისწინებდეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას: ამიტომაც უნდა მივიჩნიოთ, რომ კონვენცია ამ უფლებას გულისხმობს, თუკი შესაძლებელია ეს ვიგულისხმოთ კონვენციის რომელიმე ტერმინში. ეს მიდგომა ნათლად უდევს საფუძვლად ყოველივეს, რაც ნათქვამია სასამართლოს განაჩენის 35-ე პუნქტის ბოლო ნაწილში, რომ, სასამართლოს აზრით, „წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს დეტალურად აღეწერა ის პროცედურული გარანტიები, რომლებიც მინიჭებული აქვთ მხარეებს სასამართლო პროცესის დროს, პირველ რიგში კი არ დაეცვა ის გარანტია, რომელიც თავისთავად იძლევა საშუალებას ასეთი გარანტიით – სასამართლოზე ხელმისაწვდომობით – სარგებლობისა.“ ამასთან, როგორც ლოგიკური მსჯელობის საგანი, ეს წარმოადგენს სრულ *non-sequitur*-ს. თუმცა შესაძლებელია ბუნებრივად გამოიყურებოდეს, რომ ამ ტიპის პროცედურულ გარანტიებს „პირველ რიგში“ წინ უნდა უძღოდეს ხელმისაწვდომობის უფლების დაცვა: ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ტექსტში ეს ასე არ არის და იმის ვარაუდი, რომ ისინი ამგვარად უნდა იქნეს განხილული, უკეთეს შემთხვევაში ნიშნავს, რომ შესაძლებელია და არა აუცილებელი – ვინაიდან სრულიად შესაძლებელია, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება ყოველთვის არ უნდა იქნეს მინიჭებული ან ცალკეულ შემთხვევებში შეზღუდული ან საერთოდ გამორიცხული უნდა იქნეს, მაგრამ სადაც ხელმისაწვდომობის უფლება მინიჭებულია, უნდა არსებობდეს გარანტიები მიმდინარე სამართალწარმოების ხასიათთან დაკავშირებით.

34. ზოგადად რომ ვთქვათ, სულ მცირე ამ ტიპის დებულებაში ნაგულისხმევი ან მოაზრებული შესაძლოა „აუცილებლად“ ჩაითვალოს, თუკი დებულება ვერ იმოქმედებს ამის გარეშე. როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (25-ე პუნქტში), მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ერთადერთ აუცილებელ ნაგულისხმევ ელემენტს წარმოადგენს მოსაზრება

(რომლის გარეშეც დებულებას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, თუმცა მნიშვნელობის შესაძენად იმაზე მეტს არ მოითხოვს), რომ სამართალწარმოების რომელიმე სახე აღძრული იქნა და ვითარდება. არანაირად არ არის საჭირო არც ამ ტექსტის მოქმედებისთვის და არც იმისთვის, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ან მასშტაბი მიენიჭოს, რომ გამოტანილი იქნეს შემდგომი უაზრო დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ტექსტი მოიაზრებს არა მარტო სამართალწარმოების არსებობას, არამედ მისი აღძვრის *a priori* უფლებას – რომელიც თან უნდა ახლდეს უფლებას განსხვავებული ბრძანებით ან ცნების კატეგორიით, რისი გაკეთების საჭიროებაც არ არსებობს, რადგან მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს ისედაც მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი გააჩნია. მოვახდენ ციტირებას ჩემი კოლეგა მოსამართლე ზეკიას ნათქვამიდან: „მას გააჩნია ... თავისი *raison d'être* ... მასში ხელმისაწვდომობის უფლების მოაზრების გარეშე“. „გულისხმობის“ პროცესის ზოგად კონტექსტში მოვიშველიებ ჩემს სტატიას, რომელიც ათ წელიწადზე მეტი ხნის წინ დავწერე და რომელიც ეხებოდა ხელშეკრულებათა განმარტებას და არავითარი კავშირი არ ჰქონია წინამდებარე საქმის მაგვარ საქმეებთან.<sup>19</sup>

35. ეს მოსაზრებები იმდენად უეჭველი მეჩვენება, რომ თავს ვალდებული ვთვლი, მივმართო სხვა ფაქტორებს, რათა განვიხილო ის გზა, რომელიც აირჩია სასამართლომ. ზოგიერთი მათგანი, როგორებიცაა წესები, რომლებიც განსაზღვრულია 1966 წლის სახელშეკრულებო სამართლის ვენის კონვენციით, ევროპის საბჭოს წესდება – აქტი, რომელიც საკმაოდ შორს დგას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან, კანონის უზენაესობის პრინციპი და ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის (გ) პუნქტში ნახსენები „ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები“ – ყოველივე ხსენებული წარმოადგენს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გარეშე მდგომ ფაქტორებს და მცირე ან არაპირდაპირი შეხება აქვს შესაბამის განმარტებასთან, რომელიც განხილულია წინამდებარე მოსაზრების 25-ე და 33-34-ე პუნქტებში. ისინი შესაძლოა ისევე სასარგებლო იყოს, როგორც ხავსზე მოჭიდება, ან მოსაზრების ისევე დამამტკიცებელი, როგორც *arrive at aliter* – ისინი ვერანაირად ვერ გამოდგება განსაზღვრად, თუნდაც ერთობლიობაში იქნა განხილული.<sup>20</sup>

36. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ნამდვილად განმსაზღვრელ ელემენტად, როგორც ჩანს, აღმოჩნდა შიში იმ მოსალოდნელი შედეგებისა, რომლებიც შესაძლოა წარმოშობილიყო, თუ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში არ იქნებოდა მოაზრებული ხელმისაწვდომობის უფლება. ხსენებული ნათლად ჩანს ნაწყვეტებიდან, რომელთაგან პირველი ასრულებს 33-ე პუნქტში მოტანილ ციტატას: „სასამართლო პროცესის პატიოსნების, საჯაროობისა და სისწრაფის მახასიათებლებს არ გააჩნიათ არავითარი ფასი, თუკი არ არსებობს თვით სასამართლო პროცესი.“ მაინც უფრო მნიშვნელოვანია მეორე ნაწყვეტი (განაჩენი, 35-ე პუნქტის ბოლოს წინა აბზაცი), რომლის პირველი წინადადების თანახმად:

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ისე რომ იყოს აღქმული, თითქოს ეხებოდეს მხოლოდ იმ პროცესის წარმართვას, რომელიც უკვე აღძრული იქნა სასამართლოში,

<sup>19</sup> იხ. სქოლიო სახელწოდებით *The philosophy of the inference* 1963 წლის საერთაშორისო სამართლის ბრიტანულ წელიწადეულში, გვ. 154.

<sup>20</sup> მნიშვნელობა, რომელიც ახასიათებს „კანონის უზენაესობის“ ფაქტორს, სასამართლოს განაჩენის 34-ე მუხლში ძალიან გაზვიადებულია. ის ელემენტი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, მოხსენიებულია მხოლოდ გაკერით კონვენციის პრეამბულაში. ხელშეკრულს სახელმწიფოებს კანონის უზენაესობაზე ზრუნვა კი არ ამოძრავებდათ, არამედ საკაცობრიო მოსაზრებები.

ხელშემაკრებელი სახელმწიფო შეძლებდა (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დაურღვევლად) დაეხურა თავისი სასამართლოები ან გადაეცა სამოქალაქო საქმეთა ცალკეული კატეგორიების განხილვის მათი უფლებამოსილება მთავრობაზე დაქვემდებარებული ორგანოებისთვის.“

37. მეჩვენება, რომ ხსენებული მოტივაციები, რომლებიც განასახიერებენ განაჩენის ამ ნაწილის მოტივებს, საჭიროებს კომენტარებს სამი სათაურით – შესაძლებლობა, არგუმენტის ლოგიკა და მათ მიერ აღნიშნული მოქმედების ხასიათი.

(ა) ნაწინასწარმეტყველვეი შედეგები მთლიანად არარეალურია ან, საუკეთესო შემთხვევაში, ძალიან გაზვიადებულია.

(ბ) არგუმენტი მოიცავს კარგად ცნობილ ლოგიკურ შეცდომას (სატყუარას), რადგან იგი ხორციელდება იმის საფუძველზე, რომ ხელმისაწვდომობის უფლება და სასამართლო გარანტიები, რომლებიც გათვალისწინებულია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, გამოცხადებული იქნება უსარგებლოდ და მიზანს მოკლებულად – ისე, რომ ერთი აუცილებლად იგულისხმებს მეორეს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს წარმოადგენს ტყუილის იმ ტიპის სამუდამოდ დამკვიდრებას, რომელიც სათავეს იღებს ფილოსოფოსებისათვის კარგად ცნობილი „საფრანგეთის მეფის“ პარადოქსიდან – ეს არის პარადოქსი წინადადებისა, რომელსაც ენობრივი თვალსაზრისით გააჩნია მნიშვნელობა, მაგრამ სინამდვილეში აბსურდს წარმოადგენს, სახელდობრ, მტკიცება „საფრანგეთის მეფე მელოტია“. თუმცა პარადოქსი ქრება, როდესაც გამოჩნდება, რომ მტკიცება ლოგიკურად იმას კი არ გულისხმობს, რომ არსებობს საფრანგეთის მეფე, არამედ მხოლოდ იმას, რომ, სწორად თუ არასწორად, თუკი არსებობს ასეთი მეფე, იგი მელოტია. მაგრამ მეფის არსებობა ამისგან დამოუკიდებლად უნდა დადგინდეს; და, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, ფაქტიურად არ არსებობს საფრანგეთის მეფე. ანალოგიურად ვინმემ შესაძლოა დაადგინოს მსოფლიოში არსებული ყველა გარანტია საფრანგეთის მეფის კეთილდღეობისათვის, ამ მეფეს რომ ეარსება, თუმცა ის ფაქტი, რომ ყველაფერი ეს იქნებოდა ფუჭი და მიზანს მოკლებული, თუკი იგი ამას არ გააკეთებდა, ვერანაირად ვერ დაადგენდა და ვერ იქნებოდა აუცილებელი საფუძველი იმის თქმისათვის, რომ მან ეს გააკეთა ან სავარაუდოდ გააკეთა. ანალოგიურად გარანტიები, რომლებიც დადგენილია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით პატიოსანი სასამართლო განხილვისათვის, განხორციელდება თუკი ადგილი ექნება სასამართლო განხილვას, ხოლო თუ სასამართლო განხილვა არ იქნება, გარანტიებიც ვერ იარსებებს. გარანტიები არანაირად არ გულისხმობს, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს სასამართლო განხილვას, ან რომ უფლება ხელმისაწვდომობაზე უნდა წარმოადგენდეს წინაპირობას. განაჩენში ასევე მრავლადაა ლოგიკური შეცდომები, რომლების თანახმადაც (ბ) პუნქტი გამომდინარეობს (ა) პუნქტიდან, რადგან (ა) პუნქტი შინაარსობრივად არ გამოიცხადებს (ბ) პუნქტს. მაგრამ გამოიცხადებს არ ნიშნავს *ipso facto* მოცვას. ეს უკანასკნელი დამტკიცებას საჭიროებს.

(გ) და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ სასამართლოს განაჩენიდან მოყვანილი ზემოთ ციტირებული ნაწევრები შეეფერება ახალშობილი სასამართლო კანონმდებლის ტირილს, რომელსაც რა გამართლებაც უნდა ჰქონდეს შიდა თუ ეროვნულ დონეზე,<sup>21</sup> აქვს მცირე ან საერთოდ არა აქვს სახელმწიფოთაშორისი

<sup>21</sup> ერთია, რომ ეროვნულმა კონსტიტუციამ ნება დართოს იმაზე, რომ მისი საკანონმდებლო პროცესების ნაწილი განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მიღებული „პრეცედენტული სამართლის“ საფუძველზე; საკმაოდ უცხოა ამ მეთოდისათვის, დაწესებული იქნეს *ab extra* იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც არიან შეთანხმების შედეგად მიღებული საერთაშორისო კონვენციის მხარეები. თუმცა ისეც ხდება, რომ ინგლისშიც კი, ქვეყანაში, რომელშიც „პრეცედენტული სამართალი“

ხელშეკრულების ან შეთანხმებაზე დაფუძნებული და ამ მნიშვნელოვანი ფაქტით რეგულირებული კონვენციის მოქმედების სფეროში.<sup>22</sup> შესაძლებელია მართალი იყოს ან არ იყოს, რომ ვერდანახვას იმისა, რომ ადამიანის უფლებათა კონვენცია მოიცავს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას, ჰქონდა არასასურველი შედეგები – ისევე, როგორც ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ასეთი შედეგები შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო კონვენციაში არსებული სხვა ხარვეზებით, რაც არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს დამოკიდებულია სახელმწიფოებზე, რომელთა თანხმობასაც ემყარება კონვენცია და მხოლოდ ამ თანხმობიდან გამომდინარეობს სავალდებულო ძალა, რომელიც გულისხმობს ხარვეზის აღმოფხვრას ან შეცდომის გასწორებას – სასამართლო ხელისუფლებამ არ უნდა განახორციელოს და თავისი თავით არ უნდა შეცვალოს კონვენციის შემქმნელები და მათი საქმე თავად არ უნდა გააკეთოს. როდესაც სასამართლო მიიღებს წინამდებარე ფართო განმარტებებს, ნათელი არგუმენტაციის გარეშე და მხოლოდ ტექსტის შინაარსზე ან იმ აუცილებელ დასკვნებზე დაყრდნობით, რომლებიც გამომდინარეობს აქედან, და არა როგორც ამ შემთხვევაში ამოუცნობი დებულების საორტოვო განმარტებაზე, შესაბამისობის მოსაზრებები მომავალში გაართულებს ყოველსომცველი განმარტებების უარყოფას სხვა კონტექსტებში, როდესაც გონივრული მნიშვნელობა შეიძლება სხვანაირად გვეჩვენებოდეს: შემცირდება მოქმედების თავისუფლება.

## ii. განსხვავებული მიდგომა

38. ჩემი აზრით, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განმარტებისადმი სწორი მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ გავითვალისწინოთ არა მარტო ის, რომ ეს არის დებულება, რომელიც მოცულია აქტში, რომელიც თავისი ძალით დამოკიდებულია მთავრობათა შეთანხმებაზე – და სინამდვილეში რეგულარულ მხარდაჭერაზე – არამედ იმაზეც, რომ ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის აქტი,<sup>23</sup> რომელიც ადამიანის უფლებათა სფეროში წააგავს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციას, რომელსაც

---

და აქედან გამომდინარე (თუმცა შემცირებული ხარისხით) სასამართლო კანონმდებლობის გარკვეული ელემენტი ყოველთვის იყო კანონმდებლობის სისტემის ნაწილი, წინამდებარე საქმეში კი მიგვიყვანა ელემენტის მკაცრ კრიტიკამდე, ხოლო უმაღლესი სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებამ დაამტკიცა ხსენებული კრიტიკა, რომლის დროსაც აღინიშნა, რომ მოსამართლე არის *jus dicere* და არა – *jus dare*, და რომ სწორი გზა მოსამართლისათვის, რომელიც აწვდება ხარვეზს კანონმდებლობაში, ამ ფაქტზე კანონმდებლის ყურადღების გამახვილებაა და არა თავად განხორციელება სასამართლო ქმედებით. კარგი პასუხი არც ის იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული სწორი მიმართულებით – რადგან როდესაც მოსამართლეებმა გადადგეს დიდი ნაბიჯები, ეს ნიშნავდა, რომ ისინი ქმნიდნენ ახალ სამართალს. ჩემი აზრით, ასეთი სახის შენიშვნები განსაკუთრებით გამოიყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებაში.

<sup>22</sup> ანუ თუ არ არის შესაძლებელი იმის დემონსტრირება, რომ ხელშეკრულება ან კონვენცია თავისთავად ანიჭებს კანონშემოქმედებით როლს ტრიბუნალს, რომელიც მოწოდებულია მის შესასრულებლად, ან თუ მხარეებს სურდათ გარკვეულწილად მიენიჭებინათ შეცვლის ან მისი გავლენის გაფართოების ფუნქცია (სხვაგვარად მხოლოდ მათ რომ ჰქონდათ მინიჭებული), ანუ ისინი წინასწარ უნდა შეთანხმებულიყვნენ ტერმინების გაფართოებულ განმარტებაზე, შესაძლოა, თავდაპირველი ჩანაფიქრის გადაჭარბებითაც. როგორც მე ამას მოგვიანებით წარმოგიჩენთ, წინამდებარე კონტექსტში არ არის წარმოდგენილი არც ერთი ელემენტი (თუ არა საწინააღმდეგო).

<sup>23</sup> ევროპული კონვენცია, რომელსაც ხელი მოეწერა 1950 წელს და ძალაში შევიდა 1953 წელს, უნიკალურია, რადგან იგი არის ერთადერთი, რომელიც მოქმედებს და ადგენს მასში განსაზღვრულ უფლებებთან დაკავშირებული დავების განსაზღვრისათვის სასამართლო განხილვას. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი ერთ-ერთი უძველესია და მასზე ადრე მხოლოდ გაერო-ს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შეიქმნა, რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულო აქტს. ევროპული კონვენციის მსგავსი მხოლოდ სამია და „უზრუნველყოფის მექანიზმთან“ მიმართებაში მხოლოდ ერთის შედარებაა შესაძლებელი – ეს არის სან-ხოსეს ამერიკული კონვენცია – რომელსაც ხელი მოეწერა 1969 წელს და არ შესულა ძალაში.

20 წლის შემდგომ ხელი მოეწერა სან ხოსეში. ეს მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ევროპული კონვენციით, განსაკუთრებით იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც ეხება „განხორციელების“ მექანიზმს, მაგრამ იგი არ შესულა ძალაში. ასეთი მექანიზმი არ არსებობს ადამიანის უფლებათა გაერო-ს კონვენციებში, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში არ არის ძალაში შესული. თუკი ვილაპარაკებთ ზოგადად, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულმა მრავალმა კონვენციამ, მაგრამ უფრო კონკრეტულად ევროპულმა კონვენციამ, შექმნა ახალი საფუძველი საერთაშორისო დონეზე შეჭრისთვის ზოგიერთ იმ ძვირფას მონაპოვარში, რომლებიც გააჩნდათ მთავრობებს შიდა იურისდიქციისა და *domaine réservé*-ში. ყველაზე საყურადღებო და ყველაზე გასაკვირია შემთხვევა, რომელიც ეხება იმას, რაც ხშირად ცნობილია, როგორც „უფლება ინდივიდუალურ სარჩელზე“, რომლის საშუალებითაც ინდივიდუალური პირები თუ გაერთიანებები უფლებამოსილნი არიან, აღძრან სარჩელი თავიანთი მთავრობების წინააღმდეგ საერთაშორისო კომისიისა თუ ტრიბუნალის წინაშე – ის რაც თუნდაც 30 წლის წინ, დაუჯერებელი იყო საერთაშორისო დონეზე. ამ მიზეზების გამო მთავრობები ყოყმანობდნენ იმ აქტებზე ხელის მოწერას, რომელთა უმეტესობა, ევროპული კონვენციის გარდა, როგორც ჩანს, არ იყო საკმარისად რატიფიცირებული, რათა ძალაში შესულიყო. სხვა მთავრობები, რომლებმაც მოახდინეს ევროპული კონვენციის რატიფიცირება, დიდხანს ყოყმანობდნენ, სანამ ცნობდნენ კონვენციით დადგენილი ადამიანის უფლებათა სასამართლოს საგაღდებულო იურისდიქციას. ანალოგიური დაყოვნებები ხდებოდა ინდივიდუალური სარჩელების უფლებაზე ხელმოწერასთან მიმართებაშიც, რომელიც, სასამართლოს იურისდიქციის მსგავსად, ცალკე უნდა ყოფილიყო ცნობილი. უფრო მეტიც, ამ უფლებას შეუძლია მოითხოვოს არა მხოლოდ წინასწარი, არამედ განგრძობადი ცნობა, რადგანაც შესაძლოა და რამდენიმე შემთხვევაში განხორციელდა მხოლოდ დადგენილი, თუმცა განახლებადი, პერიოდით. მხოლოდ დაშვების მიზეზით ხდება ის, რომ შესაძლებელი გახდა წინამდებარე საქმის წარმოდგენა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს წინაშე.

39. ამ სხვადასხვა ფაქტორებს შეუძლიათ გაამართლონ თუნდაც კონვენციის მცირეოდენ შეზღუდვითი განმარტება, მაგრამ თუ ასე შორს არ წავალთ, უმჯობესად არა მარტო უნდა გაამართლონ, არამედ პოზიტიურად მოითხოვონ, რათა გაკეთდეს ფრთხილი და კონსერვატიული განმარტება, განსაკუთრებით რაც ეხება ნებისმიერ დებულებას, რომლის მნიშვნელობაც ბუნდოვანია და სადაც გაფართოებულმა განმარტებამ შეიძლება გამოიწვიოს ხელშემკერდ სახელმწიფოებზე ისეთ ვალდებულებათა დაკისრება, რომელთა აღებაც მათ არ სურდათ თავის თავზე, ან ვერ აღიქვამს რომ ასეთი ვალდებულებები აიღეს თავის თავზე (ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ნაწევრს, რომელიც ციტირებულია სქოლიოში<sup>24</sup> კომისიის

<sup>24</sup> „რაც შეეხება სასამართლოზე ხელმისაწვდომობის საკითხს, ეს არ წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც მთავრობა ცდილობს, არ შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც ნებაყოფლობით იკისრა. ეს საკმაოდ ნათელია. თუკი ბ-ნი კენტლის საქმეში არსებული განხილვიდან ერთი რამ გამოიკვეთა, ისევე, როგორც გოლდერის საქმეზე მომზადებული მემორანდუმიდან, გაერთიანებული სამეფოს მთავრობას არ ჰქონდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ როდესაც ცნობდა კონვენციის მე-6 მუხლს, იგი ამავე დროს აღიარებდა ვალდებულებას, უზრუნველყო სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება კვალიფიკაციის გარეშე. არ ვაპირებ დეტალურად მიმოვიხილო კომისიის წინაშე გაერთიანებული სამეფოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები თუ მოსაზრებები ამასთან მიმართებაში. ჩემი აზრით, წარმოდგენილი საკონსტიტუციო მასალებიდან, მათ შორის, დაფუძნების შესახებ ევროპული კონვენციის პროექტის ნაწილიდან, სრულიად ნათელია, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ ჰქონდა არანაირი სურვილი და არც მოვლოდა, თავის თავზე აეღო რაიმე ასეთი ვალდებულება“ – (CDH (73) 33, გვ. 36. დოკუმენტი №5 კომისიის მიერ მიწვდოდა სასამართლოს).\*

\* რევისტრატურის შენიშვნა: ზეპირი მოსმენის აუდიო ჩანაწერი საქმის არსებით განხილვაზე, რომელიც გაიმართა კომისიის წინაშე სტრასბურგში 1971 წლის 16-17 დეკემბერს.

წინაშე გაერთიანებული სამეფოს დამცველის ზეპირი არგუმენტიდან). ამიტომაც ნებისმიერი სერიოზული ეჭვი უფრო უნდა გადაწყდეს შესაბამისი მთავრობის სასარგებლოდ, ვიდრე საწინააღმდეგოდ – და თუ მართალია, როგორც ამას განაჩენი ცდილობს მიგვანიშნოს, რომ ამ საქმეში არ არსებობს არავითარი სერიოზული ეჭვი, მაშინ ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, თუ რაზე დავობენ მონაწილეები დაახლოებით ბოლო 5 წლის მანძილზე.

### iii. მიზანი და პროექტის შემუშავების მეთოდი

40. ძნელი დასადგენია, თუ რა იყო ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნამდვილი მიზანი ამ პუნქტში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს უფრო მეტ საბაბს იმისათვის, რომ სახელმწიფოებს არ დავაკისროთ ის ვალდებულება, რომელიც ნათლად (ან, სულ მცირე, იმგვარად, რომ არ წარმოიქმნას გონივრული ეჭვი) არ გამოდინარეობს კონვენციიდან. ვალდებულებას, რომელსაც ახლა ვიხილავთ, არ გააჩნია ასეთი ხასიათი. უფრო მეტიც, მაღაპარაკებს რა ძალიან დიდი გამოცდილება ხელშეკრულებათა პროექტების შემუშავების სფეროში, ჩემთვის ფრიად წარმოუდგენელია, რომ მთავრობებს, რომლებსაც სურთ იკისრონ საერთაშორისო ვალდებულება<sup>25</sup>, რომელიც გულისხმობს სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, ეს ასე შემოვლთი გზით განეხორციელებიან, ანუ, უფლების მკაფიოდ ჩამოუყალიბებლად ეს ისე გაეკეთებინათ, რომ არაპირდაპირი გზით გამოდინარეობდეს დებულებიდან (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი), რომლის უშუალო და მთავარ მიზანს წარმოადგენს (რაც არ უნდა მოიაზრებოდეს) – არავის, ვინც ობიექტურად წაიკითხავს, ეჭვი რომ არ შეეპაროს – ფუნდამენტურად განსხვავებული რამ, სახელდობრ, იმის დაცვა, რომ სამართალწარმოება პატიოსნად და მოკლე ვადებში იყოს წარმართული. კონვენციის პროექტის არც ერთი შემქმნელი არ გაითვალისწინებდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობას ასეთი გზით.

41. ამიტომ მე არ გთავაზობთ, ღრმად შევიჭრათ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის პროექტის შემუშავების ისტორიაში, რაც იქნებოდა როგორც მოსაწყენი, ასევე ნაკლებად ეფექტიანი, რადგან ისევე, როგორც მრავალი აქტის პროექტის შემუშავების ისტორია, უმნიშვნელოვანესი მოსაზრებები ხშირად ბუნდოვანი და არადამაჯერებელია. მაგრამ უფრო სასარგებლო იქნებოდა, შეგვეხედა იმ დებულებებისათვის, რომლებიც წააგავს ან პარალელურია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მოიპოვება ადამიანის უფლებათა სხვა მთავარ აქტებში. საყოველთაო დეკლარაციაში (იხ. პუნქტი 23 ზემოთ) იყო დებულება (მე-8 მუხლი), რომლის თანახმადაც:

„ყველას აქვს უფლება ეფექტურ საშუალებაზე კომპეტენტური ეროვნული ტრიბუნალების წინაშე იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც არღვევს მისთვის კონსტიტუციით ან კანონით მინიჭებულ ძირითად უფლებებს“.

როგორც ჩანს, ეს არ იძლეოდა ხელმისაწვდომობის ზოგად უფლებას და სინამდვილეში წარმოადგენდა ისეთივე პროცედურული ტიპის მუხლს, როგორც ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლია, რომელსაც მე მოგვიანებით დავუბრუნდები (იხ. სქოლიო 14 ზემოთ) – და რომელზეც თავად სასამართლოს განაჩენშია ნათქვამი, რომ ის არ მოიცავს ხელმისაწვდომობის

<sup>25</sup> ერთი საკითხია, რომ უმეტესი ქვეყნების სამართლებრივი სისტემები უეჭველად და ფაქტობრივად ითვალისწინებს, თუნდაც ზოგადი გზით, ხელმისაწვდომობის უფლებას, როგორც ასეთს. სულ სხვა იქნება, თუ დავასკვნით, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს იმავე ვალდებულებას – განსაკუთრებით, თუ სულ არ ეცდება, განსაზღვროს ან რაიმე პირობებით შეზღუდოს იგი (იხ. ზემოთ პუნქტები 27-30).

უფლებას, რომელიც, სასამართლოს აზრით, იგულისხმება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში. საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლს თან მოსდევს შემდეგი დებულება (მე-10 მუხლი),<sup>26</sup> რომელიც მარტივად ამბობს:

*„ყველას აქვს უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ პატიოსანი და საჯარო მოსმენის საფუძველზე განსაზღვროს თავისი უფლებები და ვალდებულებები და მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდება“* (კურსივი ჩემია).

საყოველთაო დეკლარაციის ამ მუხლის ფრაზა კურსივით იმიტომ მოვიტანე, რომ ის საკმაოდ ნათელს ხდის, რომ წყობის შეცვლის მიუხედავად, რომელსაც არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია მნიშვნელობაზე, ეს იყო წყარო, რომლიდანაც მომდინარეობს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (იხ. 25-ე პუნქტში მოცემული ტექსტი). იგი თავისი ტერმინებით იმაზე უფრო აშკარად არ გამოხატავს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის რაიმე ცალკე უფლებას, რომელიც დამოუკიდებელია პატიოსანი სასამართლო განხილვის პროცედურული გარანტიებისაგან და სხვ. რასაც მისი ტერმინები აკონკრეტებს, ვიდრე ამას აკეთებს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის პარალელური ნაწყვეტი.

42. საყოველთაო დეკლარაციის ეს დებულებები განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს (მე-8 და მე-10 მუხლები), რადგან ევროპული კონვენციის პრეამბულაში მხარეებმა კოლექტიურად გადაწყვიტეს, განეხორციელებინათ „საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილი გარკვეული უფლებები.“ ამიტომ მხარეების მიზანს არ წარმოადგენდა, დაედგინათ ნებისმიერი უფლება, რომელიც არ იყო გაცხადებული საყოველთაო დეკლარაციაში.

43. შემდეგი დოკუმენტი, რომელთან შედარებასაც მოვახდენთ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მიღებული იქნა გაერო-ში 1966 წელს, მაგრამ არ შესულა ძალაში. საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი აშკარად ეფუძნება საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლს და ამიტომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსაც, მაგრამ არ არის არავითარი საჭიროება იმისა, რომ მოვახდინოთ მისი ტერმინების ციტირება, რადგან იმ თავდაპირველი ფრაზის გარდა, რომლის თანახმადაც ყველა თანასწორია სასამართლოს წინაშე, და ფორმულირებისა და რიგის მცირე და უმნიშვნელო შეცვლისა, რასაც ემატება იმ მინიშნების გამოტოვება, რომლის თანახმადაც მოსმენა უნდა გაიმართოს „გონივრულ ვადაში“, მასაც იგივე ძალა და ზეგავლენა აქვს, რაც მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს. და ბოლოს, სან-ხოსეს ამერიკულ კონვენციაში (მიღებული 1969 წელს – ასევე არ არის ძალაში შესული) არის დებულება (მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი), რომელიც ერთი შეხედვით იძლევა ხელმისაწვდომობის უფლებას, მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე არ არის. იგი შედის თავში სახელწოდებით „უფლება სამართლიან განხილვაზე“ (*garanties judiciaires*), რომელიც მოისხენებს მას პროცედურულ გარანტიად. მეორე რიგში ფორმულირების ენა ნათლად წარმოაჩენს მას, როგორც იმავე რიგის და წარმოშობისას, როგორც სხვა შესაფერისი დებულებებია ადრეულ აქტებში. იგი შემდეგნაირად იკითხება:

„ყველა ადამიანს, მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი ბრალდების დასაბუთების დროს ან მისი სამოქალაქო, შრომითი, ფისკალური თუ სხვა სახის უფლებათა განსაზღვრისას, აქვს უფლება მოსმენაზე, შესაბამისი გარანტიებითა და

<sup>26</sup> დებულება, რომელიც მათ შორისაა მოთავსებული (მე-9 მუხლი), აქ შეუსაბამოა და კრძალავს თვითნებურ დაკავებას, პატიმრობასა თუ გაძევებას.



გონივრულ ვადაში, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, რომელიც წინასწარ არის შექმნილი კანონის საფუძველზე“.

თუკი ამ დებულებაში სიტყვა „მოსმენის“ შემდეგ იქნებოდა წერტილი პირველ ხაზში, და იგი თავიდან დაიწყებდა დარჩენილ ტექსტს, შესაძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ხელმისაწვდომობის ზოგადი უფლება ნათლად იყო ფორმულირებული. თუმცა საკმაოდ ნათელია (თუ გამოვტოვებთ როგორც წინამდებარე მიზნებთან შეუსაბამოს გაკვრით ჩასმულ ფრაზას „შესაბამისი გარანტიებითა და გონივრულ ვადაში“), რომ სიტყვა „მოსმენა“ პირდაპირ უკავშირდება (და დაზუსტებულია) „კომპეტენტური...ტრიბუნალის“ მოსმენის მოთხოვნით. მახვილი, ისევე, როგორც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, დასმულია მოსმენის ხასიათზე, და *a priori* და დამოუკიდებელი მოსმენის ჩატარების უფლებაზე.

44. მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ზემოთ განხილული დებულებები სათავეს უფრო ძლიერი და გარკვეული ხასიათის წინადადებაში იღებს. ეს აზრი მოცემულია კომისიის წინაშე გაერთიანებული სამეფოს დამცველის მიერ გაკეთებული განცხადების ნაწყვეტში. როდესაც იგი საუბრობდა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით, მან განაცხადა<sup>27</sup>:

„მე-8 მუხლის ტექსტი დაფუძნებული იყო შესწორებაზე, რომელიც წამოჭრილი იქნა მექსიკელი წარმომადგენლის მიერ 1948 წლის 23 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის მე-3 კომიტეტში. წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ იმეორებდა ტექსტს ბოგოტის დეკლარაციიდან, რომელიც სულ ახლახანს ერთხმად იქნა მიღებული ლათინური ამერიკის 21 დეპუტატის მიერ. შესაბამისი დებულება ბოგოტის დეკლარაციაში იყო XVIII მუხლი. იგი აცხადებდა: „ყველა ადამიანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რათა უზრუნველყოს თავისი სამართლებრივი უფლებების პატივისცემა. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მისთვის მარტივი მოკლე პროცედურა, რომლის საშუალებითაც სასამართლოები დაიცავენ მას ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებათაგან, რომლებიც მის საზიანოდ არღვევენ რომელიმე ძირითად კონსტიტუციურ უფლებას.“

საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის წყარო, რომელიც არის ბოგოტის დეკლარაციის XVIII მუხლი, ძალიან საინტერესოა, რადგან ბოგოტას დეკლარაციის XVIII მუხლი პირველ წინადადებაში საუბრობს ნებისმიერი პირის უფლებაზე, მიმართოს სასამართლოს, რათა უზრუნველყოს მის სამართლიან უფლებათა მიმართ პატივისცემა, ხოლო საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლში ეს შეტრიალებული და შეკუმშული იყო. ამ მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება ეფექტურ საშუალებაზე კომპეტენტური ეროვნული ტრიბუნალების წინაშე“.

შემდეგ<sup>28</sup> დამცველმა გამოიტანა დასკვნა, რომელსაც მეც ვეთანხმები, სახელდობრ ის, რომ „თუკი ვინმე ამ ისტორიას მთლიანად განიხილავს, დაინახავს, რომ ის, რაც დაიწყო ბოგოტის დეკლარაციაში, როგორც ხელმისაწვდომობის ფართო უფლება, შეიკუმშა ხელმისაწვდომობის უფლებამდე, რომელიც დაკავშირებული იყო კონვენციით დაცულ უფლებებთან“.

<sup>27</sup> იხ. 24-ე სქოლიო.

<sup>28</sup> *Ibid.* გვ. 50.

\*იხ. რეგისტრატურის შენიშვნა გვ. 53.

ამგვარად, 20 წლის პერიოდის შემდეგ, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა მთავრობათა მხრიდან განზრახ მიმართულ პოლიტიკას, რათა თავიდან აეცილებინათ პირისპირ შეჯახება ხელმისაწვდომობის საკითხთან. ამ მოსაზრებას აძლიერებს მტკიცებულებათა არსებობა (იხ. დოკუმენტი CDH (73) 33, გვ. 45)\* იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის პროექტის შექმნის ერთ-ერთ ეტაპზე შესაძლებელი იყო ისეთ ტერმინთა არსებობა, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ხელმისაწვდომობის დებულების მომცველად, მაგრამ შემდგომში ისინი გაუჩინარდა – ამ მიმართულების გავრცობის სურვილის უქონლობის ყველაზე ნათელ შესაძლო მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეს ცნება არასოდეს ყოფილა ასახული ადამიანის უფლებათა რომელიმე აქტში, რომელიც შეიქმნა ევროპული კონვენციის შემდეგ (იხ. ზემოთ). ხელშეკრულების განმარტების ტექნიკაში შეუძლებელია რაიმე საკითხის გათვალისწინების სურვილის უქონლობის უკეთესი დემონსტრირება, ვიდრე თავიდან ამ საკითხის ჩართვა, ხოლო შემდეგ ამოღება.

46. დასკვნა, რომელიც მე გამომაქვს განხილული ტექსტების ხასიათიდან და იმ მოსაზრებებიდან, რომლებიც განვიხილე ზემოთ, 38-ე მუხლში, არის ის, რომ ხელშემკერდელი სახელმწიფოები ტანახმა იყვნენ, *de facto* დაყრდნობოდნენ იმ სიტუაციას, როდესაც პრაქტიკულად ყველა ევროპულ ქვეყანაში ხელმისაწვდომობის ძალიან ფართო ღონისძიებები არსებობდა სასამართლოზე, მაგრამ მათ არ ჰქონდათ რაიმე გარკვეული განზრახვა, სახე შეეცვალათ ამისათვის ან აეღოთ თავის თავზე ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. 25-ე სქოლიო) საერთაშორისო ვალდებულება – და განსაკუთრებით იმ სახის ვალდებულება, რომელიც, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა, არსებობდა ამ საქმეში – ვალდებულება, რომელიც – როგორც ამას წინამდებარე საქმე გვიჩვენებს – უფრო მკაცრი ხასიათისაა და უფრო შორს მიდის, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს მთავრობას (იხ. 24-ე სქოლიო) და კონვენციის წევრ სხვა მთავრობებს (ალბათ) ოდესმე მიუჩნევიათ სავალდებულოდ.<sup>29</sup> იმ მიზეზთა გამო, რომლებიც უკვე ვახსენეთ, ამ ტიპის ვალდებულება არ შეიძლება იყოს საერთაშორისოდ აღიარებული, სანამ არ არის განსაზღვრული და განზოგადებული და მისი მოქმედების სფერო და მოდალურობა არ არის დადგენილი. კონვენცია ამას არ აკეთებს და სასამართლოც საფუძვლიანი მიზეზების გამო ვერ მიდის კომპრომისზე, განაჩენის გაუგებრობებთან დაკავშირებით, იმ ამოცანებში ჩარევის გზით, რომლებიც უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მთავრობის კომპეტენციას. როგორც ეს განაჩენმა აღიარა (II თავი, პუნქტი 39) – „სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს, შეიმუშაოს დასაშვები შეზღუდვების ზოგადი თეორია მსჯავრდებულ პატიმართა საქმეებში, ისევე, როგორც მის ფუნქციებში არ შედის, გააკეთოს განმარტება *in abstracto* იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ... [გაერთიანებული სამეფოს] ციხის წესები ... კონვენციას“. მაგრამ თუ სასამართლოს ფუნქციებში არ შედის უფლებაზე შეზღუდვების შემუშავება, მაშინ მით უმეტეს არ შეიძლება, მის ფუნქციებში შედიოდეს თეორიულად, არგუმენტაციის გარეშე მიიღოს ის უფლება, რომელიც ვერ განხორციელდება პრაქტიკაში იმ შეზღუდვების გარეშე, რომელთა შემუშავებასაც სასამართლო უარყოფს.

<sup>29</sup> გაერთიანებული სამეფოს არგუმენტი, რომელიც დაფუძნებული იყო სასამართლოზე ხელმისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებულ ეროვნულ მიდგომაზე, რაც უზრუნველყოფილი იყო მიმდინარე კომერციული ხელშეკრულებებითა და ისეთი მრავალმხრივი კონვენციებით, როგორიცაა დაფუძნების შესახებ ევროპული კონვენცია, მიანიშნებს იმ შესაძლებლობაზე, რომ პირისპირ შეეჯახებოდნენ რა ხელმისაწვდომობის საკითხს, მთავრობებს არ ექნებოდათ სურვილი, მოქცეულიყვნენ საკითხისადმი ეროვნული მიდგომისაგან განსხვავებით და, რა თქმა უნდა, გოლდერის, როგორც გაერთიანებული სამეფოს მოქალაქის, მიმართ მოხდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესების გამოყენება.

## 2. ცალკეული ტექსტი და ტერმინები

47. ზემოთ განხილული მიდგომის საფუძველზე კონვენციის შესაბამისი დებულებები არ წამოჭრიან განმარტების არავითარ სიძნელეს ან სანქციის დამწესებელი განმარტების აუცილებლობას, როგორც ისინი ამას ნათლად აკეთებენ სასამართლო მიდგომის საფუძველზე. მე ჩამოთვლილი და ფართო კომენტარს გავუკეთებ ამ დებულებებს იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი მოცემულია:

(ა) პრეამბულა (როგორც ეს უკვე ნახსენები იყო 42-ე პუნქტში) საგანგებოდ მოიხსენიებს, რომ ხელმომწერმა მთავრობებმა გადაწყვიტეს, „გადადგან პირველი ნაბიჯები“ იმ „გარკვეულ უფლებათა“ კოლექტიურად განხორციელებისათვის, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც – როგორც ეს იქნა წარმოჩენილი 41-ე პუნქტში ზემოთ – არ ითვალისწინებს არანაირ დამოუკიდებელ დებულებას ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით, ასე რომ ასეთი უფლება არც კი შედის იმ უფლებათა ჩამონათვალში, რომელსაც ევროპული კონვენცია შეიძლება მოიცავდეს. მაგრამ, თუკი იგი იქნებოდა უფლება, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო – როგორც „კვალიფიციური უფლება“ – ეს იქნებოდა პრეამბულის ენის ბოროტად გამოყენება და იგი აუცილებლად არ იქნებოდა ჩართული მასში. კვალიფიციური უფლებებიდან მხოლოდ „გარკვეული“ უფლებები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და ხელმისაწვდომობის ზოგადი უფლება, საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე, არ იყო წარმოდგენილი, თუნდაც როგორც კვალიფიციური უფლება. გარდა ამისა, სახელმწიფოები აპირებდნენ მხოლოდ „პირველი ნაბიჯების“ გადადგმას და მხოლოდ იმ „გარკვეული“ უფლებათა გათვალისწინებას. ასე რომ, რამდენადაც „წარმოდგენილი“ არ უნდა იყოს, ევროპულ კონვენციაში არ უნდა არსებობდეს ხელმისაწვდომობის დებულება, ეს შედეგი სრულიად ნორმალურია და არ იწვევს გაკვირვებას.

(ბ) კონვენციის 1-ლი მუხლი (იხ. ზემოთ 26-31 პუნქტები) მოითხოვს, რომ სანამ სავალდებულო გახდება სახელმწიფოებისათვის, „დაიცვან ყველა ადამიანისთვის მათი იურისდიქციის ფარგლებში“ უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის იმ ნაწილში, რომელშიც შედის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ასეთ უფლებები და თავისუფლებები „განსაზღვრული“ უნდა იყოს. განსაზღვრები აუცილებლად უნდა იყოს ნათელი. ამიტომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან არავითარი ხელმისაწვდომობის უფლება არ შეიძლება გამომდინარეობდეს მოაზრებული თუ ნაგულისხმევი სახით. კონვენციის მე-17 მუხლი (იხ. მე-17 სქოლიო) ადასტურებს და ამყარებს ამ მოსაზრებას.

(გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი

(i) სასამართლოს განაჩენი სწორია იმ ნაწილში, როდესაც მხედველობაში იღებს მე-14 სქოლიოში აღწერილ დებულებებს, მაგრამ ეს არის მოსაზრება, რომელიც, თუმცა სწორია, მაგრამ არასრულყოფილია და არ მოიცავს იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის დამტკიცებასაც გაერთიანებული სამეფო ცდილობდა.

(ii) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი ითვალისწინებენ, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მიმართვის საშუალებების არსებობა ეროვნულ სასამართლოებში კონვენციაში განსაზღვრულ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით (ხსენებული წააგავს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის პარაფრაზირებას, მაგრამ არსებითად და ლიტერატურულად კი – მე-13 მუხლს). მე ვეთანხმები სასამართლოს, რომ ეს დებულებები თავისთავად არ შეიცავს რაიმე დამოუკიდებელ უფლებას თუ თავისუფლებას ან ხელმისაწვდომობის რაიმე ზოგად უფლებას და ამიტომ არ წარმოადგენს რაიმე დებულებას, რომელიც

მოახდენდა არასაჭირო ზეგავლენას, როგორც ამას გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა. თუმცა მთავრობამ წარმოადგინა ამ წინადადების დამატებაც, სახელდობრ ის, რომ თუ ხელმისაწვდომობის ზოგადი უფლება, როგორც ეს სასამართლომ მიიჩნია, ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, მაშინ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი გახდებოდნენ ზედმეტი და არასაჭირო, რადგან ხელმისაწვდომობის უფლება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში გაითვალისწინებდა ყველაფერს საჭიროს. აქედან გამომდინარე, ამ ორი სხვა დებულების მიზანი იყო, წარმოეჩინა, რომ არავითარი ხელმისაწვდომობის უფლება არ მოიაზრებოდა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში. ეს არგუმენტი ლოგიკურად სწორია, მაგრამ მისი გაქარწყლება შესაძლებელია, რადგან მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი ლაპარაკობენ მხოლოდ დაცვის საშუალების არსებობაზე, მხოლოდ ხელმისაწვდომობა კი აუცილებლად არ მოიცავს დაცვის საშუალებას: შესაძლებელია არსებობდეს ხელმისაწვდომობა, მაგრამ არ არსებობდეს დაცვის საშუალება ხელმისაწვდომობის შემდეგ. რაც არ უნდა იყოს, თუკი ვინმე ამოიღებდა ფურცელს სასამართლო წიგნიდან და გამოიყენებდა იმ არგუმენტს ან ბრძანებას, რომელსაც სასამართლო იყენებს, მას შეეძლებოდა ეთქვა, რომ რადგან ხელმისაწვდომობას დაცვის საშუალების გარეშე არავითარი სარგებელი არა აქვს, ხელმისაწვდომობის უფლება გულისხმობს უფლებას დაცვის საშუალებაზე – რაც აშკარად აბსურდია. თუმცა ეს აშკარად გაიმეორებდა სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ რადგან უფლებას სამართლიან განხილვაზე არა აქვს ფასი სასამართლო განხილვის გარეშე, ამიტომ უფლება სამართალწარმოების აღძვრაზე, რომელიც სასამართლო განხილვისას წარმოიშობა, უნდა იქნეს ნაგულისხმევი. ძნელი იქნებოდა, *non-sequitur* უფრო ნათელი გაგვეხადა.

(დ) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები ამ პუნქტის მნიშვნელოვანი პირველი წინადადებით უკვე მოხსენიებული იყო ამ მოსაზრების 25-ე პუნქტში, ხოლო წინადადების დანარჩენი ნაწილი გადმოცემულია სასამართლოს განაჩენის 24-ე პუნქტში. საჭირო არ არის მისი აქ ციტირება, რადგან ყოველივე ეს, „საჯარო მოსმენის“ მოთხოვნაზე მითითებით პირველ წინადადებაში, საჭიროა იმის განსამარტავად, რომ განაჩენი „გამოცხადებული უნდა იქნეს საჯაროდ“, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნენ დაშვებული სასამართლო განხილვის მთელ ან მის ნაწილზე გარკვეული გარემოებების არსებობისას, რომლებიც შემდგომში იქნება განზოგადებული დეტალურად. ამიტომ ეს წინადადება შეუსაბამოა წინამდებარე მიზნებისათვის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მთლიანად იმავე აგებულებისაა, რაც პირველი და დაკავშირებულია მასთან *eiusdem generis*, როგორც მნიშვნელოვანი პროცედურული დებულება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაკავშირებულია უფლება-მოვალეობებთან და მოდალურობასთან სასამართლოში განხილვის დროს. პირველ წინადადებასთან დაკავშირებული და ზოგადად მომდევნო კომენტარები ავსებს იმ კომენტარებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო ზემოთ, 25-ე და 33-34 პუნქტებში (იხ. ასევე მე-40 პუნქტი *in fine*):

(i) წესი *eiusdem generis*, რომელზეც მიუთითებდნენ წინა პუნქტები, მიმართული იყო იმის საჩვენებლად, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დამოუკიდებელი დებულებაა, თავისთავად სრული და შევსებული, და არ საჭიროებს არავითარ დამატებას თუ განმარტებას იმისათვის, რომ მისი მოქმედების სფერო ნათელი გახდეს, და ფლობს განსაკუთრებულ სტრუქტურასა და პუნქტების კატეგორიას, რომლებიც პროცედურული ხასიათისაა და ეხება მხოლოდ სასამართლოში განხილული საქმის მოდალურობას. იგი მთლიანად მიმართულია გავლენის ამ სფეროსაკენ, და მხოლოდ და მხოლოდ მისკენ, როგორც ეს აშკარად იქნა აღნიშნული არგუმენტში (CDH (73) 33 გვ. 51).\* *eiusdem generis*-ის წესი ამიტომაც მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ტექსტიდან რაიმე ნაგულისხმევის გამოტანა იმ მიზნით, რომ ისიც ჩართული იქნეს ამ

ტექსტში ან მის დამატებად იქნეს აღიარებული ის, რაც აშკარად არ არის მასში გამოხატული (და ეს ზოგადად არის ცნობილი, რომ ხელმისაწვდომობის უფლება არ არის გამოხატული ამ ტექსტში), ეს ნაგულისხმევი უნდა იყოს ან ეხებოდეს იმავე ხასიათის სხვა რამეს, ან შედიოდეს კონცეფციის იმავე კატეგორიაში, როგორც ეს თავად ტექსტშია წარმოდგენილი, რაც ამ შემთხვევას არ შეესაბამება. ნებისმიერი ხელმისაწვდომობის უფლება, როგორც ასეთი, როდესაც მას გააჩნია პროცედურული მხარე, წარმოადგენს ძირითადი ხასიათის დამოუკიდებელ უფლებას. პროცედურულ მხარეებშიც კი იგი საკმაოდ განსხვავდება იმ საკითხებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო განხილვის მოდალურობასთან. როგორც ეს უკვე აღინიშნა, სასამართლო განხილვათა შემთხვევებს თან ახლავს მხოლოდ ერთი აუცილებელი ნაგულისხმევი რამ, სახელდობრ ის, რომ სასამართლო განხილვას აქვს ადგილი – ანუ სამართალწარმოება მიმდინარეობს. იგი არ გულისხმობს არაფერს ადმინისტრაციის უფლებასთან დაკავშირებით, რაც ეკუთვნის კონცეფციის სხვა მხარეს. შესაბამისად, ეს არ არის კანონიერი პროცესი და განმარტების კრიტერიუმებს ეწინააღმდეგება ერთ საკითხში მეორის გულისხმობა.

(ii) წესი *expressio unius est exclusio alterius* – სასამართლოს განაჩენში ასახული დასკვნით ეს წესიც დარღვეულია. ეს ხდება რამდენიმეჯერ, მაგრამ ამის საუკეთესო ილუსტრაციაა ის, თუ როგორ არის განხილული მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი განაჩენის 28-ე პუნქტში, სადაც ნათქვამია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუხლი „არ ითვალისწინებს ხელმისაწვდომობის უფლებას ... აშკარა ტერმინებით“, იგი „ნათლად აღიარებს უფლებებს, რომლებიც განსხვავებულია, მაგრამ გამომდინარეობს ერთი და იმავე ზოგადი მოსაზრებიდან, და რაც, ერთად აღებული, წარმოადგენს ერთ უფლებას, რომელიც სპეციალურად არ არის ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით განსაზღვრული“ – (სინამდვილეში საერთოდ არ არის განსაზღვრული<sup>30</sup>). უფლებები, რომლებიც ფაქტობრივად „აშკარად არის განსაზღვრული“ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში (და პიპოთეზის თანახმად „აშკარად განსაზღვრული“ ნიშნავს ტერმინებით გამოხატულს), არ არის „განსხვავებული“ უფლებები, არამედ წარმოადგენს უფლებებს, რომლებიც ერთნაირი აგებულებისაა და ერთ კატეგორიას განეკუთვნება, სახელდობრ, ეს არის უფლებები, რომლებიც ეხება სასამართლოს განხილვის დროს, წარმართვასა და მიმდინარეობას. აქ არაფერია ისეთი, რომ წარმოადგენდეს მოჩვენებით „ცალკეულ“ უფლებას, რომელიც, როგორც ითქვა, მოიცავს ხელმისაწვდომობის უფლებას განსაზღვრულ პროცედურულ უფლებებთან ერთად. ეს უკანასკნელი, მეორეს მხრივ, აშკარად არიან განსაზღვრულნი ისეთი საშუალებით, რომ გამოყენებული იქნეს *expressio unius*-ს წესი – და გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული მიზეზების გამო ხსენებულ მუხლში არაფერია მოცემული, რაც საჭიროებს ხელმისაწვდომობის უფლებას იმ ფაქტისაგან განცალკევებით, რომ ხელმისაწვდომობას უკვე ჰქონდა ადგილი, ეს წესი უნდა იქნეს გამოყენებული. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ მართებული პოზიცია, სახელდობრ ის, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები სრულყოფილად იმოქმედებს იმ ფორმით, როგორითაც წარმოდგენილია, რა სახის სამართალწარმოებაც არ უნდა იყოს რეალობაში აღძრული, სამართალწარმოების აღძვრასთან დაკავშირებით რაიმე მოაზრებული უფლების პოსტულირების გარეშე. მუხლი ავტომატურად იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ აღძრულია სამართალწარმოება. თუკი რაიმე მიზნით – უფლების არარსებობა ან სხვ. – სამართალწარმოება არ არის აღძრული, მაშინ ადგილი ექნება *cadit quaestio*-ს: შემთხვევას, რომელიც აამოქმედებდა მუხლს, უბრალოდ არ ჰქონია ადგილი. შესაბამისად, ამ საქმეში არ მოიპოვება გამამართლებელი საბუთი იმისათვის, რომ არ იყო ამოქმედებული *expressio unius*-ს წესი.

\*იხ. რეგისტრატურის შენიშვნა, გვ. 53.

<sup>30</sup> ეს არის ერთ-ერთი ადგილი, სადაც სასამართლო ცნობს უფლების განსაზღვრულ ხასიათს – იხ. ზემოხსენებული პუნქტები 26-31, განსაკუთრებით კი 29-ე და 30-ე სქოლიოები.

(iii) სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საქმეებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება – არსებობს სხვა გადაულახავი და, ალბათ, უფრო კონკრეტული მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეიძლება ხელმისაწვდომობის უფლების, სამართლიანი განხილვისგან და ა.შ. განსხვავებით, მოაზრება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში. ეს მუხლი აშკარად ერთ დონეზე აყენებს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ სამართალწამოებებს – იგი ეხება სამართლიანი განხილვის საკითხს ორივე კონტექსტში. ხელმისაწვდომობის უფლების საკითხი უნდა წარმოიშვას უმთავრესად სამოქალაქო სამართალწარმოების დროს, სადაც არის მოსარჩელე ან მომჩივანი, რომელიც აღძრავს სამართალწარმოებას. ძალიან ცოტა განსაკუთრებულ შემთხვევათა გარდა, რომლებშიც კერძო მოქალაქე აღძრავს სისხლისსამართლებრივი ხასიათის სამართალწარმოებას, სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ ხელისუფლების ორგანოები, იმ კონტექსტში კი აშკარად აბსურდული იქნებოდა, გვესაუბრა ხელმისაწვდომობის უფლებაზე. ეს არ იქნებოდა ამ კითხვაზე ნამდვილი პასუხი, რომ გვეთქვა შემდეგი: უფლება შესაბამისია მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელია ერთ საქმეში, მაგრამ არა მეორეში (ან ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ საკუთარ ქმედებებს). ეს არ არის მთავარი. მთავარი არის ის, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ისევე ეხება სისხლისსამართლებრივ, როგორც სამოქალაქო მხარეს – მისი მნიშვნელობა მართლაც უფრო მეტად სისხლისსამართლებრივი საქმეების მიმართ გამოიხატება – ხოლო სისხლისსამართლებრივი მხარე არის ის, რომელთან დაკავშირებითაც უმრავლეს შემთხვევებში აბსოლუტურად უსარგებლოა, ვილაპარაკოთ ხელმისაწვდომობის უფლებაზე ხელისუფლების მაგივრად, რომელიც აღძრავს სამართალწარმოებას. ეს მიანიშნებს ან ადასტურებს იმ დასკვნას, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ეხება მხოლოდ სამართალწარმოებებს და არა მათი აღძვრის უფლებას.

(iv) საჯარო მოსმენა „გონივრულ ვადაში“ – არსებობს სხვა მაჩვენებლებიც იმავე მიმართულებით, რომლებიც ასევე შეიცავს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს შორის შეთანხმებულობის პრინციპის დაცვას. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი წარმოდგენილია გაერთიანებული სამეფოს არგუმენტი (მითითებულია მხოლოდ განაჩენში (პუნქტი 32) იმ სახით, რომელიც ვერ წარმოაჩენს მის შესაბამისობას – სინამდვილეში გამოიყურება მთლიანად გაუგებრად<sup>31</sup> და ეხება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებით ნაგულისხმევს იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო განხილვას ადგილი ექნება გონივრულ ვადაში. რის „გონივრულ ვადაში?“ მუხლი ამას არ ამბობს. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შემთხვევაში ადგილი არ ექნება ეჭვს, რომ ვადის ათვლა დაიწყება დაკავებიდან ან ფორმალური ბრალდებიდან. გონივრული იქნება, წარმოვიდგინოთ, რომ იგი არ შეიძლება განთავსებული იქნეს წინმსწრებ განუსაზღვრელ პერიოდში, როდესაც ხელისუფლების ორგანოები სავარაუდოდ განიხილავდნენ ბრალის წაყენების საკითხს და ამასთან დაკავშირებით აწარმოებდნენ სამართლებრივ კონსულტაციებს – ან ეძებდნენ ბრალდებულს მისი დაკავების მიზნით. ჩემი აზრით, ზუსტად იგივე პრინციპი უნდა გამოიყენებოდეს *mutatis mutandis* სამოქალაქო სამართალწარმოებასთან მიმართებაშიც, არა მარტო იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში არაადეკვატური და არაპროპორციული სიტუაცია წარმოიშობა სამართალწარმოების ტიპებს შორის, არამედ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარეც. სამოქალაქო სამართალწარმოებაში გონივრული ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც საჩივარი ფორმალურად ჩამოყალიბდა სარჩელის სახით, ადგილი ჰქონდა სასამართლოში გამოძახებას ან როდესაც მოპასუხეს სხვა ოფიციალური დოკუმენტით ეცნობა

<sup>31</sup> რა თქმა უნდა, ეს ეხება სასამართლო განხილვას, რომელიც უნდა წარიმართოს გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც სასამართლო ხელმისაწვდომი გახდა, და არა ხელმისაწვდომობას, რომელიც უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში.

სამართალწარმოების შესახებ. ეს მხოლოდ გონივრულია. ნებისმიერი წინა პერიოდი, როდესაც მოსარჩელე განიხილავს სამართალწარმოების აღძვრის მიზანშეწონილობას, აწარმოებს სამართლებრივ კონსულტაციებს ან აგროვებს მტკიცებულებებს, შეუსაბამო ან ძალზე ბუნდოვანია იმისათვის, რომ დაგვეხმაროს „გონივრული ვადის“ ათვლის მომენტის მოძიებაში, რადგან მასში შეუძლებელია რაიმე ფიქსირებული მომენტის მოძიება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ათვლის მომენტი შესაძლოა „დაკავშირებული ყოფილიყო წარსულში“ თვეების ადრე ან ზოგიერთ საქმეში წლებით ადრე მომხდარ ფაქტებთან, რაც უაზროს და აბსურდულს გახდიდა „გონივრულ ვადაში“ სასამართლო განხილვის წარმართვის მთლიან მოთხოვნას, რომლის რეალურ ობიექტსაც წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს შეუსაბამო გადადება. მაგრამ სასამართლოს მოსაზრებაში მთავარი ის არის, რომ რადგან მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი თავისთავად არ ასახელებს რაიმე ათვლის წერტილს, სასამართლოს მოუხდება ამის სპეციალურად განხილვა ყოველ კონკრეტულ საქმეში. შესაბამისად, მთავრობებს არ შეუძლიათ იცოდნენ, თუ რა დადგენილ პერიოდში უნდა წარმოადგინონ სისხლის სამართლის საქმეები სასამართლო განხილვის წინაშე, რათა დაკმაყოფილებული იქნეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა – ეს კი აბსოლუტურად დაუშვებელი სიტუაციაა.

(v) ყოველივე ხსენებულის მნიშვნელობა არის ის, რომ ნებისმიერი რამ, რაც დაკავშირებულია ხელმისაწვდომობის უფლებასთან, დაკავშირებული უნდა იყოს სამართალწარმოების ფორმალურად აღძვრის წინა პერიოდთან მას შემდეგ, რაც სამართალწარმოება დაწყებული იქნა და სასამართლოზე ხელმისაწვდომობა განხორციელდა, და ამიტომაც ეს საკითხი აღარ საჭიროებს განხილვას (*cadit quaestio*). შესაბამისად, ნებისმიერი რამ, რაც დაკავშირებულია ხელმისაწვდომობის უფლებასთან, როგორც ასეთთან – განსაკუთრებით მასში ნებისმიერი სავარაუდო ჩარევა ან მისი უარყოფა – დაკავშირებული უნდა იყოს ხელმისაწვდომობამდე განვლილ იმ პერიოდთან, რომელიც წინ უძღოდა სამართალწარმოების აღძვრას – ე.ი. გონივრულ ვადაში ჩატარებულ პატიოსან და საჯარო მოსმენას, რომელზეც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მიუთითებს – და ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ დასკვნას, რომ ხსენებული მუხლი საერთოდ არ ეხება ხელმისაწვდომობას, რადგან საკითხი ეხება განვლილ პერიოდს ან საფეხურს.

(vi) ტერმინი „საჯარო მოსმენა“ ასევე წარმოშობს სიძნელეებს იმ შემთხვევაში, თუ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი აღქმული იქნება ისე, თითქოს ითვალისწინებდეს ხელმისაწვდომობის უფლებას. შემოიფარგლება რა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებით, ტერმინი „საჯარო“ მიანიშნებს საქმის არსებით მოსმენაზე ღია სასამართლოში, რომელსაც ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ სამართალწარმოება წარიმართება ნორმალურად. მაგრამ როგორც ზემოთ წარმოჩინდა (მე-15 პუნქტი), სამართალწარმოება შესაძლოა შეჩერდეს სხვადასხვა საფუძველზე ადრეულ ეტაპზე. მთავარი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ეს ძალიან ხშირად მოხდება არა საჯარო მოსმენისას, არამედ სასამართლოს დაბალი რანგის მოხელის (რომელიც *in chambers* განიხილავს საქმეს) წინაშე და მოსმენაზე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მხოლოდ მხარეები და მათი იურიდიული წარმომადგენლები იქნებიან წარმოდგენილნი. ამიტომ თუ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით ნაგულისხმევი იქნებოდა უფლება ხელმისაწვდომობაზე, ამას მუხლის ენით შესაძლოა მოეცვა საჯარო მოსმენის განუყოფელი უფლება ყველა გარემოებაში, ეს კი ნაკლებია იმაზე, რასაც არ შეიძლება ვუწოდოთ „ხელმისაწვდომობა“. ეს მოსაზრება დამტკიცებულია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადებით, იხ. (დ) ქვეპუნქტი ზემოთ. ამიტომ აქ აღინიშნება ერთ-ერთი ის კავშირი, რომელშიც ხელმისაწვდომობის უფლების საზღვრები არ ყოფილა მოაზრებული (იხ. 28-ე და 29-ე პუნქტები ზემოთ) – რომელთა არარსებობის გამოც ცნებას არ გააჩნია არც განმარტება და არც გარკვეულობა. ეს ასევე

წარმოადგენს კავშირს, რომელშიც კონვენციის მე-17 მუხლი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს – იხ. მე-17 სქოლიო და 47-ე პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი.

48. ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებული დასკვნა – მე შეგნებულად ვტოვებ სხვა მოსაზრებებს, რათა არ გადავტვირთო ეს მოსაზრება. მაგრამ დასკვნის სახით უნდა აღვნიშნო, რომ ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა იქნეს ნაგულისხმევი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, გარდა ინტერპრეტაციის პროცესისა, რომელსაც, ჩემი აზრით, არა აქვს კავშირი და რომელიც არ ემსახურება საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ინტერესებს. თუკი უფლებას ადგილი არა აქვს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, მით უმეტეს მას ადგილი არა აქვს კონვენციაში. ეს უჭკველად წარმოადგენს დიდ ხარვეზს, რომელიც უნდა გამოსწორდეს. მაგრამ ხსენებულის განხორციელება ხელშემკერველი სახელმწიფოების ამოცანაა და მიზნად ისახავს, რომ სასამართლომ შეძლოს მასზე დაყრდნობა და არ ეცადოს, თავად განახორციელოს სამართალშემოქმედება.